

ISSN 2587-4713

**VOLUME 105,
ISSUE 8 -10. 2023**

DOI:10.36962/ECS

ტომი 105, 8-10. 2023



ECONOMICS
1918 

ეკონომიკა



1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

SCIENCE, PRACTICE, EXPERIENCE

ISSN 2587-4713
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023

ეკონომიკა ECONOMICS

ტომი 105, 8-10 2023
VOLUME 105, ISSUE 8-10 2023

ინდექსირდება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში
Indexing in International Scientific Databases:



E-ISSN 2733-3361

საქართველო, თბილისი 2023
GEORGIA, TBILISI, 2023

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

ტომი 105, 8-10. 2023
VOLUME 105, ISSUE 8-10. 2023
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ლ. ბახტაძე; მ. გვიჩია; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკუღია; დ. კარბონი (იტალია); პ. კოდუაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; ა. რზეკა (პოლონეთი) მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; დ. ქავთარაძე; ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ლურწყაია; გ. ლავთაძე; ნ. შენგელია; თ. შენგელია; ნ. ჩხილაძე; ფ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ხარბედია; მ. ჯიბუტი; გ. ჯოლია; ცეზარ ზარზა ჰერანს, (ესპანეთი).

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Бахтадзе Л., Гавтадзе Г., Гвичия М., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д., Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Рзепка А. (Польша), Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США), Силагაძე А., Сичинава А., Сольдатенко О. (Украина), Схиртლაძე А., Самаდაშვილი У., Читанова Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Циклаური Ж., Харбедия Л.; Цезар Зарза Геранз (Испания).

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; L. BAKHTADZE; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; M. GVICHIA; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY); L. KHARBEDIA; P. KOGHUASHVILI; V. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; A. RZEPKA (POLAND); M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (UKRAINE); A. SKHIRTLDADZE; D. QAVTARADZE; A. QUTATELDADZE; R. QUTATELDADZE; K. GHURTSKAIA; T. SHENGELIA; ZH. TSIKLALURI; N. CHITANAVA; M. LIBUTI; G. JOLIA; Cesar Zarza Herranz (Spain);

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

The Author is responsible for plagiarism
and for the accuracy of the facts, data given in the article.

თბილისი - 2023

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ბაკურ ქრისტესიაშვილი, ზურაბ ჯორბენაძე -
სახელმწიფოს ტურისტული იმიჯის მართვა ერთიანი
ტურისტული პოლიტიკის სისტემაში
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-07 ----- 7

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები
დარეჯან ჩხუბაძე - მიგრაციული ტენდენციების ანალიზი
საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირებისა და ეკონომიკის
განვითარების კონტექსტში
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-18 ----- 18
მალხაზ გვიჩია, მზისაძარ ბჟალავა, ლალი ხარბედია -
მდგრადი განვითარების კონცეფცია - ქვეყნის
ეკოლოგიურ-ეკონომიკური განვითარების დოქტრინა
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-43 ----- 43
რევაზ შენგელია, ჟუჟუნა ნიკლაური - შენგელია, ნათია შენგელია -
სახელმწიფოს როლი სოციალურ - ეკონომიკური და ეკოლოგიური
პრობლემების გადაწყვეტაში
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-53 ----- 53
ალექსანდრე ვაჭარაძე - მწვანე ტრანსფორმაციის მიმოხილვა
ეკოლოგიურ - ეკონომიკურ ქრილში
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-62 ----- 62

ციფრული ეკონომიკა

თათია ლურნკაია, სოფიო ფალიანი - ეკონომიკის ციფრული ტრანს-
ფორმაცია (დიჯიტალიზაცია), როგორც გლობალური გარდაქმნა
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-72 ----- 72
ნინო სამჭკუაშვილი - კომპანიათაშორისი ურთიერთქმედების
თავისებურებები ციფრული ეკონომიკის პირობებში
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-87 ----- 87

შინადასახეობა, ბანკები, ბირჟები

გიორგი თოფურია, მაია ჩეჩელაშვილი - ბიტკოინი, როგორც
ინვესტიცია: უპირატესობები და რისკები
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-101 ----- 101
რუსუდან პაპასკირი, ქეთევან შანგუა - რუსეთ - უკრაინის ომის

გავლენა საფონდო ბირჟის ფასიანი ქაღალდების ინდექსებზე
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-114 -----114

რეგიონული ეკონომიკა

მზევინარ ზოტიკიშვილი - მუნიციპალური ფასიანი
ქაღალდების როლი რეგიონულ განვითარებაში
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-123 ----- 123

დარგობრივი ეკონომიკა

მაია ჩეჩელაშვილი, სოფიკო შოშიაშვილი - საავტომობილო
სადილერო ცენტრის გაყიდვების ანალიზი
Business Intelligence ტექნოლოგიის გამოყენებით
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-130 ----- 130

ნანა ნადარეიშვილი, ნოდარ ძიძიკაშვილი - „ჭკვიანი“ ტურიზმი –
ტურიზმის განვითარების ინოვაციური მიმართულება
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-146 ----- 146

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

რამაზ ოთინაშვილი, ვარაზ ბედინაშვილი -
ბიზნესის უსაფრთხოების სისტემური მართვის საფუძვლები
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-157 ----- 157

ანა გეგეშიძე - უნივერსალური კონცეფციისა და პროექტის
მენეჯმენტის შექმნა ქართულ კომპანიებში
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-168 ----- 168

მსოფლიო ეკონომიკა

ეკატერინე აღამანაშვილი - ხარისხის მართვის სისტემის
მნიშვნელობა და მისი ცნობადობის ამალგების გზები
საქართველოში (მეზობელი ქვეყნების მაგალითზე)
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-178 ----- 178

ვარლამ რამიშვილი - ცივილიზებული მსოფლიოს
ერთიანი საფინანსო პოლიტიკა რუსეთის უკრაინაში
სამხედრო აგრესიის დროს
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-199 ----- 199

გამომავალური

ალექსანდრე ვასილევ - მეტაეკონომია - მეცნიერულ -
ფილოსოფიური და ეკონომიური აზრის ახალი მიმართულება
(მოსაზრება ემდ, პროფ. გ. მაღალაშხის ნიგნზე) ----- 204

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი ---- 210

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Bakur Qristesiashvili, Zurab Djobhadze - Management of Touristic Image of Government in the Unified Tourism Policy System
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-07 ----- 7

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Darejan Chkhubadze - Analysis of Migrational Trends in the Context of Formation of Georgian Labor Market and Economic Development
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-18 ----- 18

Lali Kharbedia , Malkhaz Gwichia , Mzisadar Bzhalava - The Concept of Sustainable Development as a Doctrine of Ecological - economic Development of a country
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-43 ----- 43

Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri - Shengelia, Natia Shengelia - The Role of Government in Solving Socio-Economic and Ecological Problems
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-53 ----- 53

Aleksandre Vatcharadze - Overview of Green Transformation From an Ecological and Economic Point of View
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-62 ----- 62

DIGITAL ECONOMY

Tatia Ghurtskaya, Sofia Paliani - Digital Transformation of The Economy
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-72 ----- 72

Nino Samchkuashvili - Peculiarities of Interaction Between Companies in the Conditions of Digital Economy
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-87 ----- 87

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Giorgi Topuria, Maia Chechelashvili - Bitcoin as an Investment: Advantages and Risks
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-101 ----- 101

Rusudan Papaskiri, Ketevan Shangua - The Impact of the Russia - Ukraine War on Stock Market Securities Indexes
DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-114 ----- 114

REGIONAL ECONOMY

Mzevinar Zotikishvili - The Role of Municipal Securities in Regional Development DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-123 -----	123
---	------------

SECTORAL ECONOMY

Maia Chechelashvili, Sofiko Shoshiashvili - Analysis of Car Dealership Sales Using Business Intelligence Technology DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-130 -----	130
Nana Nadareishvili, Nodar Dzidzikashvili - “Smart” Tourism as an Innovative Direction of Tourism Development DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-146 -----	146

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Ramaz Otinashvili, Aleksandre Elisabedashvili, Varaz Bedinashvili - Fundamentals of Systematic Management of Business Security DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-157 -----	157
Ana Gegeshidze - Creation of Universal Application and Project Management in Georgian Companies DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-168 -----	168

WORLD ECONOMY

Ekaterine Agamanashvili - The Importance of Quality Management System and The Ways to Increase Its Awareness in Georgia (on the example of neighboring countries) DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-178 -----	178
Varlam Ramishvili - The Unified Financial Policy of the Civilized World During Russia’s Military Aggression in Ukraine DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-199 -----	199

FEEDBACK ON THE BOOK

Aleqsandre Vasilevi – „Metaeconomics“ - A New Direction of Scientific, Philosophical and Economic View (Review on the book of Professor G. Malashkhia, PhD)-----	204
Publication Requirements -----	210



**ეკონომიკური რეფორმა:
ანალიზი, პრობლემატიკა,
პერსპექტივები**



**სახელმწიფოს ტურისტული იმიჯის მართვა
ერთიანი ტურისტული პოლიტიკის სისტემაში**

DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-07

ბაკურ ქრისტესიაშვილი
სტუ დოქტორანტი,
kristbakur@yahoo.com

ზურაბ ჯორბენაძე
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

განხილულია საქართველოს ტურისტული იმიჯის საქართველოს ორგანული კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, რომელიც 1997 წელს არის მიღებული, ვერ პასუხობს დღეს ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებს.

წარმოდგენილია, საკვლევ თემასთან დაკავშირებული უცხო ქვეყნების კანონმდებლობის მიმოხილვა, რაც მკითხველისთვის უფრო მეტად გასაგებს ხდის საკითხთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. განხილული პრობლემატიკა უფრო საგრძნობი არის პრაქტიკაში, რადგან ხდება არამხოლოდ ტურისტების მისამართით ხშირად გარკვეული პირების მიერ თაღლითურად თანხების დაუფლება, არამედ ეს ყველაფერი აზიანებს საქართველოს ტურისტულ იმიჯს და საბალოო ჯამში გადაეცემა ქვეყნის მთელ ეკონომიკას. ამდენად, ლოგიკურია, რომ მთელი აქცენტი გადატანილ იქნეს სახელმწიფოს ტერიტორიის ტურისტული იმიჯის შექმნის ალგორითმზე და მისი რეალიზაციის ნესებზე.

ტურისტული იმიჯი კი უშუალო კავშირშია ტურისტულ მიმზიდველობასთან - ის ამ უკანასკნელის რეალიზაციის მძლავრი

ინსტრუმენტი. ამდენად აუცილებელია, რომ შეიქმნას ქვეყნის დადებითი და ცნობადი იმიჯი, რომელიც გამოიწვევს მისი ტურისტული მიმზიდველობის ამაღლებას.

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია ამჟამინდელი ტურისტული სექტორის გამოწვევების და პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფოს იმიჯი, ტურისტული იმიჯი, სახელმწიფოს ტურისტული იმიჯის ალგორითმი, საინვესტიციო მიმზიდველობა, სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა.

შესავალი

ტურიზმის სისტემაში ერთ-ერთი საყურადღებო საკითხი ტურისტული იმიჯის საკითხია და იგი სრულყოფილ და კომპლექსურ შესწავლას ითხოვს. აქ უთუოდ საყურადღებოა ეკონომიკის სტრუქტურული დონეების მიხედვით ტურისტული იმიჯის წარმოდგენა და შესაბამისად მისი რეალიზაციის პროცესის განხილვა. დღეს სახელმწიფოს ტურისტული იმიჯის საკითხის აქსიომატურ რანგში წარმოდგენა არავითარ ღირებულებას წარმოადგენს ისეთი ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა. ამდენად, ტურისტული სანარმოს იმიჯის და ტერიტორიის ტურისტული იმიჯის საკითხების გვერდით სახელმწიფოს ტურისტული იმიჯის პრობლემა უთუოდ საყურადღებოა. სწორედ მისი შეცნობა ქვეყნის ტურისტულ მიმზიდველობის რეალიზაციის გზაზე ძალზე სასურველი წინაპირობაა. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი საბოლოო ჯამში უფრო აძლიერებს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ხარისხს, და სახელმწიფოს მიერ ტურიზმში განსახორციელებელ საინვესტიციო პოლიტიკას თვისობრივად გარდაქმნის.

სახელმწიფოს ტურისტული იმიჯის საკითხი ჩვენს ქვეყანის სპეციალურ სამეცნიერო-ეკონომიკურ ლიტერატურაში აქსიომატურად განიხილება, ამ დროს სახელისუფლებო ორგანოები მას თავდაჯერებლობით წარმოადგენენ. მართალია, აქ და იქ

რალაც ზომით გაიელვებს საკითხისადმი კვლევა-ძიების ნიშანი, მაგრამ ეს რეალობა სრულებით არ ცვლის საერთო სურათს. ეს ყოველივე საბოლოო ჯამში აისახება ტურისზმისადმი საერთო საზოგადოებრივ დამოკიდებულებაზე.

ჩვენს ქვეყანაში ტურისტული იმიჯის საკითხისადმი დამოკიდებულება სრულად ასახავს იმ სურათს, რაც დღეს ქართულ სამეცნიერო-ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს. კერძოდ, თვით ეს ცნება არასრულფასოვნად არის გააზრებული, არ ხდება მისი დინამიზმში გააზრება და მომიჯნავე კატეგორიებთან გენეტიკურ-ფუნქციონალური დამოკიდებულების საკითხის კვლევა, არადა ამ დროს უცხოეთში ტურისტული იმიჯის შესახებ, ან მისი რეალიზაციის მექანიზმების შესახებ სერიოზული სახის კვლევები ტარდება; განვითარებად ქვეყნებში, როგორცაა: მექსიკა, ჩინეთი, ინდოეთი შექმნილია სრულყოფილიანი სამინისტროები და ტურისტული სფერო რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, რომელიც ბევრად უფრო ბევრ მოთხოვნებს უყენებს ტურისტულ სფეროში მომუშავე აგენტებს, ვიდრე საქართველოში მიღებული 1997 წლის კანონმდებლობა.

ტურისტული იმიჯის ორი სახე

სახელმწიფო ტურისტული იმიჯი სახელმწიფოს იმიჯის ერთი კონკრეტული სახეა და საკმაოდ რთული და მრავალსახოვან სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიას წამოადგენს. ამ ნიშნულებს განაპირობებს როგორც უშუალოდ სახელმწიფო იმიჯის მახასიათებლები, ასევე იმიჯის როგორც ცნების შინაარსობრივი თავისებურებები.

იმიჯი რეალობის სურათის დანახვის გამარტივებულ გზას იძლევა, მაგრამ ამავე დროს იგი იტოვებს რალაც შემოქმედითობის ნიშნულს. ეს არც თუ ისე უმნიშვნელო პირობა მიაჩნნებს იმიჯის დინამიზმზე, ანუ მიმდინარე სიტუაციიდან გამომდინარე იმიჯი მართვადი ხდება. თუ ამ რეალობას ვალიარებთ, მაშინ ერთ საინტერესო ფაქტთან ვდგებით: სინამდვილეზე ამა თუ იმ სახის წარმოდგენა პირველადი „შეხების“ ან/და გაც-

ნობის შედეგად ყალიბდება, შემდეგ კი ფიქსირდება. ეს არის პირველადი გაცნობა იმიჯის ჩამოყალიბების გზაზე. ამ დროს ამბობენ რომ სახეზე გვაქვს პირველადი იმიჯი. შემდგომში გარემომცველი სამყაროს ცხოვრების წვდომის კანონზომიერება „შინაგანად“ ითხოვს სიახლეს - ჯერ კიდევ შეუცნობელის და მიუღწევების დაპყრობას, ამიტომ საკითხის წარმოდგენის სისტემა რალაც ზომით „ისრუტავს“ ახალ რეალობას და ჩვენ მივდივართ მეორად იმიჯთან.

ამრიგად, სახელმწიფოს იმიჯი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ცნობიერებაში კონკრეტულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნზე მიზანდასახულად ფორმირებული სახეა მისი პირველადი გაცნობიდან ახალი რეალობის აღიარებამდე. ეს პროცესი სიმბოლოების, გონებაში და მესხიერებაში შემეცნების, ემოციურ-შეფასებითი მდგენელების სახით წარმოსდგება და რეალიზდება. ამდენად, იმიჯი სინთეზური მოცემულობაა და ის დედუქციის გზით ნაწარმოებ რეალობას ასახავს.

სახელმწიფოს ტურისტული იმიჯი სახელმწიფოს იმიჯის ერთი კონკრეტული სახეა. სახელმწიფოს ტურისტული იმიჯი ეყრდნობა ორ საბაზისო მდგენელს, ისეთებს როგორც არის „იმიჯი“ და „სახელმწიფოს სუბიექტის იმიჯი“. ამ დროს ჩვენს წინაშე დასმული ამოცანა გვაიძულებს გავერკვეთ ამ ცნებების მოქმედების არეალში, მათ შინაარსობრივ დატვირთვაში და ერთმანთის გადაკვეთის გზებში.

უნდა მივანიშნოთ, რომ „იმიჯი“ ძალზე ზოგადი და მრავლის მანიშნებელი ცნებაა და ის სხვა შინაარსობრივი დატვირთვის გენეტიკურად კავშირში მყოფ ცნებებთან პირველსაწყისია; რაც შეეხება „სახელმწიფოს სუბიექტის იმიჯი“-ს ცნებას - იგი ნაწარმოები ცნებაა და ის სრულად ითვალისწინებს „დედა“ მცნების ყველა ნიშნულს.

როცა სახელმწიფოს ტურისტული იმიჯის საკითხს ვიკვლევთ, გასათვალისწინებელია „ტურიზმის“ შინაგანი, არსებითი მახასიათებლები; აქ მხედველობაში გვაქვს შემდეგი წინაპირობები: ტურიზმის ცნება მოიცავს შემდეგ მახასიათებლებს: ჯერ-ერთი, პირველი ტურიზმის სუბიექტის ადგილმდებარეო-

ბის შეცვლას; მეორე, მოგზაურობის დროებით ხასიათს, და მესამე, ის რომ ტურიზმი მომხმარებლის მხრიდან შრომით საქმიანობას არ გულისხმობს. ამდენად, სახელმწიფოს ტურისტული იმიჯის ფორმირების ძირითადი მახასიათებლები უნდა ჩამოყალიბდეს განსაზღვრული მიზნობრივი აუდიტორიის წარმომადგენელთა მოთხოვნების და მოლოდინების შესაბამისობაში.

ერთის შეხედვით სახელმწიფოს ტურისტული იმიჯის სუბიექტის ცნების განსაზღვრა საკმაოდ მარტივი არის, მაგრამ თუ ამ საკითხს სიღრმისეულად ჩავწვდებით, აღმოჩნდება რომ აქ რამდენიმე სახის ქვედადინება არსებობს და თვითოეულს თავისი დატვირთვა გააჩნია. უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ სამეცნიერო ლიტერატურაში პოზიცია, რომ სახელმწიფოს ტურისტული იმიჯის განსაზღვრა მარკეტინგულ, ბრენდინგულ და ფსიქოლოგიურ მიდგომას ითხოვს.

სახელმწიფოს ტურისტული იმიჯისადმი მიდგომის აღნიშნული სახეებიდან ყველაზე „მატერიალისტური“ და ამავე დროს ეფექტიანია მარკეტინგული მიდგომა. ამასთან, ტურისტული იმიჯის სისტემის დომინირებად ელემენტს წარმოადგენს „ტურისტული დესტინაციის“ მოცემულობა.

ჩვენ რომ არ ჩავებათ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის ჩალრმავებულ კვლევაში უნდა ვაღიაროთ, რომ ტურისტული დესტინაცია არის გონებრივ, გრაფიკულ, ხმოვან და ანიმაციურ გამოხატულებაში აღქმული ტერიტორიის ძირითადი ფასეულობების და რესურსების სიმბოლიზაციის საფუძველზე აგებული გარკვეული სახის იმიჯის სტრატეგია. სწორედ ამ ნიშნულით „გადადის“ ტურისტული დესტინაცია მოცემული სახელმწიფოს წარმონაქმნის მარკეტინგულ სტრატეგიაში.

ზემოთ წარმოდგენილ აზრის ფორმულირებაში ყურადღება აქცენტირებული იყო იმ რეალობაზე, რომ „ქვეყნის ტერიტორიული წარმონაქმნის ტურისტული იმიჯი“ და „სახელმწიფოს ტურისტული იმიჯი“ სრულად იდენტური არ არის. ჩვენის აზრით აქ ორ სხვადასხვა სახის მოცემულობასთან გვაქვს შეხება და ისინი შესაბამის ყურადღებას იმსახურებენ.

სახელმწიფოს ტურისტული იმიჯი - ეს არის მიზანდასახუ-

ლად ფორმულირებული ქვეყნის სახე, რომელიც ცალკეული პიროვნების ან/და პიროვნებათა ჯგუფის დონეზე არსებობს ემოციურ-შეფასებითი, წარმოდგენებით და ასოცირებულად, შედარებით მყარად და დინამიურად.

სახელმწიფოს ტურისტული იმიჯის შინაარსობრივ დახასიათება ერთგვარად ხელს უწყობს გავერკვეთ ამ სახის იმიჯის ფორმირების საკმაოდ რთულ პროცესში და ასევე დავინახოთ მისი ფორმირების პროცესი. ამ მიზნით საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აღიარებენ შემდეგ ეტაპებს:

- I ეტაპი - სავარაუდო მიზნობრივი აუდიტორიის წარმომადგენლების გამოვლენა;
- II ეტაპი - ტურიზმის ობიექტის თავისებურებების და უპირატესობების დადგენა;
- III ეტაპი- აუცილებელი ინფორმაციის გადაცემის პრიორიტეტული მედიარხების განსაზღვრა;
- IV ეტაპი - შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფებისთვის პოზიტიური ტურისტული იმიჯის ფორმირების კომუნიკაციური სტრატეგიის შემუშავება.

ტერიტორიის ტურისტული მიმზიდველობაზე სერიოზულ გავლენას ახდენს ტერიტორიული მარკეტინგი. ეს ორი ერთის შეხედვით ორი თითქოს-და ერთმანეთისგან განსხვავებული მოცემულობაა: ტერიტორიული მარკეტინგი და ტერიტორიული მიმზიდველობა, ერთმანეთს „პროფესიონალურად“ და „კეთილი გრძნობით“ ავსებენ. ამიტომაც დარგის სპეციალისტები მიანიშნებენ, რომ ტერიტორიული მარკეტინგი ეს არის უშუალოდ ტერიტორიის ინტერესების ფარგლებში განხორციელებული მარკეტინგი. ის მიმართულია შესაბამისი ტერიტორიის, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანობის ამაღლებისკენ. ამ შეხედულებას თვალნათლივ ადასტურებს ჩვენს ქვეყანაში აჭარის რეგიონის (ტერიტორიის) მოცემულობა. კერძოდ, აქ როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით სერიოზული ოდენობის ინვესტიციების ჩადება ხდება ტურიზმის სფეროში; შესაბამისად იზრდება ტერიტორიის მიმზიდველობა როგორც ქვეყნის

შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. ეს პროცესების მთავარი მხარეა, მაგრამ არ უნდა დავტოვოთ უყურადღებოთ აჭარის რეგიონში ტერიტორიული მარკეტინგის განვითარების პერსპექტივა, და საბოლოო ჯამში ამ რეგიონის ტურისტული მიმზიდველობა.

სწორედ ამ საერთო სივრცეზე ყურადღებას ამახვილებენ უცხოელი მკვლევარები. მათი აზრით, ტერიტორიული მარკეტინგის არსი და დანიშნულება ტერიტორიული იმიჯის ფორმირებაში ან გაუმჯობესებაში აისახება და მასში რეალიზდება. მეტიც, ტერიტორიის დადებითი, მიმზიდველი და ცნობადი იმიჯის შექნა ტერიტორიული მარკეტინგის როგორც რაღაც კონკრეტული საქონლის მარკეტინგის ძირეულ მიზანს წარმოადგენს - მიანიშნებს ამერიკელი მკვლევარი ჯ. ვოლკერი

უცხოეთში ტერიტორიის იმიჯი როგორც ტურისტული მიმზიდველობის ამალგების საშუალება დიდი ხანია გამოიყენება და წარმატებითაც კი. პოტენციური მნახველების დადებითი ასოციაციები და განსაზღვრული სახის ემოციური შთაბეჭდილებები ამა თუ იმ ქვეყანაში მოხვედრის გადანყვეტილების მიღების მძლავრ არგუმენტს წარმოადგენს. ასე მაგალითად, საფრანგეთში დამკვიდრდა „რომანტიკული ქვეყნის“ იმიჯი, ხოლო საკმაოდ მრავალ ტურისტში გავრცელებულია საინტერესო სტერეო ტიპური ხუმრობა: „ნახე პარიზი და მოკვდი.“ ნიუ-იორკს დაეებდა ძალზე ცნობადი სახელი - „ქალაქი, რომელსაც არასდროს არ სძინავს“, მილანი თავისთავს წარმოადგენს როგორც „მაღალი მოდის ტერიტორიას“. სწორედ ასეთი სახის საზღვარგარეთის ქვეყნები და ქალაქები ადვილად საცნობია მსოფლიოში.

ტურისტული სფერო გარკვეული ქვეყნებისთვის წამყვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებმა გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიხედვით 2017 წელს დააგენერირა ყველაზე მეტი 211 მილიარდი ამერიკული დოლარი 77 მილიონზე მეტი ტურისტიდან. მიუხედევად იმისა რომ ამერიკაში ყველა ეკონომიკის სექტორი საკმაოდ განვითარებულია, ტურიზმს მაინც განსაკუთრებული როლი ეთმობა სახელმწიფოს მხრიდან. აღსანიშნა-

ვია რომ კოვიდ პანდემიის დროს ყველა ტურისტულ ბიზნესში შემავალმა მწარმოებელმა მიიღეს სახელმწიფოსგან ფინანსური დახმარებები. ესპანეთი აღნიშნულ სიაში მეორე ადგილზეა, რომელმაც დააგენერირა 68 მილიარდი ამერიკული დოლარი 82 მილიონი საერთაშორისო ვიზიტორით. მესამე ადგილას კი საფრანგეთი იკავებს 61 მილიარდი ამერიკული დოლარით. მიუხედავად ამისა საფრანგეთმა უფრო მეტი საერთაშორისო ტურისტი მიიღო, ვიდრე ამერიკამ და ესპანეთმა.

ასეთი მაღალი ეკონომიკური აქტივობა ტურიზმის სფეროში არ გამოჩენიანთ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციას, რომლის ხელმძღვანელმა წარმოშობით ქართველმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა შემდეგი კომენტარი გააკეთა:

„ჩვენ არ ველოდით იმ მნიშვნელოვან ზრდას, რაც ტურიზმში მოხდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ბოლო წლებში ტურიზმის ზრდა ადასტურებს, რომ აღნიშნული სექტორი დღეს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მამოძრავებელია“. ეს არის შედეგი უფრო ძლიერი ეკონომიკური ზრდის, უფრო ხელმისაწვდომი საჰაერო მოგზაურობის, ტექნოლოგიური ცვლილებების, ახალი ბიზნეს მოდელების და ვიზების გამარტივების შედეგი მთელ მსოფლიოში.

ყოველივეს გათვალისწინებით უნდა მივანიშნოთ, რომ უცხოეთში თვითოეულ ქვეყანაში იქმნება სპეციალური მარკეტინგული ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაც მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის იმიჯის შესაქმნელად და შემდეგ კი იმიჯის წინ წასანეკად არის მიმართული. ამ რეალობას ნათელს ფენს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის პოზიცია: რეკლამის გზით ტერიტორიის მიმზიდველი იმიჯის შენაჩუნების მიზნით მასზე დანახარჯების გაზრდას და ტურიზმისგან მიღებულ შემოსულობებს შორის პირდაპირდაპირ პროპორციული დამოკიდებულება არსებობს. ამ ფონზე საინტერესოა თუ რა მდგომარეობაა ტერიტორიის მარკეტინგის კუთხით ე.წ. ტურისტული ბრენდ-ქვეყნებში. ასე, მაგალითად, როცა აშშ ტერიტორიის მარკეტინგზე წელიწადში 70 მილიონ დოლარს ხარჯავს, და ამ დროს შემომსვლელი ტურიზმისგან ფულადი შემოსულობები კი 210,8 მილიონ დოლარს შეადგენს, მაშინ ტერიტო-

რის მარკეტინგის ეფექტიანობის ინდექსი 3100 შეადგენს. უნდა ავლნიშნოთ რომ აღნიშნული კოეფიციენტი საშუალოზე მაღალია, რაც უკვე კარგად ცნობილ ტურისტული ქვეყნებისთვის მიზანშენონილი და გასაგებია, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ბევრად მძლავრ მარკეტინგს, მათ მიზანშენონილია რომ ჰქონდეთ ბევრად უფრო დაბალი კოეფიციენტი. საქართველოს შემთხვევაში აღნიშნული კოეფიციენტი დაახლოებით 875-ია(2022 წელს საქართველომ ტურიზმიდან დააგენერირა 3.5 მილიარდი დოლარი, ხოლო ქვეყნის მარკეტინგზე დაიხარჯა დაახლოებით 4 მილიონი აშშ დოლარი). აქვე, ასევე მეტად საყურადღებოა უშუალოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით გათვლილი მარკეტინგის სოციალური ეფექტიანობა, ანუ ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა პროცენტი მომუშავე მოსახლეობის საერთო რიცხვთან მიმართებაში; აქ აშშ არ არის მენინავე, მას პირველი ადგილი არც კი უკავია - პირიქით, აშშ-ს უსწრებს ესპანეთი და საფრანგეთი.

დასკვნა

მართალია, ტერიტორიის იმიჯის წარმოდგენილი ფორმულირება ერთის შეხედვით საკმაოდ ზედაპირულია, მაგრამ მისი ღირებულება სრულებით არ კნინდება იმ მიზნით, რაც ამ კვლევით არის განსაზღვრული. კერძოდ, რამდენადაც ჩვენი ორიენტირია ტურისტული მიმზიდველობის და ტურისტული იმიჯის „გადაკვეთის“ ნიშნულის გახსნა, ამდენად ჩვენის აზრით ტერიტორიის იმიჯის ზემოთმოყვანილი ფორმულირება დამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ.

ყოველივეს გაანალიზებით უთუოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ტერიტორიის დადებითი იმიჯის ფორმირებაზე უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკის საერთო მდგომარეობა და ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. ამდენად როცა ტურისტულ იმიჯზე ვაკეთებთ აქცენტს, მაშინ სრულიად კანონზომიერად და ასევე ლოგიკურად ვგულისხმობთ ტურისტული მიმზიდველობის გადასახედიდან საინვესტიციო მიმზიდველობის, შესაბამისად ადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკის მთელს სისტემას.

REFERENCES:

1. L. DolikaShvili K. Arabuli. "Basics of Tourism". Book One- Theoretical Guidance Tbilisi 2021
2. E. Darbaidze. International tourism image of Georgia according to the website of foreign ministries. Dissertation work. Tbilisi. 2014.
3. R. Tetvadze "Territorial Marketing and Consumer Behavior" Dissertation Thesis Tbilisi. 2016 year;
4. Tourism Strategy of Georgia 2025
5. S. Ujmajuridze. Peculiarities of using marketing in the tourism industry". Dissertation work. Tbilisi. 2018
6. <https://globaledge.msu.edu/blog/post/55742/countries-earning-the-most-from-internat#:~:text=The%20United%20States%20earns%20the,its%2082%20million%20international%20arrivals.>
7. Vasilchenko, A. O. Theoretical foundations for the formation of the country's image in the context of the cluster approach / A. O. Vasilchenko, M. V. Yungova // Tourism and hospitality: scientific and practical journal. - 2018. - No. 2. - P. 3-9.

**MANAGEMENT OF TOURISTIC IMAGE OF GOVERNMENT
IN THE UNIFIED TOURISM POLICY SYSTEM**

Bakur Qristesiashvili,

PhD Student of GTU, kristbakur@yahoo.com;

Zurab Djorbehadze,

Associate Professor of GTU

RESUME

The article discusses the touristic image of Georgia. The Law of Georgia "On Tourism and Resorts", adopted in 1997, cannot meet the requirements of the country today.

The article also presents an overview of the legislation of foreign

countries related to the research topic, which makes the problems related to the issue more understandable for the reader. The problem discussed in the article is more noticeable in practice, because it happens not only to tourists, but often certain persons fraudulently seize funds, but all the damages the tourist image of Georgia is transferred to the entire economy of the country. Therefore, it is logical that all the emphasis should be shifted to the algorithm of creating the touristic image of the territory of the state and the rules of its implementation.

The touristic image is directly related to the tourist attraction - it is a powerful tool for the realization of the touristic image. Thus, it is necessary to create a positive and recognizable image of the country, which will increase its tourist attraction.

Moreover, It is true that the presented formulation of the image of the territory is quite artificial at first glance, but it's value is not completely diminished for the purpose determined by this study. In particular, as far as our orientation is to open the mark of "intersection" of tourist attraction and tourist image, therefore, in our opinion, the above formulation of the image of the territory should be considered satisfactory.

In Summary, after analyzing everything, we must admit that the general state of the economy and the level of infrastructure development have the greatest influence on the formation of a positive image of the territory. Thus, when we focus on the tourist image, then we mean quite logically the entire system of consequent state policy of tourist attractiveness, and investment attractiveness.

Keywords: Image of the state, Touristic image, Algorithm of the tourist image of the state, Investment attractiveness, investment policy of the state.



**მიგრაციული ტენდენციების ანალიზი
საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირებისა და
ეკონომიკის განვითარების კონტექსტში.**

DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-18

დარეჯან ჩხუბაძე

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
Email: darejan.chkhubadze@bsu.edu.ge

რეზიუმე

მიგრაციის ეფექტიანი მართვა ქვეყნის უსაფრთხოების და გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობაა. იგი ასევე წარმოადგენს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მიგრაციის პოტენციალის გამოყენებას. სწორედ ამიტომ, მიგრაციის პოლიტიკის სწორად დაგეგმვა და მისი მართვის ეფექტიანობის მუდმივი გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტია და მისი კვლევა კიდევ უფრო აქტუალურია თანამედროვე ეტაპზე.

კვლევის მიზანია მიგრაციული ტენდენციების ანალიზი საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირებისა და ეკონომიკის განვითარების კონტექსტში, ასევე სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე კვლევის ძირითადი ამოცანები და ჰიპოთეზები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: 1. მიგრაციის თანამედროვე ტენდენციების ანალიზი; 2. მიგრაციის გამომწვევი მიზეზების დახასიათება; 3. მიგრაციის გა-

ვლენის შეფასება საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირებასა და ეკონომიკის განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: მიგრაციის თანამედროვე ტენდენციები, მიგრაციის გამოწვევები, ექსპორტიორი-იმპორტიორი ქვეყნები, მიგრაციის ფაქტორები, მიგრაციის პოლიტიკა

შესავალი

21-ე საუკუნეში, ამ გლობალიზაციის ეპოქაში მიგრაცია სრულიად ბუნებრივი მოვლენა გახდა. შრომითი მიგრაცია დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა და გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ამ პრობლემამ თავი იჩინა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე და ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური თუ პოლიტიკური ვითარების გამო, უფრო მეტად გამწვავდა და თავისი პოზიტიური თუ ნეგატიური გზებით გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკაზე, ასევე შრომის ბაზრის ფორმირებაზე.

ბოლო პერიოდის განმავლობაში მთელ მსოფლიოში მიგრაცია მზარდი ტემპით მიმდინარეობს, რასაც ხელს უწყობს ტექნოლოგიების განვითარება, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის ზრდა, მგზავრობის გაიაფება და ა.შ. მიგრაცია და მისი თანმდევი პროცესები უფრო მკაფიო კონტურს სძენს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, შრომის ბაზრის გამრავალფეროვნებას, სადაც გაჩნდა მოთხოვნა სხვადასხვა კვალიფიკაციისა და სქესის ადამიანებზე, სულ უფრო დიდია დისონანსი მსოფლიოს ქვეყნების განვითარების დონებს შორის. **(Ratiani M, 2015)**

წლებთან ერთად საზღვრები ქვეყნებს შორის უფრო და უფრო უხილავი ხდება. ადამიანებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ და იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მიგრაციის თანამედროვე პერიოდის მრავალმხრივი პროცესი, განპირობებულია ეკონომიკის ძირითადი ძვრებით და ხელს უწყობს შრომის ბაზრის ხარისხობრივ ფორმირებას. დასაქმების ბაზარი, ისევე როგორც განათლების ბაზარი გლობალური გახდა და ადამიანებს აღარ უწევთ არჩევანის გაკეთება, იმოქმედონ მხოლოდ საკუთარ სამშობლოში არსებული შრომის ან განათლების

ბაზრის პირობების გათვალისწინებით. სამამულო განათლების სისტემას და დამსაქმებლებს კი უნევთ კონკურენცია გაუწიონ დანარჩენ მსოფლიოს, რათა მოიპოვონ საუკეთესო კადრები და მიაღწიონ მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეს.

ერთი საკითხია დამსაქმებლების და დასაქმებულების ბენეფიტები და მეორეა რამდენად სასარგებლოა მიგრაცია (ექსპორტიორი/იმპორტიორი) ქვეყნის განვითარებისთვის, სადაც მიგრაციის გავლენის შედეგები სხვადასხვა პოზიციიდან განიხილება.

ადამიანური რესურსების მიგრაციის დადებითი და უარყოფითი ფაქტორების შეფასება და და გარკვევა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პროცესია და სახელმწიფოს გამონწვევად რჩება. მართალია, მიგრაციის დროს ინდივიდის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად უმჯობესდება, ასევე ქვეყნის სავალუტო კურსის ცვლილებაც, ფულადი გზავნილების ხარჯზე, პოზიტიურია, მაგრამ აქცენტი შეფასებისას მუდმივად კეთდება ემიგრაციის უარყოფით მხარეზე. კერძოდ არალეგალური დასაქმება, კრიმინალის ზრდა, მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, ტრეფიკინგი და აშ.

მთავრობამ უნდა დასახოს სწორი მიგრაციული პროცესების სტრატეგიები, რომლებიც დაარეგულირებენ და გააკონტროლებენ მიგრაციულ საკითხებს. მიგრანტების უფლებების დაცვა და მიგრაციული პროცესების მართვა ეს არის ყველა ქვეყნის უმთავრესი ამოცანა, რადგან თოთოეული მათგანის განხორციელება წარმოადგენს სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მყარ გარანტს

ძირითადი ნაწილი

მიგრაციის პრობლემა საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაჩნდა და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ინტენსივობა ქვეყნიდან გასული შრომითი რესურსებისა, თითქმის სტაბილურად მაღალ დონეზე შენარჩუნდა. თუ თავდაპირველად ემიგრანტები ძირითადად მეზობელ ქვეყნებში რუსეთში, თურქეთში, საბერძნეთში გადაადგილდებოდნენ,

ახლა ისინი თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის შრომის ბაზარზე არიან.

ცხრილი 1. მიგრაციული სალდო 2016-2022 წ.წ.

წლები	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
იმიგრ. რიცხვი (კაცი)	90228	83239	88152	96864	89996	74008	179728
ემიგრ. რიცხვი (კაცი)	98288	85451	98935	105107	74264	99974	125269
მიგრაც. სალდო (კაცი)	-8060	-2212	-10783	-8243	15732	-25966	54459
მიგრაც. სალდო 1 000 კაცზე	-2,2	-0,8	-2,9	-2,2	4,2	-0,7	14,8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით წლების განმავლობაში იცვლება ემიგრაციული და იმიგრაციული ნაკადების მოცულობა და ინტენსივობა, მაგრამ მიგრაციული სალდო საქართველოსთვის ძირითადად უარყოფითია.


ცხრილი 1-ის ანალიზიდან ვხედავთ, რომ 2016 წლისათვის, 2016-2019 წ.წ. ემიგრანტების რაოდენობამ 98288 ადამიანი შეადგინა (საბაზისოდ იქნა აღებული), საბაზისო წელთან შედარებით 2017 წელს გვაქვს 13,4% კლება, 2018 წელს მატება 0,7%-ია, 2019 წელს ასევე მატებაა 6,9%, 2020 წელს შეინიშნება კლება 24,4%, ხოლო 2021 წელს მატება 1,7%-ია. კვლევის შედეგების მიხედვით ჩანს, რომ 2016 წელთან შედარებით ემიგრანტების

რაოდენობა იზრდება და ყველაზე მეტად გაზრდილია 2019 წელს, (107105) კაცი, ხოლო ყველაზე მეტად შემცირებულია 2020 წელს, - (74264) კაცი, რაც აიხსნება იმით, რომ პანდემიური კრიზისი განსაკუთრებით შეეხო მიგრაციულ შეზღუდვებს, რაც 2019-2021 წლების დინამიკაზე აისახა. თითქმის მსგავსი ტენდენციები შეინიშნება იმიგრაციის მიხედვით. უნდა ავლნიშნოთ, რომ ემიგრაციასთან ერთად, იმიგრაციის მაჩვენებელი 2016-2021 წ.წ. მცირდება და შეუქცევად პროცესს იღებს (იხ. ცხრ.1).

უფრო თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ, მიგრაციის ინტენსივობის მაჩვენებელი დინამიკაში, კერძოდ მიგრაციული სალდო ყოველ ათას კაცზე 2016 წელს -2,2 -ს შეადგენს, 2017 წელს -0,8-ია, ხოლო შემდეგ იზრდება და 2020 წელს 4,2 -ს აღწევს. ყველაზე მაღალი ინტენსივობით 2022 წელი გამოირჩევა.

დიაგრამა 1

მიგრაციული სალდო, ათასი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მართალია, ბოლო წლებში საქართველოს მიგრაციული სალდო შემცირდა, მაგრამ ეს შემცირება არ შეხება საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ წასვლის ინტენსივობას.


უფრო მეტიც, იზრდება ქვეყნიდან გასული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა. მიგრაციული სალდო პერმანენტულად უარყოფითია (2000-2016) წ.წ. 30-დან 15 ათას კაცამდე მერყეობს. შემდგომ პერიოდშიც შენარჩუნებულია ეს პროცესი (იხ. დიაგრამა 1).

როგორც გრაფიკიდან ჩანს, სიტუაცია განსაკუთრებით დამძიმდა 2021 წელს, მიგრაციის სალდო არის -25966. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2021 წელს ემიგრანტების რიცხვი 2020 წელთან შედარებით 34,6%-ით გაიზარდა. კერძოდ, საქართველო გასულ წელს ოფიციალურად 99 974-მა ადამიანმა დატოვა. რაც შეეხება იმიგრანტებს, 2020 წელთან შედარებით 2021 წელს მათი რიცხვი 17,8%-ით შემცირდა. აღსანიშნავია ისიც, რომ არიან ადამიანები, რომლებიც საზღვარგარეთ უკანონოდ იმყოფებიან და შესაბამისად ოფიციალურ მონაცემებში ასეთი ემიგრანტების რიცხვი აღნიშნული არ არის. რაც შეეხება მიგრაციის სალდოს, წლების განმავლობაში უარყოფითი იყო, ანუ საქართველოდან გასული ადამიანების რაოდენობა აღემატებოდა შემოსულთა რიცხვს, თუმცა ეს მონაცემები შეიცვალა 2020 წელს, იმიგრანტების რაოდენობამ გადააჭარბა ემიგრანტთა რაოდენობას და მიგრაციის სალდომ დადებითი მნიშვნელობა მიიღო (15732 ადამიანი).

21-ე საუკუნის უდიდესმა უბედურებამ რუსეთ-უკრაინის ომმა საქართველოში გაზარდა მიგრანტების რიცხვი, (იხ. დიაგრამა 2). რაც ცალსახად ზრდის მოსახლეობის რაოდენობას ქვეყანაში, მაგრამ ეს ყველაფერი არ ხდება გამრავლებით, ეს ხდება მიგრანტების რაოდენობის ზრდის ხარჯზე, რასაც თავის მხვრივ აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, დადებითი არის ის, რომ იზრდება შრომის ბაზარი და შეგვიძლია ერთმანეთს მივანოლოთ, ფართო არჩევანი შრომისა და ასევე ჩვენს მიერ წარმოებულ საქონელზე გავზარდოთ მოთხოვნა, მაგრამ არსებობს მეორე ნეგატიური მხარე, რომ შესაძლოა ეს ყველაფერი მოასწავებდეს დაპირისპირებებს ეთნიკური ჯგუფის მიხედვით.

დიაგრამა 2.

იმიგრანტებისა და ემიგრანტების განაწილება ასაკის მიხედვით, 2022 წელი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოცემული დიაგრამა 2 განიხილება ორი რაკურსით: 1- კარგად გვიჩვენებს, რომ 2022 წელს საქართველოში შემოსულთა რაოდენობა აღემატება საქართველოდან გასულთა რაოდენობას, რაზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი; 2. - იმიგრანტებისა და ემიგრანტების განაწილებას ასაკის მიხედვით, სადაც ჩანს, რომ საქართველოდან წასულ უმრავლესობას შრომისუნარიანი აქტიური მოქალაქეების რიცხვი შეადგენს. ყველაზე მეტი მიგრანტი 15-64 წლამდე ასაკის მოქალაქეები არიან. საქართველოდან მიგრირებულთა შორის უმეტესობა ქალებია, რომელთა ასაკი 20 დან 30 წლამდეა, (ფერტილურობის ასაკი) და ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, ცხადია ასევე იმოქმედებს დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე, კერძოდ ამცირებს შობადობის რიცხვს. (იხ ცხრილი 2).

ასევე საინტერესოა ემიგრანტებისა და იმიგრანტების განაწილება მოქალაქეობის მიხედვით. (იხ. დიაგრამა 3). 2022 წელს ემიგრაციის მხრივ პირველ ადგილზე საქართველოა, უცხო ქვეყნებიდან კი - რუსეთის ფედერაცია იკავებს, იმიგრაციის მხრივ კი - საპირისპირო მაჩვენებელს აქვს ადგილი, ხოლო რაც შეე-

**ცხრილი 2. მოსახლეობის, მიგრაციის და დემოგრაფიის
მაჩვენებლები დინამიაში**


	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით, ათასი კაცი. (2023წ - 3736,4)	3 721.9	3 728.6	3 726.4	3 729.6	3 723.5	3 716.9	3 728.6	3 688.6
ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა, კაცი	59 249	56 569	53 293	51 138	48 296	46 520	45 946	42 319
გარდაცვლილთა რიცხოვნობა, კაცი	49 121	50 771	47 822	46 524	46 659	50 537	59 906	49 118
ქორწინებათა რაოდენობა, ერთეული	29 157	25 101	23 684	23 202	23 285	16 359	23 155	26 048
განქორწინებათა რაოდენობა, ერთეული	9 112	9 539	10 222	10 288	11 205	7 643	10 654	14 098
იმიგრანტთა რიცხოვნობა, კაცი	92 557	90 228	83 239	88 152	96 864	89 996	74 008	179 728
ემიგრანტთა რიცხოვნობა, კაცი	95 965	98 288	85 451	98 935	105 107	74 264	99 974	125 269

წყარო: ცხრილი შედგენილია საქსტატის მონაცემების მიხედვით

ნება შემდგომ პერიოდს, რუსეთ-უკრაინის ომმა - ეს განანილება რადიკალურად შეცვალა.

დიაგრამა 3


იმიგრანტების და ემიგრანტების განაწილება მოქალაქეობის მიხედვით, 2022 წელი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები

დიაგრამა 4

უმუშევრობის დონე საქართველოში, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამუშაო ძალის მიგრაციის ძირთად მიზეზად, როგორც ზემოთ აღინიშნა, უმუშევრობა სახელდება. უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი იყო 2010 წელს, 2014-2021 წლებში უმუშევრობის დონე კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა, 2020 წელს 2019 წელთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი 0,9

%-ით გაიზარდა და განაგრძო ზრდა **2021 წელსაც, (კოვიდის პერიოდი). შემდეგ კვლავ თანდათან შემცირდა და ყველაზე დაბალი 2022 წელს დაფიქსირდა, (იხ დიაგრამა 4) უმუშევრობის ასეთი დონე და მასშტაბები განპირობებულია საქართველოს ეკონომიკური თავისებურებებითა და შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან. დასაქმებულთა 2/3 თვითდასაქმებულია, უმრავლესობა გამოსავალს სხვადასხვა მიმართულებებში ხედავს, ნაწილი კი-ბიზნესის წამოწყებაში მოიაზრებს თავს, ხოლო ნაწილისთვის კი ძირითად მიზნად ქვეყნიდან გასვლა და ბედის ძიებაა, რომელიც ხშირად დიდ რისკებთანაა დაკავშირებული.**

უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციის ზრდასთან ერთად, მცირდება ქვეყნის მოსახლეობა. მიუხედავად იმისა, რომ დაბადებულთა რიცხვი აღემატება გარდაცვლილთა რიცხვს (ე.ი. ბუნებრივი მატება დადებითია), ეს სწორედ მიგრაციის დამსახურებაა. ეს ტენდენცია ძირითადად 2016 წლიდან შეიმჩნევა. ამ დროიდან საქართველოს მოსახლეობა მცირდება. მცირე ქვეყნისთვის ეს ძალიან დიდი პრობლემაა, რადგან შესაძლებელია წარმოიქმნას ერის დაბერების და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირების სერიოზული საფრთხე.

საქსტატის ცნობითვე, 2022 წელს, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 688 600 კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.1%-ით ნაკლებია. 2021 წელს აღირიცხა უარყოფითი ბუნებრივი მატება და უარყოფითი მიგრაციული სალდო (25 966 ადამიანი მეთი ნავიდა ქვეყნიდან, ვიდრე დაბრუნდა). 2022 წელს კი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი იმიგრანტების რაოდენობა. გაიზარდა 142,9 %-ით და შეადგინა 179778 კაცი. გაზრდილია 25,3 %-ით ემიგრანტების რიცხვიც და 125 269 კაცს შეადგენს, (იხ.ცხრ. 2) აქედან გამომდინარე, ვაკეთებთ დასკვნას: საქართველოს მოსახლეობა იმატებს დიდწილად იმიგრანტების ხარჯზე, „იმიგრანტების უმრავლესობა რუსეთის მოქალაქე იყო“- ვკითხულობთ საქსტატის ვებ. გვერდზე. (National Service Statistical of Georgia, 2023).

**ცხრილი 3. ფულადი გზავნილები საქართველოში
წლების მიხედვით.**

წელი	2018	2019	2020	2021	2022
ფულადი გზავნილების მოცულობა (მლნ. აშშ დოლარი)	1 579	1 733	1 845	2 349	3 837

წყარო: ცხრილი შედგენილია საქსტატის მონაცემების მიხედვით

რაც შეეხება ფულადი გზავნილების კავშირს მიგრაციასთან ასეთ სურათს იძლევა: ცხრილი 3-დან ჩანს, რომ ფულადი გზავნილების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. მოცემულ მონაცემების მიხედვით ბოლო 5 წლის მანძილზე საქართველომ ყოველწლიურად საშუალოდ, ფულადი გზავნილების სახით, მიიღო 2.2686 მლრდ აშშ დოლარი. საშუალოზე დაბალი მონაცემები აღინიშნებოდა 2018-2020 წლებში, (პანდემიის პერიოდი), ხოლო შემდგომ პერიოდში ის საგრძნობლად გაიზარდა, 2021 წელს ქვეყანაში მისმა რაოდენობამ შეადგინა 2,34 მილიარდი, რაც ისტორიულად რეკორდულ მაჩვენებელს წარმოადგენს და წინა წლის მაჩვენებელს 24%-ით აღემატება. რისი ძირითადი მიზეზიც რუსეთის ფედერაციიდან რეკორდულად დიდი რაოდენობის თანხის შემოდინებაა (იხ. ცხრ 3).

მიგრაციაზე საუბრისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ რა მიზეზით ტოვებს ქვეყანას მოსახლეობა, როგორია მისი სტრუქტურა და საბოლოოდ ბრუნდებიან თუ არა ისინი ქვეყანაში. სხვადასხვა კვლევების თანახმად (Sulaberidze A, 2018) ძირითად მიზეზს წარმოადგენდა სამუშაო ადგილების სიმცირე, ემიგრანტთა უმეტესობაც ქვეყნის დატოვების მიზეზად უმუშევრობას ასახელებს, რაც მეტად მწვავე იყო რეცესიის პერიოდში, რომლის გადასალახავადაც ქვეყანამ დიდი გზა განვლო; მეორე ადგილზეა მცირე ანაზღაურება, მათი თქმით არსებული განაკვეთები აკმაყოფილებს მხოლოდ მინიმალურ დონეს და

ზოგჯერ საკმარისიც კი არ არის და ემიგრანტები შესაბამისად ცხოვრების დონის ამაღლებისთვის მიდიან სამუშაოდ; მესამე ძირითადი მიზეზი გახლავთ წასვლა სასწავლად. შესაძლოა გვეგონოს, რომ ეს შრომით მიგრაციასთან კავშირში არაა, თუმცა ეს ასე არ არის. სასწავლად წასულთა უმეტესობა, უმაღლეს განათლებას იღებს სხვადასხვა ქვეყანაში და უკან აღარ ბრუნდება, შესაბამისად მუშაობას იქვე იწყებს და ამით ამცირებს მშობლიური ქვეყნის სამუშაო ძალას.

საქსტატის მონაცემებით ემიგრანტთა უდიდესი ნაწილი 18-60 წლისაა. თუმცა საგრძობლად გაიზარდა ახალგაზრდათა წილი, რომლებიც არა მხოლოდ სასწავლად, არამედ სამუშაოს საძიებლად მიდიან საზღვარგარეთ. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების ცვლილებისა და სხვადასხვა რეფორმების გატარების შემდეგ 2000-იან წლებში ემიგრანტთა უმეტესი ნაწილი დაბრუნდა, თუმცა რამდენიმე წლის გატარების შემდეგ ისინი უკან ბრუნდებოდნენ, რადგან მათივე თქმით ცხოვრების პირობები გარდაუვალს ხდის წასვლას უცხოეთში, ასევე იქ ადვილია სამუშაოს პოვნა და ასეც რომ არ იყოს, მაღალი ხელფასი სტიმულს იძლევა განმეორებადი მიგრაციისთვის. გაეროს მონაცემებით, თუ გაგრძელდა მსგავსი ტემდენცია, 2000-2050 წლებში საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 2 მილიონით შემცირდება. (The Kviris Palitra magazine, 2017).

საქართველოსთვის სავალალოა, როდესაც მას მაღალი უნარიანი მოქალაქეები ტოვებენ და ემიგრირდებიან სხვა ქვეყნებში. გარდა მაღალუნარიანი მოსახლეობის მიგრაციისა, მნიშვნელოვანია ასევე სტუდენტების მიგრაციაც, რომლებიც სწორედ უნარების ასამაღლებლად ტოვებენ ქვეყანას. ერთი მხრივ, ისეთი ქვეყნისთვის, როგორცაა საქართველო, ეს დადებითი მოვლენაა, რადგანაც მის მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ ეზიარონ განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიას, მიიღონ ცოდნა, რის დანერგვას და გაზიარებასაც საკუთარ ქვეყანაში შეძლებენ. თუმცა სამწუხაროდ არის ისეთი შემთხვევები, როცა საზღვარგარეთ კურსდამთავრებული სტუდენტი აღარ ბრუნდება საქართველოში განვითარებული,

უფრო პერსპექტიული ქვეყნებიდან, რისი მიზეზიც კვლავაც უნარების ფასთა სხვაობა და ამ უნარების გამოყენების შესაძლებლობაა.

აღნიშნულის, ნაწილობრივ მაინც თავიდან ასაცილებლად, ჩამოყალიბდა ინიციატივა, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს სტუდენტების საზღვარგარეთ გაგზავნას, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი უკან დაბრუნდებიან. სახელმწიფო კი თავის მხრივ ვალდებული იქნება მათ შესთავაზოს ოპტიმალური სამუშაო ადგილი. თუმცაღა, დღესდღეობით სტუდენტთა დიდ ნაწილს მასპინძელი ქვეყნები ან უნივერსიტეტები აფინანსებენ და არა სახელმწიფო.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ემიგრანტთა დიდი ნაწილი სამუშაოდ არალეგალურად მიდის, რომელიც ხშირად ცუდად მოქმედებს შრომით რესურსზე, ვინაიდან ისინი მუშაობენ გაუსაძლის პირობებში სწორედ იმიტომ, რომ არ აქვთ ქვეყანაში მუშაობის ნებართვა. არის შემთხვევებიც, რომ სამშობლოში წლების განმავლობაში არ ბრუნდებიან, ზოგჯერ კი საერთოდაც გადადიან სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად. ეს ყველაფერი შობადობის შემცირებასთან ერთად ამცირებს ქვეყნის მოსახლეობას, ზრდის ერის დაბერების საშიშროებას და ქვეყნის სამუშაო ძალას აცლის შრომისუნარიან მოსახლეობას.

1989 წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობა 5 მლნ 401 ათასი კაცი იყო, 2014 წლის აღწერის შედეგებით კი იგი 3 მლნ 730 ათასამდე შემცირდა. ანუ 1989-2014 წლებში მოსახლეობის პირდაპირმა კლებამ 1 მლნ 687 ათასი კაცი შეადგინა (**National Service Statistical of Georgia**), რაც ფაქტობრივად ემიგრაციის ხარჯზე საქართველოს მოსახლეობის კლების მაჩვენებელია. რა თქმა უნდა, ემიგრანტებიდან ყველა არ არის შრომითი ემიგრანტი და მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც სხვა ქვეყნებში მუდმივად საცხოვრებლად ან სასწავლებლად წავიდნენ, მაგრამ ექსპერტული შეფასებით, ემიგრანტთა სულ ცოტა 60% საქართველოდან შრომითი ემიგრანტია.

და ბოლოს, რთულია მიგრაციის ერთ კონტექსტში გააზრება, ვინაიდან იგი ყველა სფეროს მოიცავს, მრავალშრიანი, იგი გა-

ნიხილება საერთაშორისო ფენომენად და მისი კვლევაც ამოუ-
ნურვადია.

საქართველოს ჩართულობა, გლობალურ მიგრაციულ პრო-
ცესებში, ბოლო წლებში საგრძნობლად იზრდება, ნელ-ნელა წინა
პლანზე იწევს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც
ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმო-
ადგენს, ხელი ეწყობა მიგრაციის ფაქტორის გამოყენებით ქვეყ-
ნის განვითარებას, ამიტომ ლოგიკურია, რომ საქართველო დიდ
ყურადღებას უთმობს მიგრაციის პოლიტიკის განვითარებას,
ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების და მიგრაციის გაუმ-
ჯობესების მიზნით.

უდაო ფაქტია, რომ მოსახლეობის მასობრივი გადაადგილება
სახელმწიფოებს შორის საგრძნობლად ცვლის როგორც განსა-
ხლების საერთო სურათს, ასევე ქვეყნების მოსახლეობის სო-
ციალურ, დემოგრაფიულ, რასობრივ-ეთნიკურ სტრუქტურას,
აფორმირებს შრომის ბაზარს და გავლენას ახდენს ქვეყნის ეკო-
ნომიკურ განვითარებაზე.

ყველაზე ხშირად მიგრაციული პროცესები ხორციელდება
ნებაყოფლობით, თუმცა შიგა და გარე მიზეზები შეიძლება
იქცენ გარკვეულ კატალიზატორებად (უმუშევრობა, მატერია-
ლური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი, განათლების
მიღება და ა.შ. (Sulaberidze A, 2018). გვ . 58.

არსებობს მრავალი მიზეზი, რომელიც უბიძგებს მოსახლეო-
ბას ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებული
ქვეყნებისკენ. ძნელია გაკეთდეს იმ ფაქტორების სრული ჩამო-
ნათვალი, რომელიც ზრდის ამ მიგრირებად ნაკადებს. მათგან
გამოვყოფთ ძირითადებს: უმუშევრობა, არასრული დასაქმება,
მცირე შემოსავალი; ცუდი საცხოვრებელი პირობები და ა.შ.

დღევანდელ, თანამედროვე მიგრაციულ ტენდენციებს სა-
ქართველოდან დროებითი შრომითი მიგრაცია განსაზღვრავს.
დღეს ქვეყანაში, ყველა ოჯახში თუ არა, ყოველ მეორე-მესამე
ოჯახში ერთი ან ოჯახის რამოდენიმე წევრი საზღვარგარეთ
არის სამუშაოდ წასული. შრომითი მიგრაცია „გადარჩენის
სტრატეგიად“ იქცა, მითუმეტეს თუ ბოლო 2 წლის პანდემიურ

ფონს გავითვალისწინებთ. მიგრაციამ რიგი პრობლემები გამოიწვია, როგორც მიმღებ ისე გამცემ ქვეყნებში. მიგრანტები გავლენას ახდენენ იმ ქვეყნებზე რომლიდანაც მიდიან, რაც შემდეგნაირად ვლინდება: 1. სქესობრივი სტრუქტურის დარღვევა; 2. ასაკოვანი მოსახლეობის ზრდა საერთო რაოდენობაში; 3. სამუშაო ასაკის მოსახლეობის გადინება და სხვა.

განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობისა და მუშახელის ნაკლებობაა, მიგრანტების რაოდენობის ზრდა ხელსაყრელია და შესაძლოა დიდი შვებაც არის, რადგან განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრებ მოხუცთა იმედებსაც, სწორედ მიგრანტები ასაზრდოებენ სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მხრივ. მომგებიანიც კი არის, რადგან ისინი ღებულობენ იაფ მუშახელს და ქმნიან დამატებით დოვლათს, რაც უადვილებს ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის მიღწევას.

წარმოშობის ქვეყანაში შემცირებულია დემოგრაფიული წნევა რესურსებზე და მცირდება უმუშევრობა, გარდა ამისა, ითვალისწინებს მოსახლეობის გადატვირთვას, ასევე მოსახლეობის და ქვეყნის განვითარებასა და პროდუქტიულობას, ამასთან კულტურის განმრავალფეროვნებას.

ამ ფაქტორების გავლენა ქვეყნისათვის მედალიონის ორი მხარესავითაა: აქვს როგორც დადებითი, ასევე ნეგატიური შედეგები. რატომ არის ერთი ქვეყნისთვის კარგი და სასარგებლო მიიღოს უცხო ქვეყნის მოქალაქე, როდესაც სხვა ქვეყანამ უარი თქვა მიგრანტთა მიღებაზე? პასუხი მარტივია: მათ (მიგრანტებს) გამოიყენებენ ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. შესაძლოა დაისვას კითხვა: მიგრაცია კარგია ან(და ცუდია)? პასუხი აქაც მარტივად შესაძლოა გაეცეს ამ კითხვას: იმ ქვეყნისთვის, რომელიც განიცდის მუშახელის ნაკლებობას და შესაბამისად შეუძლია მიიღოს სხვა ქვეყნის მოქალაქე თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კარგია, ხოლო იმ ქვეყნისთვის, რომლის ეკონომიკური მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა, შესაძლოა ძლიერი დაპირისპირების მიზეზი გახდეს მიგრანტების მიღება, რადგანაც, რეალურად თავისი მოსახლეობის უზრუნველყოფაც კი არ შეუძლია სახელ-

მნიშვნოს, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეზე იფიქროს და იზრუნოს.

მიგრაციის პოზიტიური მხარეებიდან აღსანიშნავია ის, რომ უმუშევრობა მცირდება და ადამიანები უკეთეს სამუშაო ადგილებს იძენენ, მიგრაცია ხელს უწყობს ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, უკეთეს შესაძლებლობებს იღებენ უმაღლესი განათლების მისაღებად. მიგრანტთა დასაქმების შემთხვევაში ერთის მხრივ მოგებული რჩება, როგორც თვითონ ინდივიდი, მისი ოჯახი, მეორეს მხრივ სახელმწიფო და მსოფლიო საზოგადოება. ეს მოგება გამოიხატება ემიგრანტის გზავნილებით. ვალუტის სახით იღებენ საკმაოდ მნიშვნელოვან შემოსავალს სახელმწიფოები და მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა მასზე ზედმეტად დამოკიდებული არ არის, მაინც გზავნილები მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკურ სტაბილურობაში.

ნათელია, რომ ემიგრაციას მართლაც უამრავი პოზიტიური შედეგი მოაქვს, „მიგრაცია ყოველთვის ადამიანთა პროგრესის და დინამიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა.“ - (Ian Goldin, Oxford Martin School, 2022), როგორც ეს პროფესორი იან გოლდინის სიტყვებიდან ჩანს, თუმცა ეს არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ უგულებელვყოთ ის ზიანი, რომელიც შეიძლება ემიგრაციას თან ახლდეს:

პირველი და მთავარი-იგი კიდევ უფრო აუარესებს ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას, ქვეყნის შრომის ბაზარს აკლდება მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა (ქვეყანა კარგავს ყველაზე ენთუზიასტ და უნარიან ახალგაზრდობას), ადგილი აქვს „ტვინების გადინებას“ და ა.შ. (migratsia-sakartveloshi/shromiti-migratsia)

და ბოლოს, ძნელია გავაკეთოთ იმ ფაქტორების სრული ჩამონათვალი, რომელიც ზრდის, ან ამცირებს ამ მიგრირებად ნაკადებს. ასევე ძნელია მისი გავლენის ყველა მხარის განხილვა. რაც შეიძლება თამამად ითქვას, არის ის, რომ მიგრაცია განიხილება, როგორც საერთაშორისო მრავალშრიანი გლობალური მოვლენა, რომელსაც ვერცერთი სახელმწიფო ვერ უვლის გვერდს და რომელიც ყველა ქვეყანას, მათ შორის საქართველო-

საც სამი ძრითადი გამოწვევის წინაშე აყენებს: I. უკანონო მიგრაციის შემცირება და მიგრანტთა ცნობიერების ამაღლება; II. საზღვარს გარეთ მყოფი მიგრანტების უფლებების დაცვა; III. მიგრაციული ნაკადების უკეთესი აღრიცხვა და არსებულის დახვეწა;

ბოლო წლებში თანამედროვე მიგრაციის მულტიდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე განსაკუთრებით გახშირდა საერთაშორისო და ეროვნულ, ევროკავშირის წევრთა ინტერესი მიგრაციული პროცესების შესახებ, ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა (CMPD)-ს პროექტებმა, ასევე (2016-2021) 5 წლის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო (VLAP) გეგმამ, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა მიგრაციის მართვის სისტემა, მართალია 2021 წელს დასრულდა, მაგრამ დღეს ძველ და ახალ პარტნიორებთან თანამშრომლობით სახელმწიფო მიზნად ისახავს VLAP-ით განსაზღვრული დინამიკის შენარჩუნებას, ასევე მუდმივმოქმედი მექანიზმების დახვეწას მიგრაციასა და განვითარებას შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. (https://migration.commission.ge/files/ge-eu_m_coop_web_g.pdf)

დასკვნა

- მიუხედავად საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი ჩარევისა, საქართველოს მოსახლეობა კვლავ სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემის წინაშე დგას. საქართველოს განვითარების სტრატეგიის ხედვაა შექმნას ისეთი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და მიგრაციული პროცესების შეჩერებას.

- საერთაშორისო სამართლის თანახმად, მიგრანტებს აქვთ თავიანთი კაცობრიობის უფლებები. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტები და ხელშეკრულებები, როგორცაა დეკლარაციები, ზოგადი მოქმედებაა და შესაბამისად, მიგრანტებზე ვრცელდება. ასევე არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც მიზნად ისახავს იმიგრანტების დაცვას. ამას გარდა, ბოლო დროს ყურადღება გამახვილდა სახელმწიფოთა მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამა-

როლის შესაბამისად, გარდაცვლილ და უგზოუკვლოდ დაკარგული მიგრანტების ვალდებულებებზე.

- 2020 წელს საქართველოში შეიქმნა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რომლის მიზანია, მხარი დაუჭიროს ადგილობრივ შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის დასაქმებას, ასევე საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა დროებით ლეგალურ დასაქმებას.

- ევროკავშირის მიდგომის თანახმად, საქართველომ უნდა განსაზღვროს ადგილობრივი პრიორიტეტები და სტრატეგიები, რომელთა მიმართულებითაც უნდა განხორციელდეს ინვესტიციები, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს და შეავსოს დაგეგმვის ამჟამინდელი ჩარჩოები, როგორც რეგიონულ, ასევე მუნიციპალურ დონეზე. მიგრაციის პრევენციის ძირითადი მიმართულებიდან შეიძლება გამოვყოთ:

ა) ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება: ეს შექმნის დასაქმებას, გაზრდის სავალუტო შემოდინებას, მოსახლეობის შემოსავლის გაზრდას, გადასახადების გამომუშავებას; საერთო ჯამში, ეს იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, რომლის სტრატეგიის მიზანია შექმნას ეფექტური საგანმანათლებლო ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ადაპტირებას თანამედროვე შრომის ბაზართან.

ბ) სოფლის მეურნეობის განვითარება.: სოფლის მოსახლეობის ნაწილი მიგრირებს ურბანულ ცენტრებში - ძირითადად ქალაქებში. ამასთან, შიდა მიგრანტების უმეტესობა დედაქალაქში გადადის. მის განვითარებას შეუძლია შეასრულოს დიდი როლი სოფლის საარსებო წყაროს გაუმჯობესებაში და სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიკური დისბალანსის შემცირებაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის სრული გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სხვადასხვა პრობლემების აღმოსაფხვრელად, ქმნის დამატებით გამოწვევებს გლობალური მოსახლეობისთვის საკმარისი და ხარისხიანი საკვების მიწოდებაში. (Chkhubadze d,2022)

- გასათვალისწინებელია რიგი საკითხები: საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, ისევე როგორც საშუალო

თვიური შემოსავალი ერთ შინამეურნეობაზე, ამ განსაკუთრებული დისბალანსის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ შეიმუშაოს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მნიშვნელოვანი ბარიერების მართვა.

- საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა, საკმაოდ მძიმეა. ამიტომაც ერთ-ერთი პრიორიტეტი საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების წახალისება და დაბრუნებული მიგრანტების ხელშეწყობაა. საჭიროა მათ მიერ მიღებული ცოდნის რეალიზება ახალ ბიზნეს იდეებში.

- საქართველო იბრძვის დაძაბულ ტერიტორიულ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებთან, მაგრამ ამავე დროს მას აქვს განვითარების მნიშვნელოვანი აუთენსიტი პოტენციალი. ამ პოტენციალის გამოყენებისთვის საჭიროა სტაბილური საერთო პოლიტიკური ვითარება, რაც მოიცავს გლობალიზაციის მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობებს, როგორცაა გაზრდილი ვაჭრობა და ინვესტიციები, ქართული პროდუქციის ექსპორტი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ზრდის პროცესის სრული გამოყენება, ურთიერთობები ევროკავშირთან, ბაზრების გახსნა, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და ა.შ.

- სტრუქტურული ცვლილებებისა და კონკურენტუნარიანობის პოლიტიკა უნდა გაერთიანდეს ძლიერ მამოძრავებელ ძალასთან. სოციალური და რეგიონური ჩართულობა - მხოლოდ ასეთი ინკლუზიური განვითარებით შეიძლება მთელი ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება და მისი მოქალაქეების კეთილდღეობა.

- ამასთან გასათვალისწინებელია ის, რომ რთულია მიგრაციის ერთ კონტექსტში გააზრება, ვინაიდან იგი ყველა სფეროს მოიცავს, მრავალსპექტიანია, მოიცავს უამრავ ურთიერთდაკავშირებულ მდგენელებს, ამიტომ მიგრაციის შესახებ განდევნილების მიღება და მისი რეალიზაცია უნდა მოხდეს ამ მდგენელების: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და კულტურული ასპექტების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1]. აბრამიშვილი თ. (2022). „ ფულადი გზავნილები საქართველოში”.

<http://geoeconomics.ge/?p=13955>

[2]. დუშუაშვილი თ. (2015). „მიგრაცია-ქვეყნის მასტიმულირებელი თუ შემაფერხებელი ფაქტორი?”. <https://forbes.ge/blog/104/migracia,--qveynis-ganviTarebis-mastimulirebeli-Tu-Semaferxebeli faqtori%3F?fbclid=IwAR1FvoEuHKZVmZk7X86BFgPHcDMHyhPuaEo51QGb2J2MxkWygZGXjzM2dWM>

[3]. goldin I. (2022). Radical Change Vs Incremental Change: Which is better?.

<https://changemanagementinsight.com/radical-change-vs-incremental-change-which-is-better/>

[4]. ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია (2023) „მიგრაცია”.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90?fbclid=IwAR2wKfbVw8Me8APTijT_gdKbX8EhdRlvZg4z-E10AhCKqFr7HrbuN6uPw

[5]. თოფჩიშვილი რ. (2015) „ხალხთა მიგრაციები”.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/355773/1/Xalxta_Migraciebi.pdf?fbclid=IwAR0uwQNKbpMdW3dTm64pJeDiZhuoqAAjd373l5IGSKbG7rqpwOUaJlw-qz

[6]. კვირის პალიტრა. 2022.

(kviris palitra (<https://kvirispalitra.ge/article/38178-qase-thugagrzdelda-2050-tslithvis-saqarthvelos-mosakhleoba-1-170-000-kacith-shemcirdebaq/>

[7]. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, (2019) „საქართველოს 2019 წლის მიგრაციისპროფილი“, გვ.72-80. http://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf?fbclid=IwAR2T4Nu4Hjj7syz5zZZsBan eTQLBF4EeCBv219FLrMsIaEUGLtkD941YM

[8]. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია , (2019), „მიგრაციის სახელმძღვანელო”

https://migration.commission.ge/index.php?article_id=313&clang=0

[9]. რატიანი მ. (2015). „მიგრაცია როგორც გლობალური პრობლემა“. <http://mastsavlebeli.ge/?p=1036>

[10]. სეხნიაშვილი მ. (2018) „რემიტანსები-ფულადი გზავნილები“. <http://mastsavlebeli.ge/?p=16561>

[11]. სულაბერიძე ა. მენაბდიშვილი ლ., გომელაური ნ.,(2018). „მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. გვ.58-61.

https://www.researchgate.net/profile/Avtandil_Sulaberidze2/publication/329416630_Urgent_problems_migration_in_Georgia/links/5ea14f9992851c87d1ad150b/Urgent-problems-of-migration-in-Georgia

[12]. სანჩესი მ. (2017) „მიგრაციის სახეები“.

<https://www.actualidadviajes.com/ka/tipos-de-migracion/>

[13]. საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა.(2021), „მიგრაციის სფეროში საკვანძო მოვლენების კრებული“.

https://migration.commission.ge/files/ge-eu_m_coop_web_g.pdf

[14]. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia?fbclid=IwAR0i6zDIXXpygWqFu0Q_GoJkeM_lEJE6T3ZDw7gvejeDbalEl3Tjshl2Pc

[15]. ტუხაშვილი მ, ჭელიძე ნ.(2021) „ შრომითი მიგრაცია“.

<https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/july/books/tukhashvili-shromiTi-migracia-salekcio-kursi.pdf>

[16]. ჩხუბაძე დ, ჩეჩელაშვილი ს. (2022) „უახლოესი მიგრაციული პროცესები - გამოწვევები და შესაძლებლობები; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს მდგრადი განვითარება : გლობალური გამოწვევები და პერსპექტივები პოლიტიკურ , ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროში“ თეზისები, გრუნი.

<https://www.gruni.edu.ge/uploads/files/University/gamoce>

mebi/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

[17]. ხაჩიძე სალომე, (2019) „თანამედროვე მიგრაციული პროცესები გლობალიზაციის კონტექსტში”,

<https://openscience.ge/handle/1/872>

[18].<https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/m-i-g-r-a-t-s-i-a/migratsia-sakartveloshi/shromiti-migratsia>

REFERENCES:

[1]. Abramishvili A. (2022). „ Money transfers in Georgia”.

<http://geoeconomics.ge/?p=13955>

[2]. Dushashvili TH. (2015). „Migration - a stimulating or hindering factor of the country?”

<https://forbes.ge/blog/104/migracia,---qveynis-ganviTarebis-mastimulirebeli-Tu-Semaferxebeli faqtori%3F%fbclid =IwAR1FvoEuHKZVmZk7X86BFgPHcDMHyhPuaEo51QGb2J2MxkWyg-ZGXjzM2dWM>

[3]. goldin I. (2022). Radical Change Vs Incremental Change: Which is better?.

<https://changemanagementinsight.com/radical-change-vs-incremental-change-which-is- better/>

[4]. Wikipedia, The Free Encyclopedia (2023) “Migration”.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90?fbclid=IwAR2wKfbVw8Me8APTlijT_gdKbX8Ehd-

RlvZg4z-E10AhCKqFr7HrbuN6uPw

[5]. Thofchishvili R. (2015) „ Migrations of people”.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/355773/1/Xalxta_Migraciebi.pdf?fbclid=IwAR0-uwQNKbpMdW3dTm64pJeDiZhuo-qAAjd37315IGSKbG7rqpwOUaJIw-qs

[6]. The Kviris Palitra magazine (2022)

(kviris palitra (<https://kvirispalitra.ge/article/38178-qa-se-thu-gagrdzelda-2050-tslisthvis-saqarthvelos-mosakhleoba-1-170-000-kacith-shemcirdebaq/>

[7]. Government Commission on Migration Issues, (2019) , “2019 Migration Profile of Georgia”, pp. 72-80.

http://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf?fbclid=IwAR2T4Nu4Hjj7syz5zZZsBAneTQLBF4EeCBv219FLrMsIaEUGLTK-D941YM

[8]. Government Commission on Migration Issues, (2019), “Migration Guide”.

https://migration.commission.ge/index.php?article_id=313&clang=0

[9]. Ratiani M.(2015). “Migration as a global problem”.

<http://mastsavlebeli.ge/?p=1036>

[10]. Sekhniashvili M. (2018). „Remittances-money transfers”

<http://mastsavlebeli.ge/?p=16561>

[11]. Sulaberidze A. Menabdishvili L.,Gomelauri N,,(2018). “Current issue of population migration Problems in Georgia”. Ilia State University, Department of Demography and Institute of Sociology. pp. 58-61

https://www.researchgate.net/profile/Avtandil_Sulaberidze2/publication/329416630_Urgent_problems_migration_in_Georgia/links/5ea14f9992851c87d1ad150b/Urgent-problems-of-migration-in-Georgia

[12]. Sanchesi M. (2017). „Types of migration”.

<https://www.actualidadviajes.com/ka/tipos-de-migracion/>

[13]. Georgia-EU cooperation.(2021), „ Georgia-EU cooperation. (2021), Key events in the field of migration Collection”.

https://migration.commission.ge/files/ge-eu_m_coop_web_g.pdf

[14]. National Statistical Service of Georgia

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia?fbclid=IwAR0i6zDIXXpygWqFu0Q_GoJkeM_lEJE6T3ZDw7gveJeD-balEI3Tjshl2Pc

[15]. Tukhashvili M, Tchelidze N ,(2021) “Labor migration”.

<https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/july/books/tukhashvili-shromiT-migracia-salekcio-kursi.pdf>

[16]. Chkhubadze D, Chechelashvili S. (2022). „Upcoming Migrational Processes-Challenges and Opportunities, sustainable development of Georgia: global challenges and perspectives in political, economic,and legal terms”, abstract, gruni <https://www.gruni.edu.ge/uploads/files/University/.pdf>

[17]. Khachidze S . (2019) The Modern migrational processes of globalization in context”.

<https://openscience.ge/handle/1/872>

[18].<https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/m-i-g-r-a-t-s-i-a/migratsia-sakartveloshi/shromiti-migratsia>

ANALYSIS OF MIGRATIONAL TRENDS IN THE CONTEXT OF FORMATION OF GEORGIAN LABOR MARKET AND ECONOMIC DEVELOPMENT

Darejan Chkhubadze

Doctor of Social Sciences, Associate Professor,
Batumi Shota Rustaveli State University
Email: darejan.chkhubadze@bsu.edu.ge

RESUME

Georgia’s participation in global migration processes has increased substantially in recent years. The significance of migration in the socioeconomic, cultural, political, and demographic aspects

of the nation is growing. Effective migration management is one of the prerequisites for assuring the security and long-term stability of the nation. It is also an essential tool for rapprochement with the European Union and contributes to the country's socioeconomic development by maximizing the potential of migration. For this reason, proper planning of migration policy and continuous development of its management effectiveness is one of the Government of Georgia's top priorities, and its study is even more pertinent at the present time.

The purpose of the study is to analyze migrational trends within the context of the formation of Georgian labor market and the growth of the economy, as well as to determine future prospects.

Based on the purpose of the research, the main research objectives and hypotheses can be formulated as follows: 1. Analysis of migrational trends; 2. Characterization of the causes of migration; 3 Assessment of the impact of migration on the formation of the Georgian labor market and the development of the economy.

The methodological foundation of the work is economic science research; Georgian and foreign language scientific articles, papers, and studies are used; and the research material is founded on National Statistics Service data. In the research, qualitative and statistical methodologies are employed. This research focuses primarily on data acquisition, comparison, evaluation, and analysis.

Finally, the results and conclusions of the research can be used in higher education institutions as a guide material, and it will significantly help various institutions in working out the adequate issues of defining and realizing the country's economic development course.

Key words: Modern migrational trends, Migrational challenges, Exporting-importing countries, Migration factors, Migration policy.

**მდგრადი განვითარების კონცეფცია - ქვეყნის
ეკოლოგიურ-ეკონომიკური განვითარების
დოქტრინა**

DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-43

მალხაზ გვიჩია

ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი,
gvichia.m@mail.ru

მზისაძარ ბუალავა

ემკ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ლალი ხარბედია

ემკ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

განხილულია მდგრადი განვითარების კონცეფციის თეორიული ასპექტები. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ეკონომიკურ-ეკოლოგიური ასპექტების შესწავლაზე. აღნიშნულია, რომ მდგრადი განვითარება და მისი რეალიზება ნებისმიერი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანებია. მდგრადი განვითარება – ეს არის საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შეუქცევადი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

მსოფლიო საზოგადოებამ დაიწყო მსჯელობა, თუ როგორ დააღწიოს თავი გლობალურ პოსტინდუსტრიულ მანქანას, რაც

დადასტურდება დოკუმენტით – „XXI საუკუნის დღის წესრიგი“, რომელიც მიღებულია გაეროს სპეციალურ კონფერენციაზე. მისი მიზანია შექმნას ახალი მოდელი, რომელიც შეძლებს ცივილიზაციას დაეხმაროს გლობალური წინააღმდეგობის დაძლევაში. ასეთი მოდელად ითვლება ეროვნული ეკონომიკის მდგრად განვითარება. ხაზგასმულია, რომ მდგრადი განვითარება, თითოეული ქვეყნის არჩევანია და ის დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკოლოგიურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე, არამედ რელიგიაზე, კულტურულ ტრადიციებზე, მორალურ იმპერატივებზე და ა.შ. ეს ყველაფერი იწვევს გარკვეულ ქვეყნებში მდგრადი განვითარების ფორმირებას მისი ზოგადი პრინციპების შენარჩუნების აუცილებლობით.

ამრიგად, მდგრადი განვითარება დამყარებულია დემოკრატიული საზოგადოების ისეთ ეკონომიკაზე, რომელშიც შენწყმულია ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები. მდგრადი განვითარება არის სამი ურთიერთდაკავშირებული სფეროს გადაკვეთის ადგილი: საზოგადოება, ეკონომიკა და გარემო.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, გლობალიზაცია, ეროვნული ეკონომიკა, ეკოლოგიურ-ეკონომიკური პოლიტიკა.

შესავალი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესმა მრავალი ქვეყანა ახალი გამოწვევებისა და არჩევნის წინაშე დაყენა. ამ არჩევნის მთავარი მიზანი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ მსოფლიო ეკონომიკაში „ბუნებრივი“ ადგილის პოვნაა, ისე რომ არ დაკარგონ ისტორიულად მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახის მიღწევები და არ ჩამორჩნენ რეალობას, მაქსიმალური შესაძლო სარგებელი ნახონ ყოველივე ახალიდან. ამ გარემოებათა გათვალისწინებით მათ უნდა შეძლონ განვითარების ეროვნული მოდელის შემუშავება. ამ გამოწვევის წინაშე დგას საქართველოც.

ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეროვნულ სახელმწიფოთა წინსვლა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენად შეძლებენ გლობალური სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციებისადმი ქვეყანაში რეალურად ჩამოყალიბებული ეროვნული მენტალიტეტის, ინტერესებისა და ტრადიციების მისადაგებას. ყოველივე ეს ეროვნული ეკონომიკების განვითარების შესახებ არსებული თეორიული კონცეფციების გაანალიზებას მოითხოვს. ერთ-ერთი თანამედროვე მიმართულება, რომელიც ამ მიზანს ემსახურება, არის მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში ჩაეყარა. დღეს კი ის მრავალი ქვეყნის, განსაკუთრებით კი ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოების ეროვნული ეკონომიკის განვითარების დოქტრინას წარმოადგენს. გამოწვევის არც საქართველოა. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ეწოდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რაც არსებითად ცვლის ამ უწყების მიზნებსა და მოქმედების არეალს. ჩვენი მიზანია ყურადღება გავამახვილოთ მდგრადი განვითარების ეკონომიკურ ასპექტებზე და პრობლემა ამ კუთხით განვიხილოთ.

ძირითადი შინაარსი

მდგრადი განვითარება – ეს არის საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შეუქცევადი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი. მრავალი მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს მდგრადი განვითარების ეკონომიკურ ასპექტებზე. იგი განიხილება განვითარებად, რომელიც მომავალ თაობებს არ აკისრებს დამატებითი დანახარჯების გაწევის აუცილებლობას, და რომელიც უზრუნველყოფს პერსპექტივაზე გათვლილ სანარმოო პოტენციალის კვლავწარმოებას.

მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველია გაეროს საერთაშორისო კომისიის სპეციალური გამოკვლევა, რომელიც მოხსენების ფორმით წარადგინა 1987 წელს გ. ბრუნტლანდმა. შემდეგში იგი ჩამოყალიბდა მდგრადი განვითარების პრინციპების სახით რიო-დე-ჟანეიროს სპეციალურ კონფერენციაზე. [6] საერთაშორისო აღიარებით, ეს პრინციპები მიღებულია როგორც უმთავრესი გზა გლობალური და რეგიონული განვითარებისათვის. მსოფლიოს ყველა განვითარებულმა სახელმწიფომ განაცხადა მდგრადი განვითარების გზით სიარულის სურვილი. იგი მოითხოვს ეკოლოგიურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას. მდგრადი განვითარების პირობებში თითოეული ქვეყნის მიერ ეკოლოგიურ-ეკონომიკური პოლიტიკის არჩევას განაპირობებს რელიგია, კულტურული ტრადიციები, ზნეობრივი იმპერატივები და სხვა. ყველაფერი ეს იწვევს ცალკეულ ქვეყნებში მდგრადი განვითარების ფორმირების სპეციფიკას საერთო პრინციპების შენარჩუნების აუცილებლობით.

მდგრადი განვითარება დღეს განიხილება ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნის პირობად. ამ მხრივ აღსანიშნავია პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორის გიუნტერ ბუხლერის მიერ გამოქვეყნებული სტატია “რას მოაქვს წარმატება? მდგრადი ეკონომიკური განვითარების 8 გაკვეთილი”. [1]

2013 წელს გამოჩენილი მოღვაწეებისაგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელთა შორის ელენ ჯონსონ სერლიფი და დევიდ კემერონიც არიან, 2015 წლის შემდგომი პერიოდისათვის განვითარების პროგრამული ორიენტირების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა სახელწოდებით “ახალი გლობალური პარტნიორობა” (“გაერო“-ს გამომცემლობა, 2013). რომლის თანახმად კაცობრიობის მთავარი მიზანი მდგრადი განვითარების მეშვეობით უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა და ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნაა.

მდგრადი განვითარება და მისი რეალიზაციის გზების ძიება ნებისმიერი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა. მსოფლიო საზოგადოება იწყებს მსჯელობას, როგორ და-

აღნიშნული თავი გლობალურ პოსტინდუსტრიულ მანქანას. ამას ადასტურებს გაეროს სპეციალურ კონფერენციაზე მიღებული დოკუმენტი `დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის. უნდა შეიქმნას განვითარების ახალი მოდელი, რომელიც შეძლებს, დაეხმაროს ცივილიზაციას გლობალური წინააღმდეგობის გადაჭრაში. ასეთ მოდელად მოიაზრება ნეოეკონომიკა.

ნეოეკონომიკა ცივილიზაციური განვითარების პოსტინდუსტრიული ეტაპის შემდგომი საფეხურია – ფასეულობათა ახალი ნაკრების საფუძველზე ჩამოყალიბებული გლობალური სისტემის პროგრესული მოდელი, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიური და არასისტემური (ეთნოეროვნული, კულტურული, მორალურ-ეთიკური, ეკოლოგიური და ა.შ.) ფაქტორების ჰარმონიულ სიმბიოზს ცხოვრების დონის კვლავწარმოებისათვის.

პროგრესული განვითარების ნეოეკონომიკური მოდელი გულისხმობს მსოფლიო განვითარების ახალ კანონზომიერებათა ჩამოყალიბებას, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალი პრინციპების შემუშავებას. აღსანიშნავია, რომ არსებითად იცვლება თვით ადამიანის როლი ახალ მოდელში. უნდა ჩამოყალიბდეს განვითარების ახალი სუბიექტი და შესაბამისად ახალი ორგანიზაციულ-ფუნქციური სტრუქტურები.

ეროვნულმა ეკონომიკურმა სისტემებმა გამოავლინეს მოქნილობის მაღალი ხარისხი, რაც ქმნის საფუძველს პოსტინდუსტრიული სამეურნეო სისტემის ძირითად მახასიათებელთა შერწყმისათვის ეთნოეროვნულ გარემოსთან. ასევე იქმნება საფუძველი ისეთი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული მენტალიტეტის, კულტურულ და ტრადიციულ ფასეულობათა შერწყმას ცხოვრების ახალ წესთან. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სახელმწიფოებრივი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას. საქართველოში ჯერ კიდევ 1996 – 1997 წლებში ქართველმა მეცნიერებმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს აღნიშნულ პრობლემებს. მათ შორის აღსანიშნავია თ. ჩიკვაიძის საქართველოს მდგრადი და უსაფრ-

თხო განვითარების პროგრამა XXI საუკუნისათვის, რომელშიც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები გამოიკვეთა. როგორც ავტორი აღნიშნავს, მისი შემუშავება განაპირობა „მსოფლიოს გლობალური, განსაკუთრებით ეკოლოგიური კატასტროფის, რესურსების უკმარისობის პრობლემის გამწვავებამ, უდიდესმა გეოპოლიტიკურმა ძვრებმა მსოფლიოში და საქართველოს განვითარების გამოცდილებამ უკანასკნელ პერიოდში“. მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის ღონისძიებების დასახვა გლობალური თუ რეგიონული პოლიტიკური ტრანსფორმაციის სხვადასხვა სცენარის და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით. საჭიროა ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების მოდელის შემუშავება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით საქართველოში გარკვეული რეალური ნაბიჯები გადაიდგა. საქართველოს მდგრადი განვითარების მოდელის შემუშავების მიზნით მონვეულ იქნა არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული გლობალური მდგრადი განვითარების ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი, რომელთა შორის იყო მეცნიერი ჯონ ჰოფმაისტერი. მიუხედავად იმისა, რომ ის ძირითადად მდგრადი განვითარების ენერგეტიკულ ასპექტებს იკვლევს, აღნიშნავს, რომ მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი მულტისექტორულია და მოიცავს სხვადასხვა სფეროს. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მდგრადი განვითარების ეკონომიკურ ასპექტებზე და აღნიშნავს: “ნარმატებისა და განვითარების გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური კეთილდღეობაა. ეს მეტ სამუშაო ადგილს, შიდა ინვესტიციების ზრდას, ადამიანური შესაძლებლობების გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურის შექმნა-დახვეწას და ბევრ სხვა ასპექტს მოიცავს როგორც მოკლე, ისე ხანგრძლივი ძალისხმევის შედეგად.”

გლობალურ დონეზე „მდგრადი განვითარების“ ცენტრალურ იდეას წარმოადგენს პოსტინდუსტრიალიზმის მდგრადობის დასაბუთება, რაც გულისხმობს მსოფლიო კვლავწარმოების ციკლების შენარჩუნებას და მათი მოქმედების მდგრადობას,

რისთვისაც საჭიროა ეროვნულ რესურსთა უწყვეტად მიწოდების უზრუნველყოფა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან. მაგრამ თვით პოსტინდუსტრიალიზმის უმაღლესი ფაზა - ტექნოგენური წყობა შეიძლება აღმოჩნდეს მიზეზი მრავალი ქვეყნის მდგრადი განვითარების შერყევისა. (მხედველობაში გვაქვს მაღალ ტექნოლოგიათა რევოლუციური განვითარება, რომელიც ხშირად ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანი სამეურნეო ინფრასტრუქტურების მოშლას იწვევს და მძიმე მდგომარეობაში აყენებს ეროვნულ ეკონომიკას). პოსტინდუსტრიულმა მოდელმა შეიმუშავა მდგრადი განვითარების სტრატეგიული მეთოდები, მაგრამ მხოლოდ მსოფლიო ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების ცენტრებისათვის. რაც შეეხება რეგიონული ეკონომიკური სივრცის სხვა არეალებს, ეკონომიკური ზრდის ეკოლოგიურ შემადგენელთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებას, ცხოვრების დონის კვლავ-წარმოებას კულტურული, მორალურ-ეთიკური, რელიგიური და სხვა ტრადიციული ფაქტორების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ შესაბამისად ცნება - `მდგრადი განვითარება` იძენს სრულიად განსხვავებულ შინაარსობრივ და ფუნქციურ დატვირთვას. ის გულისხმობს ეროვნული და ინდუსტრიული ელემენტების ჰარმონიული სინთეზის მდგრადობას. ეს არის განვითარების მოდელი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომავალი თაობების უფლება ისარგებლონ შეუქცევადი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი. ამისათვის კი აუცილებელია ქვეყნის ხელისუფლებამ გაიაზროს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივები და შექმნას შესაძლებლობები იმისათვის, რომ ყველა სექტორმა კომბინირებულად იმოქმედოს. როგორც ჯონ ჰოფმეისტერი აღნიშნავს, მნიშვნელოვანია, რომ დროს ჩვენს მეგობრად აღვიქვამდეთ. დრო, რომელიც მიდის, მტერი კი არა მეგობარია, მაშინ, როდესაც თქვენ იაზრებთ მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივებს. მისივე სიტყვებით

რომ ვთქვათ, განვითარების გზაზე ბევრი პარლამენტი და ბევრი პრემიერ მინისტრი შეიცვლება. თუმცა ხალხი არის ის, რაც არ იცვლება. განვითარების ამ მოდელისაგან საქართველოს მოსახლეობამ, საქართველოს ბიზნესმა უნდა მიიღოს სარგებელი.[2]

დასკვნა

ამრიგად, მდგრადი განვითარება დამყარებულია დემოკრატიული საზოგადოების ისეთ ეკონომიკაზე, რომელშიც შერწყმულია ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები. მდგრადი განვითარება არის სამი ურთიერთდაკავშირებული სფეროს გადაკვეთის ადგილი: საზოგადოება, ეკონომიკა და გარემო. ის მხოლოდ გარემოს დაცვაზე არ არის ორიენტირებული, არამედ მოიცავს ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს: სოციალურს, ეკონომიკურს, კულტურულს, პოლიტიკურსა და დემოგრაფიულს. აქედან გამომდინარე, მდგრადი განვითარების მოდელი შეიძლება საფუძვლად დაედოს ქვეყნების, რეგიონების, ერების და გლობალური საზოგადოების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიუნტერ ბუხლერი, რას მოაქვს წარმატება? მდგრადი ეკონომიკური განვითარების 8 გაკვეთილი. ჟურნალი "ლიბერალი", ონლაინ გამოცემა, თბილისი, 2013.
2. ჯონ ჰოფმეისტერი საქართველოს მდგრადი განვითარების გამოწვევის შესახებ, ჟურნალი "ლიბერალი", ონლაინ გამოცემა, თბილისი, 2015.
3. ლ.თოდუა, შ. მურღულია, მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2010.
4. პეპანაშვილი ნ., კლიმატში ლ., მალრაძე კ., გარემო და მდგრადი განვითარება, სტუ, თბილისი 2007.
5. სილაგაძე ა. ნ., ბასილაია თ., ჩიკვაიძე თ. ნ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია. საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001;
6. შიხაშვილი გ., მდგრადი განვითარების კონცეფცია და ეკო-

ლოგიური მენეჯმენტი. საქართველოს სტრატეგიული კვლევის ცენტრი, ბიულეტენი #51, 2001, გვ. 3-30;

7. www.ifsdeurope.com/conseptge.html

w3.cenn.org/wssl/uploads/files/Sustainable_Development_and_Reforms_in_Georgia <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/115578/>

8. <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-27>

9. <http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=43>

10. <http://www.conferenceconomics.tsu.ge/>

REFERENCES:

1. Gunther Buchler - What Does Success Bring? 8 lessons of sustainable economic development. "Liberal" magazine, online edition, Tbilisi, 2013;

2. John Hofmeister = On the Challenge of Sustainable Development of Georgia, "Liberali" magazine, online edition, Tbilisi, 2015;

3. L. Todua, Sh. Murgulia - Sustainable Development and Reforms of Georgia, Center for Strategic Studies and Development of Georgia, Tbilisi, 2010;

Pepanashvili N., Klimiashvili L., Maghradze K., = Environment and Sustainable Development, Stu, Tbilisi 2007;

5. Silagadze A. N., Basilaya T., Chikvaidze T. N. = Post-Socialist Transformation. Georgian Economy at the Edge of the XXI Century, Tb., 2001;

6. Shikhashvili G., - Concept of Sustainable Development and Ecological Management. Center of Strategic Studies of Georgia, Bulletin #51, 2001, pg. 3;

7. www.ifsdeurope.com/conseptge.html

w3.cenn.org/wssl/uploads/files/Sustainable_Development_and_Reforms_in_Georgia <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/115578/>

8. <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-27>

9. <http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=43>

10. <http://www.conferenceconomics.tsu.ge/>

**„THE CONCEPT OF SUSTAINABLE DEVELOPMENT
AS A DOCTRINE OF ECOLOGICAL-ECONOMIC DEVELOPMENT
OF A COUNTRY“**

Malkhaz Gwichia, PhD

Doctor of Economics, lecturer of Akaki Tsereteli
State University; email: gvichia.m@mail.ru

Mzisadar Bzhalava, PhD

Assistant Professor of Akaki Tsereteli State University

Lali Kharbedia, PhD

Associate Professor of Akaki Tsereteli State University

RESUME

The work “The concept of sustainable development as a doctrine of ecological-economic development of the country” discusses theoretical aspects of the concept of sustainable development. The main focus is made on the study of the economic aspects. It is noted that the sustainable development and its realization are the most important strategic tasks for any country. The world society has begun to discuss how to get rid of the global post-industrial machine. The latter can be confirmed by the document – “Agenda of the XXI c.” - adopted at the UN special conference. Its aim is to create a new model which will be able to help the civilization overcome the global resistance. Such model is considered to be sustainable development of national economies. It is emphasized, that in the conditions of sustainable development, the choice of each country’s ecological and economic policy is depended on the religion, cultural traditions, moral imperatives and, etc. All this leads to the formation of the sustainable development in certain countries with the necessity to preserve its general principles.

Key words: sustainable development, globalization, national economy, ecological-economic policy.

სახელმწიფოს როლი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში

DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-53

რევაზ შენგელია

ემდ, სტუ პროფესორი
economica_2008@yahoo.com

ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია

ემდ, სტუ პროფესორი;
tsiklauri-shengeliajujuna05@gtu.ge

ნათია შენგელია

ეად, სტუ ასოცირებული პროფესორი,
ლუბლინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის
მონვეული პროფესორი
natia.shengelia@oxfordbrookes.net

რეზიუმე

განხილულია ეკოლოგიისა და ეკონომიკის დიალექტიკური კავშირი, სახელმწიფოს როლი ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში, დახასიათებულია საქართველოს ეკონომიკაში არსებული ზოგიერთი არასახარბიელო მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები; გამოკვეთილია ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი დამაბრკოლებელი ფაქტორის- მორალურად მოძველებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის(მტც) მოვლენის ობიექტურად არსებობა; ნარმოჩენილია განათლების სფეროში მოღვაწე მუშაკთა როლი ეკონომიკაში არსებული არასასურველი მდგომარეობის გამოსასწორებლად და ქვეყნის შემდგომი წინსვლის საქმეში. ნაჩვენებია მტც და ფიზიკური კაპიტალის დაგროვებისა და გამოყენების მკვეთრი თავისებურებანი მოძველების თვალსაწიერით, გამომდინარე აქიდან ნაჩვენებია მტც უალრესად დიდი როლი ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, მორალური მოძველება, ეკოლოგია, ეკონომიკური განვითარება.

ძირითადი ტექსტი

მთელი თავისი არსებობის მანძილზე ადამიანი ყოველთვის ცდილობდა შეექმნა ისეთი გარემო პირობები, რომლის დახმარებითაც ცხოვრებას უფრო გაიმარტივებდა, მას არ ჰქონდა სამყაროს სრული სურათი და წყვეტდა მხოლოდ მომენტალურ ამოცანებს, იქნებოდა ეს საკვების მოპოვება თუ საცხოვრებელი ადგილის პოვნა. და ყოველ ჯერზე შექმნისა და **განვითარების** ვექტორი მიმართული იყო გარემოსკენ, რომელსაც ადამიანი თავისი მოთხოვნილებების შესაბამისად იყენებდა. შესაბამისად, სწრაფ ეკონომიკურ ზრდა-განვითარებას თან ახლდა ნეგატიური გავლენა ეკოლოგიურ გარემოსა და ბუნებრივ რესურსებზე. ამჟამად კაცობრიობის პრობლემებს ამძიმებს ის ფაქტი, რომ იძულებული ვხდებით რესურსების მზარდი ნაწილი **დაიხარჯოს არა წარმოების განვითარებაზე, არამედ გარემოს გადარჩენაზე** (წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი დაბინძურება იწყებს მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის შენელებას) მსგავსად იმისა, როგორც ეს ხდება ხშირად რეალურ ცხოვრებაში, როცა „ადამიანები **ხარჯავენ ფულს** ჯანმრთელობის აღსადგენად, რომელიც **დაკარგეს** ფულის საშოვნელად/პლატონი/“. გამოდის რომ ეკოლოგიური ფაქტორი შეიძლება **იყოს მიზეზი როგორც ეკონომიკური ზრდის შენელების** (ეკოლოგიის გათვალისწინება დიდძალ ხარჯებთანაა დაკავშირებული), **ასევე დაჩქარებისა** (ეკოლოგიის გათვალისწინებამ მომავალში შეიძლება ახალი საწარმოების შექმნის საჭიროება გამოიწვიოს, გარდა ამისა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე დიდი მოთხოვნა კიდევ უფრო დააჩქარებს ეკონომიკის განვითარებას). ასეთ პირობებში **სოციალურ ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში სახელმწიფოს როლი რომ უაღრესად დიდია, ამაზე არავინ დაობს.**

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეკოლოგიაზე ზრუნვა კერძო კომპანიების ამოცანა არ იყოს. პირიქით, მათი საქმიანობის წარ-

მატების საფუძველია, რადგან **ჯერ ერთი**, ასეთი ზრუნვა, მიუხედავად თავიდანვე განეული დიდი ხარჯებისა, მომავალში ფულის დაზოგვის საფუძველი შეიძლება გახდეს, მაგალითად, მზის ენერჯიაზე გადასვლა თავდაპირველად დიდ ინვესტიციებს მოითხოვს, მაგრამ მომავალში ის ელექტროენერჯიაზე ხარჯების შემცირებას გამოიწვევს¹. **მეორე**, ვინაიდან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მოთხოვნა ახლაც დიდია და მომავალში კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაიზრდება, ბუნებრივია, ეს გამოიწვევს მხოლოდ ასეთი პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების წარმატებებს-მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, იმიჯის დამკვიდრებას, შესაბამისად, ახალი მომხმარებლების გაჩენას; უფრო მეტი, როგორც ქვეყნის, ისე საწარმოების დონეზე საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

მართალია, ეკოლოგიური პრობლემების დაძლევისკენ მიმართული ღონისძიებები როგორც კომპანიების ისე მთელი საზოგადოების ზუნვის საგანია, მაგრამ, როგორც წესი, უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს ამოცანაა. გრეგორ მენქიუს „ეკონომიკის პრინციპების“ მეშვიდე პრინციპში აღნიშნულია, რომ „მთავრობას ზოგჯერ შეუძლია ბაზრის ფუნქციონირების შედეგების გაუმჯობესება“². მართალია, „უხილავი ხელი“ საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ძლიერი საშუალებაა, მაგრამ ზოგჯერ ადგილი აქვს „საბაზრო ჩავარდნას“, რომლის ერთ-ერთი მიზეზია გარეგანი ფაქტორის არსებობა. კლასიკურ მაგალითად ამისა „ეკონომიკის პრინციპებში“ დასახელებულია გარემოს დაბინძურება. როცა ქარხნის გამონაბოლქვი აბინძურებს გარემოს, ის ზიანს აყენებს სხვას. ასეთ შემთხვევაში დგება მთავრობის მიერ ღონისძიებების გატარების მომენტი დაბინძურებული გარემოს გასაჯანსაღებლად³. სწორედ ამ ქრილშია დანახული ეკონომიკური ზრდა-განვითარება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020-ში, რომელიც სამ უმთავრეს პრინციპს ემყარება. **პირველი პრინციპი** ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს ქვეყა-

ნაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას; **მეორე პრინციპია** ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება; **მესამე ძირითადი პრინციპია** ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება.

ვინაიდან ეკოლოგიურ **დაბინძურებას საზღვრები** არ გააჩნია, ასეთი გლობალური პრობლემის გადაჭრა **ყველა სახელმწიფოს ჩართულობის**, ერთობლივი მოქმედების გარეშე შეუძლებელია⁴. ეკონომიკის განვითარების სანაცვლოდ ეკოლოგიის უგულვებლყოფა ეს იგივე ადამიანთა ჯანმრთელობის უგულვებლყოფაა, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც ეს პრობლემა აშკარად შესამჩნევია, რადგან როგორც მონაცემებიდან ირკვევა 100 000 მოსახლეზე დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობით ევროპის რეგიონში საქართველოს მეორე ადგილი უკავია⁵.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკის მე-7-ე პრინციპის მიხედვით თუ ვიხელმძღვანელებთ, საჭიროა ეკონომიკურ ზრდა-განვითარებასა და ეკოლოგიის მოთხოვნებს შორის შესაბამისობა, საზღვრების დადგენა, პროპორციების გათვალისწინება, რაშიც **სახელმწიფოს როლი**, როგორც თითოეულ ქვეყანაში, ისე ყველგან უაღრესად დიდია. ამ მიმართულებით, თუ მართლაც გვსურს **კონკურენტუნარიანი ეროვნული ეკონომიკის** გრძელვადიანი, მდგრადი ზრდა-განვითარება, სახელმწიფოს სწორი პოლიტიკით ინვესტიციები უნდა წარვმართოთ **ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციისაკენ**, რადგან ამ სფეროში არსებული დაბალი დონე განაპირობებს **ბუნებრივი რესურსების არარაციონალურ გამოყენებას და საფრთხეს უქმნის ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს, საბოლოო ანგარიშში კი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას. წინააღმდეგ შემთხვევაში** საქართველოში წარმოებული საქონელი ისევე იქნება არაკონკურენტული, დაბალი დამატებული ღირებულების

მქონე და დავრჩებით მხოლოდ შედარებით განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობის იმედად, რომელიც პირდაპირ არის მიბმული საქართველოში მოპოვებულ ბუნებრივ რესურსებზე და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ინოვაციურ განვითარებაში არსებული სავალალო მდგომარეობა, ვფიქრობთ, პირველ რიგში, **ინვესტირება უნდა მოვახდინოთ სუსტად განვითარებულ მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაში**, რადგანაც ინვესტირებას განათლებლაში, ცოდნაში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ფიზიკურ კაპიტალში⁶. უფრო მეტიც, მტკ და ფიზიკურ კაპიტალის დაგროვებისა და გამოყენების მკვეთრი თავისებურებიდან გამომდინარე მტკ დაგროვება მთელი კაცობრიობის მანძილზე ყოველთვის უსწრებდა ფიზიკურ კაპიტალის დაგროვებას, რადგან ცოდნა და გამოცდილება მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ მორალური მოძველების შემდეგ თუ ხდებოდა უვარგისი. გამომდინარე აქიდან მტკ უაღრესად დიდი როლი აქვს ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის.

ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს მტკ სფეროში ისეთ ინვესტიციების მოზიდვას, რომლებიც ხელს შეწყობს ქვეყანაში მაღალი დამატებული ღირებულების შექმნას, კონკურენტუნარიანობის ზრდას და, რაც მთავარია, სოციალურად ვარგისი, ინოვაციური, **ეკოლოგიური ტექნიკის, ტექნოლოგიების წარმოებას და დანერგვის სტადიაზე** კონკურენტული გარემოს ფორმირებას.

კონკურენტუნარიანი, სოციალურად ვარგისი, ინოვაციური, **ეკოლოგიური ტექნიკის, ტექნოლოგიების შექმნა** წარმუდგენელია კონკურენტუნარიანი ცოდნის გარეშე. ამ თვალსაზრისით **თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, გლობალიზაციის პირობებში** სავსებით შესაძლებელია წარმოების მსგავსად ვიმსჯელოთ არამართ ტექნიკის, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების შესახებაც. ამ უკანასკნელის ობიექტურად არსებობა იმითაც დასტურდება, რომ ჩვენში ხშირად როგორც ცალკეული ინდივიდი, ისე სახელ-

მნიფო ყოველნაირად ცდილობს დაზოგოს სახსრები განათლებაზე(მითუმეტეს ეკოლოგიურ განათლებაზე-ხაზგასმა ჩვენია) და მეცნიერებაზე და ანგარიში არ გაუწიოს იმ ფაქტს, რომ იაფი და უხარისხო ცოდნიდან მიღებული ზარალი და დანაკარგები ბევრად სჭარბობს ძვირ, მაგრამ მაღალხარისხიან ცოდნაზე გაღებულ ხარჯებს. მეტიც, ხშირად თავს ვინონებთ, რომ საქართველო იაფი მუშახელის გამო მიმზიდველია უცხოელ ინვესტორთათვის და გვაეინყდება, რომ იაფი მუშა-ხელი დაბალ კვალიფიკაციას, დაბალ შემოსავალს ნიშნავს, დაბალი შემოსავალი კი-ცხოვრების დაბალ დონეს, სიღარიბეს. ხაზგასასმელია, ისიც, რომ დაბალკვალიფიციური მუშაკი (იაფი მუშა-ხელი) და ინოვაციები, მონინავე ტექნიკა-ტექნოლოგია შეუთავსებელი მოვლენებია, რაც ბუნებრივად აფერხებს პროგრესს და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის მშენებლობას⁷.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების~სავარაუდო შედეგები? ამ პრობლემების მოგვარებისათვის საჭიროა რიგი ღონისძიებათა გატარება:

-მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება შეუძლებელია მაღალი დონის უმაღლეს სასწავლებლების ფუნდამენტური რეფორმირების გარეშე. პირველ რიგში, სახელმნიფომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მოძველებული განათლების მქონე მომსახურე პერსონალი არ დარჩეს სამუშაო ადგილების გარეშე, რისთვისაც აუცილებელია პერმანენტულად ხდებოდეს მათი გადამზადება;

-ასევე აუცილებელია უცხოური გამოცდილების, ცოდნის გაზიარებაც; ჩვენს ქვეყანაში უნდა ჩამოვიდნენ უცხოელი, კვალიფიციური კადრები, რათა მათ გაუზიარონ საკუთარი ცოდნა ქართველ კოლეგებს.

-მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამ მიმართულებით ინვესტიციების როლი უაღრესად დიდია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შიდა ინვესტიციები. მაგრამ. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს უარი ვთქვათ უცხოურ ინვესტიციებზე.

ამიტომ ხელისუფლებისათვის ეს საქმიანობა უნდა გახდეს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი შემადგენელი ნაწილი. ამ კუთხით მთავრობაში შესამუშავებელია ადგილობრივი ინვესტიციების წამახალისებელი სტრატეგია, რათა ისინი საბოლოო ჯამში ზოგიერთ დარგში, სფეროში სჭარბობდეს უცხოურ ინვესტიციებს. ყოველივე ეს გამომდინარეობს წარმოების სოციალური მიზნის ფილოსოფიის, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან. ამასთან სასურველია ინვესტიციები უპირატესად წარიმართოს ინტელექტუალური, ადამიანური კაპიტალის, ცოდნის განსავითარებლად. ცოდნის ჩამოყალიბების სფეროში მორალური მოქველების საკითხი პირველ რიგში იმიტომ არის გასათვალისწინებელი, რომ სწორედ აქ, სანყის ეტაპზე იწყება მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოქველება და შემდეგ იგი აშკარა გამოხატულებას პოულობს სანარმოებში ფუნქციონირებად ტექნიკასა და ტექნოლოგიაში. გამომდინარე აქედან, პრობლემის მოგვარება უნდა დავიწყოთ არა წარმოების სფეროში, არამედ იდეის, ცოდნის ფორმირების პროცესში, გნებავთ სტუდენტთა და მოსწავლეთა აუდიტორიებიდან.

დასკვნა

ამრიგად, ეკოლოგიასა და ეკონომიკის განვითარებას შორის მჭიდრო კავშირია. ეკოლოგიურ პრობლემებს უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაზე, თავის მხრივ ეკონომიკის წარმართვას ბუნებისდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინებით/არგათვალისწინებით ასევე დიდად შეუძლია არსებული გარემოს შეცვლა. ამრიგად, ეკოლოგიურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფოს როლი უაღრესად დიდია, ვფიქრობთ, საბოლოო ჯამში, პრობლემის მოგვარების გასაღები თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის შექმნის სფეროშია, ვინაიდან განათლება განვითარების ფუნდამენტური ფაქტორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Solar panels for businesses: does commercial solar make sense?" – <https://news.energysage.com/commercial-solar-benefits-for-business/>;

2. გრეგორ მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, მეორე ქართული გამოცემა „დიოგენე“, 2008, გვ.11;

3. იქვე, გვ.12;

4. (http://pgie.tsu.ge/contentimage/konferenciebi/2017_.pdf);

5. https://gahp.net/wp-content/uploads/2019/12/PollutionandHealthMetrics-final-12_18_2019.pdf?fbclid=IwAR0cbCyj9qnXCyiYZ1d8Diq5K5a9nh1jOg-UfW2xgX013XeizMtA1NeGGL4

6. ჟურნალი „კომენტარი“, 2003წ. #1, გვ-40;

7. ჟურნალი „ეკონომიკა“, N7-9, 2014 წ. გვ.24;

REFERENCES:

1. Solar panels for businesses: does commercial solar make sense?" – <https://news.energysage.com/commercial-solar-benefits-for-business/>;

2. Gregory Mankiw, Principles of Economics, 2nd Georgian Edition , “Diogene”, 2008, p.11;

3. Gregory Mankiw , Principles of Economics , 2nd Georgian Edition , “Diogene”, 2008, p.12;

4. (http://pgie.tsu.ge/contentimage/konferenciebi/2017_.pdf);

5. https://gahp.net/wp-content/uploads/2019/12/PollutionandHealthMetrics-final-12_18_2019.pdf?fbclid=IwAR0cbCyj9qnXCyiYZ1d8Diq5K5a9nh1jOg-UfW2xgX013XeizMtA1NeGGL4

6. Journal “Comment”, 2003y. #1, p. 40;

7. Journal “Economics”, N7-9, 2014y. p.24;

THE ROLE OF GOVERNMENT IN SOLVING SOCIO-ECONOMIC AND ECOLOGICAL PROBLEMS

Revaz Shengelia,

PhD, GTU, Professor,

economica_2008@yahoo.com

Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia,

PhD, GTU, Professor,

tsiklauri-shengeliajuna05@gtu.ge

Natia Shengelia,

PhD, GTU Associate Professor;

Lublin University of Technology, Invited Professor

natia.shengelia@oxfordbrookes.net

RESUME

In the article there is discussed the dialectic connection between ecology and economics, the role of state in solving ecological problems, there are also characterized some unfavorable conditions existing in the Georgian economy and the ways of its improvement. Additionally, the objective existence of one of the main hindering factors for economic growth and development- the morally outdated scientific and technical knowledge (S&TK) is highlighted; The role of employees from the field of education to improve the unfavorable situation in the economy and further progress of the country is presented. Moreover, much attention is paid to the sharp features of accumulation and usage of scientific-technical knowledge and physical capital in view of obsolescence. Hence the extremely large role of scientific-technical knowledge for economic growth and development is shown.

Key words: socioeconomics, physical investment, ecology, moral obsolescence, economic development.

**მწვანე ტრანსფორმაციის მიმოხილვა
ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ჭრილში**

DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-62

ალექსანდრე ვაჭარაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი

E-mail: aleksandre.vatcharadze@unik.edu.ge

რეზიუმე

საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობები ერთხმად თანხმდებიან, რომ გარემოს დაბინძურება საფრთხეს უქმნის მომავალ თაობებს ისეთი ეკოლოგიური პრობლემების გამოწვევით, როგორცაა გლობალური დათბობა, საკვების დაბინძურება, ტყის განადგურება და სხვა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ენერგოუსაფრთხოების საკითხი, რაზეც დიდი გავლენა იქონია 2022 წლის თებერვალში უკრაინის წინააღმდეგ ვლადიმერ პუტინის შეიარაღებული აგრესიის დაწყებამ. ევროპის ქვეყნებში საკვებსა და ენერგორესურსებზე ფასების ზრდამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ადამიანთა ცხოვრების ხარისხზე. საპასუხოდ, ევროკავშირმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ენერჯის განახლებადი/მწვანე წყაროების განვითარებისთვის. მწვანე ენერჯეტიკაზე გადასვლა თავისი მნიშვნელობით უტოლდება კაცობრიობის ისტორიაში ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, სახელდობრ, *ნეოლითურ* და *ინდუსტრიულ* რევოლუციებს. აღსანიშნავია, რომ ეს ორი დიდი გარდაქმნა იყო ბუნებრივი ევოლუციური შედეგი, ხოლო ამჟამინდელი მწვანე ტრანსფორმაცია დაკავშირებულია უმეტესად დაგეგმილ, ხელოვნურ პროცესებთან. ნაშრომში განალიზებულია მწვანე ენერჯეტიკაზე გადასვლის საჭიროება ნახსენებ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე დაკვირვებით, რომელთაგან ერთი საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ხოლო მეორე - სახელმწიფოების უსაფრთხოებას.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ენერჯეტიკა; გარემოს ეკონომიკა; პოლიტიკური ეკონომიკა; ენერგოდამოუკიდებლობა.

შესავალი

მწვანე ენერჯეტიკაზე გადასვლა თავისი მნიშვნელობით უტოლდება კაცობრიობის ისტორიაში ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, სახელდობრ: (1)ნეოლითურ და (2)ინდუსტრიულ რევოლუციებს. პირველი რევოლუცია მოიცავს პრეისტორიული, მიმთვისებლური საქმიანობიდან (ნადირობა/შემგროვებლობა), მწარმოებლურ (მინათმოქმედება/მეცხოველეობა) საქმიანობაზე გადასვლას. მეორე რევოლუცია, თავის მხრივ, გულისხმობს აგრარული მეურნეობიდან ინდუსტრიულ ეპოქაზე გადასვლას. ორივე მოვლენამ ადამიანთა ყოველდღიურობა ძირეულად შეცვალა. აღსანიშნავია, რომ ეს ორი დიდი გარდაქმნა იყო ბუნებრივი ევოლუციური შედეგი, ხოლო ამჟამინდელი ნახშირორჟანგის (CO₂) შემცირების პოლიტიკა და მწვანე ტრანსფორმაცია დაკავშირებულია უმეტესად დაგეგმილ, ხელოვნურ პროცესებთან. ამასთან, ეს მესამე დიდი გარდაქმნა, რომელიც მრავალი ქვეყნის მთავრობის კონსენსუსის შედეგია, არის პირველი რევოლუცია რომელსაც აქვს შესრულების „ბოლო ვადა.“¹ პარიზის შეთანხმების თანახმად 2050 წელი განისაზღვრა ხელმომწერ სახელმწიფოებში ნახშირორჟანგის ნულოვანი ემისიის თარიღად.

მსოფლიოში, ბოლო პერიოდში მიდინარე პროცესებზე დაკვირვებით იკვეთება მწვანე ტრანსფორმაციის საჭიროების ორი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი – ეკოლოგიური და ეკონომიკური. ეკოლოგიური ფაქტორის თანახმად, გარემოს დაბინძურების შედეგად გამოწვეული გლობალური დათბობა საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს. ხოლო მეორე, ეკონომიკური, კონკრეტულად, ენერგოდამოუკიდებლობის საკითხი საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების უსაფრთხოებას. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია მწვანე ენერჯეტიკაზე გადასვლის საჭიროება ნახსენებ ფაქტორებზე დაკვირვებით.

1 Schmitz, H., Johnson, O., & Altenburg, T. "Rent management—The heart of green industrial policy" Brighton, England: Institute of Development Studies (2013)

ქირითადი ნაწილი

საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობები ერთხმად თანხმდებიან, რომ გარემოს დაბინძურება საფრთხეს უქმნის მომავალ თაობებს ისეთი ეკოლოგიური პრობლემების გამოწვევით, როგორცაა გლობალური დათბობა, საკვების დაბინძურება, ტყის განადგურება და სხვა.¹ გარდა ამისა, გარემოს დაბინძურებას მოაქვს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემები, როგორცაა ჯანდაცვის დამატებითი ხარჯები და შრომის პროდუქტიულობის დანაკარგები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ენერგოუსაფრთხოების საკითხი, რაზეც დიდი გავლენა იქონია 2022 წლის თებერვალში უკრაინის წინააღმდეგ ვლადიმერ პუტინის შეიარაღებული აგრესიის დაწყებამ. ევროპის ქვეყნებში საკვებსა და ენერგორესურსებზე ფასების ზრდამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ადამიანთა ცხოვრების ხარისხზე და საარსებო წყაროებზე.²

საპასუხოდ, ევროკავშირმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ენერჯის განახლებადი/მწვანე წყაროების განვითარებისთვის. მიჩნეულია, რომ ზემოთხსენებული ორივე პრობლემის მოგვარება სწორედ წიაღისეული საწვავის მწვანე ალტერნატივებით ჩანაცვლებითაა შესაძლებელი. საუბარია მზის, ქარის, წყალბადის, თერმული თუ სხვა განახლებად ენერჯიებზე, რომლებიც არ აბინძურებენ გარემოს.

გლობალური დათბობა

საერთაშორისო საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ნახშირორჟანგის ემისიის მზარდი ტენდენციების შესწავლას. უფრო კონკრეტულად, 2015 წელს, კლიმატის ცვლილების სახელმწიფოთაშორისმა პანელურმა შეხვედრამ (IPCC)³ დასახა მიზნები, რომ მიაღწიოს „ნახშირბადის ნეიტრალიტეტს“ 21-ე საუკუნის შუა პერიოდისთვის, რათა შეზღუდოს გლობა-

1 Dincer I. „Renewable energy and sustainable development: a crucial review.“ *Renew Sustain Energy Rev* 4 (2000)

2 Vladimir Milov, „How to reduce Europe’s energy dependence on authoritarian regimes?“, *European View* (2023)

3 Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC) 2015

ლური დათბობა 2°C-ზე ქვემოთ.¹ IPCC-მა ასევე მიზნად დასახა ნიაღისეული სანვავის მოხმარების შემცირება 45%-ით 2030 წლისათვის, ამასთან ამ გამოწვევის დასაკმაყოფილებლად განისაზღვრა მისი ყოველწლიურად 6%-ით შემცირება.²

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმაც დამოუკიდებლად წარმოადგინეს თავიანთი შიდა მიზნები; მათ შორის აღსანიშნავია, განვითარებადი ქვეყნები, როგორცაა ინდოეთი და ჩინეთი. ინდოეთი გეგმავს 2070 წლისათვის მიაღწიოს ნახშირორჟანგის ნულოვან ემისიას.³ ხოლო ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინ პინმა 2020 წელს განაცხადა, რომ ჩინეთი ვარაუდობს 2030 წლისათვის გადალახოს ნახშირორჟანგის ემისიების პიკი, ხოლო 2060 წლისათვის ჩინეთის ეკონომიკა სრულად განთავისუფლდეს ნახშირორჟანგისგან. პრეზიდენტის თქმით ჩინეთი მიიღებს უფრო ეფექტიან პოლიტიკას და ზომებს, რათა გარდაქმნას თავისი ენერგეტიკა.⁴

ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც ეხება კლიმატის ცვლილებას, არის გაერთიანებული ერების კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ (1992).⁵ სწორედ ეს შეთანხმება არის საფუძველი კიოტო პროტოკოლის (1997) და პარიზის შეთანხმების (2015). შეთანხმებების საბოლოო მიზანია თავიდან აირიდოს და დაიცვას კლიმატური სისტემა ადამიანის მავნე ჩარევისგან.

კიოტოს პროტოკოლის ფარგლებში, რომელიც დამტკიცებული იქნა ტოკიოში 1997 წელს, შემავალი ქვეყნების ლიდერები შეთანხმდნენ, რომ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს დაევალებოდათ შეეზღუდათ და შეემცირებინათ

1 UNFCCC. “The Paris Agreement” (2015) <https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement>

2 UNFCCC. “The Paris Agreement”

3 Guterres, A., “Carbon neutrality by 2050: the world’s most urgent mission.” United States, (2020)

4 Lu XC. „Experience and inspiration of Japanese low-carbon technology innovation.“ Enterprise Management 6 (2021)

5 UN, „United Nations Framework Convention On Climate Change“ (1992) <https://unfccc.int/resource/docs/convkp/conveng.pdf>

სათბური გაზების (GHGs) ემისია წინასწარ შეთანხმებული ინდივიდუალური ზღვრული ლიმიტების შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ წვერი ქვენების სიაში არ იყო ისეთი დიდი ქვეყნები (რომლებიც ნახშირორჟანგის ემისიის მაღალი დონით გამოირჩეოდნენ), როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას 1998 წლის ნოემბერში, თუმცა სენატმა უარი განაცხადა მის რატიფიცირებაზე, იმ მოტივით, რომ მოთხოვნების შესრულება, რომელსაც ხელშეკრულება გულისხმობდა შეიძლებოდა ზიანი მიეყენებინა აშშ-ს ეკონომიკისთვის.

კიოტოს პროტოკოლის მსგავსად, პარიზის შეთანხმებაც არის საერთაშორისო ხელშეკრულება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც ქვეყნები ერთიანდებიან გლობალური ტემპერატურის მატებასთან საბრძოლველად და ემისიების შესამცირებლად.¹ ამასთან, უნდა აღინიშნოს ის ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობს პარიზის ხელშეკრულებასა და კიოტოს პროტოკოლს შორის. კიოტოს პროტოკოლი ავალდებულებდა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს შეემცირებინათ ემისიები, ხოლო პარიზის შეთანხმებამ აღიარა, რომ კლიმატის ცვლილება საერთო პრობლემაა და მოუწოდა ყველა ქვეყანას (როგორც განვითარებულს ისე განვითარებას), აეღოთ თავიანთი წილი პასუხისმგებლობა კლიმატის ცვლილების საკითხთან დაკავშირებით და თავადვე დაედგინათ კონკრეტული მიზნები, რომელიც შეესაბამება ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების დონეს.

პარიზის შეთანხმება ქვეყნებისთვის ანესებს მკაცრს მონიტორინგს, მათგან მოითხოვს ანგარიშებს და შეფასების ინდივიდუალურ, თუ კოლექტიურ სისტემას. შეთანხმება მიზნად ისახავს, რომ მაქსიმალურად მიუახლოვდნენ თავიანთ სამიზნე მაჩვენებლებს. კიოტოს პროტოკოლისგან განსხვავებით, იგი ავალდებულებს ქვეყნებს ყოველ 5 წელში ერთხელ არსებული შედეგების საფუძველზე, მომავალი მიზნების წარმოდგენას.

პარიზის შეთანხმება, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 4

1 UNFCCC. "The Paris Agreement"

ნომბერს, არის იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულება კლიმატის ცვლილების შესახებ. საქართველომ შეთანხმებას ხელი მოაწერა 2016 წლის 22 აპრილს, ხოლო ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2017 წლის 7 ივნისს.¹ შეთანხმების ძირითადი მიზნებია:

- შეაჩეროს გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდა 2°C-მდე პრეინდუსტრიულ დონეებთან შედარებით“ და შეზღუდოს ტემპერატურის ზრდა 1.5°C-მდე წინა ინდუსტრიულ დონემდე;

- კლიმატის მავნე ზემოქმედებასთან ადაპტაციის უნარის გაზრდა; მისი მდგრადობის ხელშეწყობა და სათბურის აირების დაბალი ემისიის წარმოქმნა ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას საკვების წარმოებას;

- უზრუნველყოს ფინანსური ნაკადების მობილიზება სათბური აირების დაბალი ემისიისთვის და მდგრადი განვითარებისთვის.

დაკანონებული გარდაქმნები რთული შესასრულებელია და გულისხმობს ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებას, ენერგეტიკულ ტრანსფორმაციისა და მწვანე ტექნოლოგიური ინოვაციების ნახალისებას; კაცობრიობის აზროვნების ცვლილებაც კი.² პარიზის შეთანხმების თანახმად, წიაღისეული საწვავის ეტაპობრივი ჩანაცვლება და ენერგოეფექტური ალტერნატივების გამოყენება, როგორცაა მწვანე ენერგეტიკა, შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას.

ენერგეტიკული უსაფრთხოება

მნიშვნელოვანი გლობალური ცვლილებები მოხდა უკანასკნელ პერიოდში. გაერთიანებული სამეფოს (დიდი ბრიტანეთი) გადანყვეტილებამ დაეტოვებინა ევროკავშირი; COVID-19 პანდემი-

1 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „პარიზის შეთანხმება“ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3702467?publication=0>

2 Yang FQ and Chen YX (2021) Yang FQ and Chen YX. 'The 14th five-year plan' promotes energy transformation and achieves the peak of carbon emissions.' Yuejiang Academic Journal 13 (2021)

მიამ და რუსეთის შეჭრამ უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვალს მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოს დღის წესრიგი. საოჯახო მეურნეობებსა და ბიზნესებს უჭირთ გაუმკლავდნენ ენერგომატარებლებზე ბოლოდროინდელ ფასების მზარდ ტენდენციებს.¹

ევროპა დიდი ხანია დამოკიდებულია რუსულ გაზზე. ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაიზარდა ბოლო პერიოდში, რადგან კლიმატის უარყოფითი ცვლილების თავიდან ასაცილებლად, უკანასკნელ წლებში ევროპა საკუთარი ქვანახშირის მოხმარების შემცირების პოლიტიკას ატარებდა.² თუმცა, ახლა, უკრაინასთან ომის გამო, ევროპას სურს რაც შეიძლება სწრაფად შეამციროს თავისი დამოკიდებულება რუსულ გაზზე და ცდილობს სწრაფად მიაკვლიოს ეფექტიან ალტერნატიულ გაზს. რთული ვითარებაა დიდი ბრიტანეთშიც. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი ნაკლებადაა რუსულ გაზზე დამოკიდებული, ვიდრე ზოგიერთი ევროპული ქვეყანა, ის მაინც საგრძნობლად დაზარალდა; გაერთიანებული სამეფოში ელექტროენერჯის საყოფაცხოვრებო ფასები 2022 წლის სექტემბრისთვის ყველაზე მაღალი იყო ევროპაში.³

2022 წელს ევროკავშირმა მოახერხა რუსული მილსადენის გაზის შესყიდვის შეწყვეტა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა). თუმცა, ამან არ უნდა შექმნას ილუზია იმისა, რომ ევროპა განთავისუფლდა რუსული გაზისგან. პარალელურად გაიზარდა რუსული თხევადი გაზის (LNG) შესყიდვები. იმპორტი გაიზარდა თითქმის 38%-ით 2022 წელს, 15 მილიონ ტონამდე; ანუ ევროკავშირის მთლიანი LNG იმპორტის 16%-მდე. საგულისხმო ფაქტია, რომ მთლიანობაში ევროპის თხევადი გაზის (LNG) მომწოდებლებში დომინირებს ავტორიტარული ქვეყნები.⁴ ევროპის LNG

1 Wilson T. and Stafford P. "Why are Europe's power producers running out of cash?" Financial Times ,London, (2022)

2 Wilson and Stafford, "Why are Europe's power producers running out of cash?"

3 Wilson and Stafford, "Why are Europe's power producers running out of cash?"

4 Elijah, D. „EU LNG imports reach all-time highs in December and 2022“ Kpler, (2023)

იმპორტის 50%-ზე მეტი მოდის ავტორიტარული ქვეყნებიდან - რუსეთიდან ან ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის დიქტატორული ქვეყნებიდან. 2022 წელს იმპორტირებული LNG-ის მხოლოდ 41% იყო აშშ-დან.¹

რუსეთის მტკივნეული გაკვეთილიდან გამომდინარე, ევროკავშირისთვის მწვანე ტრანსფორმაციის აუცილებლობამ ეკოლოგიურთან ერთად მიიღო ენერგოდამოუკიდებლობის ხასიათი. მწვანე მიდგომა ნაკლებ რისკის შემცველია მომავალში გეოპოლიტიკური დაძაბულობისას ენერგოკრიზისის თავიდან ასაცილებლად. ვინაიდან მწვანე ენერჯების წარმოება თითოეულ ქვეყნებში ადგილობრივად არის შესაძლებელი.

რუსეთის გარდა, პრობლემის ერთ-ერთი ბოლო მაგალითია ევროპარლამენტის კორუფციული სკანდალი და კატართან ურთიერთობების გაფუჭება.² 2022 წელს კატარმა მიაწოდა ევროპას მის მიერ იმპორტირებული თხევადი გაზის (LNG)-ის 14%-ზე მეტი.³

დასკვნა

მსოფლიოში ნახშირორჟანგის(CO₂) გამოყოფა ისეთი ტემპით იზრდება, რომ ჩარევის გარეშე რამდენიმე გრადუსით გაზრდის დედამიწის ტემპერატურას. გლობალური დათბობა კი, საფრთხეს უქმნის მომავალ თაობებს სხვადასხვა ეკონომიკური პრობლემებით, მათ შორის, ჯანდაცვის დამატებითი ხარჯები და შრომის პროდუქტიულობის დანაკარგები. პრობლემასთან საბრძოლველად საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობები ენერჯის მწვანე წყაროებზე გადასვლას ასახელებენ.

შესაბამისად, მწვანე ტრანსფორმაციას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გლობალურ დათბობასთან ბრძოლის პროცესში. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ენერგოუსაფრთხოების საკითხი, რაზეც დიდი გავლენა იქონია 2022 წელს რუსეთის

1 Elijah, „EU LNG imports reach all-time highs in December and 2022“

2 Cooper, C., & Zimmermann, A. „Qatar scandal gives Europe a big gas headache.“ Politico, (2022)

3 Elijah, „EU LNG imports reach all-time highs in December and 2022“

შეჭრამ უკრაინაში. საუბარია იმ ფაქტზე, რომ განახლებადი წყაროებიდან ენერჯის მიღება უმეტესად ხდება ლოკალურად, რაც მომავალში გამორიცხავს ამა თუ იმ ავტორიტარულ ძალაზე დამოკიდებულებას.

გამოყენებული ლიტერატურა/(REFERENCES)

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „პარიზის შეთანხმება“ (Legislative Bulletin of Georgia, “Paris Agreement”; <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3702467?publication=0>
2. Cooper, C., & Zimmermann, A. „Qatar scandal gives Europe a big gas headache.“ *Politico*, 19 December. (2022)
3. Dincer I. „Renewable energy and sustainable development: a crucial review.“ *Renew Sustain Energy Rev* 4 (2000)
4. Elijah, D. „EU LNG imports reach all-time highs in December and 2022.“ *Kpler*, (2023) <https://www.kpler.com/blog/eu-lng-imports-reach-all-time-highs-in-december-and-2022>.
5. Guterres, A., „Carbon neutrality by 2050: the world’s most urgent mission.“ *United States*, (2020)
6. Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC) (2015) <https://www.ipcc.ch/>
7. Lu XC. „Experience and inspiration of Japanese low-carbon technology innovation.“ *Enterprise Management* 6 (2021): 15–19
8. Schmitz, H., Johnson, O., & Altenburg, T. „Rent management—The heart of green industrial policy” (IDS Working Paper 418). *Brighton, England: Institute of Development Studies*, (2013)
9. UN, “United Nations Framework Convention On Climate Change” (1992) <https://unfccc.int/resource/docs/convkp/conveng.pdf>
10. UNFCCC. “The Paris Agreement.” (2015) <https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement>
11. Vladimir Milov, „How to reduce Europe’s energy dependence on authoritarian regimes?“, *European View* Vol. 22(1) (2023): 24–29
12. Wilson T. and P. Stafford, “Why are Europe’s power producers

running out of cash?” *Financial Times*, London, (2022)

13. Yang FQ and Chen YX. “The 14th five-year plan’ promotes energy transformation and achieves the peak of carbon emissions.” *Yuejiang Academic Journal* 13 (2021): 73–85

OVERVIEW OF GREEN TRANSFORMATION FROM AN ECOLOGICAL AND ECONOMIC POINT OF VIEW

Aleksandre Vatcharadze

Assistant professor at Kutaisi University

E mail: aleksandre.vatcharadze@unik.edu.ge

RESUME

International organizations and governments agree that environmental pollution threatens future generations by causing ecological problems; such as global warming, food contamination, deforestation, and etc. Furthermore, energy security issue has no less importance; which was greatly influenced by the start of Vladimir Putin’s armed aggression against Ukraine in February 2022. The increase in food and energy prices in European countries has significantly affected the quality of people’s life. In response, the EU has taken significant steps to develop renewable/green energy sources. The transition toward green energy is equal in importance to the two most notable events in human history, namely: Neolithic and Industrial revolutions. It is worth noting that these two major transformations were the result of natural evolution, while the current green transformation is associated mostly with planned, artificial processes. The paper analyzes the need of transformation toward green energy by observing the mentioned ecological and economic factors; one of which threatens human life; and the second one - poses a threat to the security of states.

Keywords: Green Energy; Environmental Economics; Political Economics; Energy Independence.



**ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია
(დიჯიტალიზაცია), როგორც გლობალური
ბარდაქმნა**

DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-72

თათია ღურნკაია
სტუ ასოცირებული პროფესორი

სოფიო ფალიანი
სტუ დოქტორანტი
paliani.sopio@gtu.ge

რეზიუმე

სტატია მსოფლიო ეკონომიკის დიჯიტალიზაციას ანუ გაციფრებას ეხება. ავტორებს იგი ეპოქალურ გარდაქმნად მიაჩნიათ. მასში აღწერილია ციფრული ეკონომიკის შინაარსი, მისი წინაპირობები, გამოვლენის ფორმები, განსხვავებები ტრადიციული ეკონომიკისგან, მისი უპირატესობები და ნაკლოვანებები (უფრო სწორად საფრთხეები) და სხვა.

სტატიაში ამ საკითხზე ფაქტიურად ჩატარებულია ბიბლიოგრაფიული კვლევა, ანუ განხილულია სხვადასხვა მეცნიერების (ჯოლია, ლეკაშვილი, მალლაკელიძე, ტუტოვი, კოვაკსი, რიმეიკენე, შნეიდერი, გასპარეინერე, ერქომაიშვილი, ბაური, ჰონგი, კატასინოვი, ჯავახაძე, ხიხაძე, რიგოჟნიკოვა და სხვები) შეხედულებები ციფრული გარდაქმნის შესახებ, შედარებული და შეჯერებულია ისინი და გამოთქმულია საკუთარი მოსაზრებებიც.

ავტორები სტატიაში წარმოგვიდენენ ეკონომიკის გაციფრების მდგომარეობას საქართველოში, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში და მთლიანად მსოფლიოში და ასკვნიათ, რომ საქა-

რთველოს DIGIX - ინდექსით საშუალო მდგომარეობა უკავია (57-ე ადგილი 99 ქვეყანას შორის).

სტატია გვანოდებს ინფორმაციას კომპიუტერებით უზრუნველყოფის (82%), ინტერნეტზე წვდომის (79,3%), მობილური ტელეფონებით უზრუნველყოფის (84,8%) და სხვათა შესახებ.

რადგან დიჯიტალიზაცია ინოვაციური პროცესია, მას საქართველოში ხელმძღვანელობას უნევს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც ამ მიმართულებით მთელ რიგ პროგრამებს - ხელოვნური ინტელექტი, პროგრამა - „სტარტაპ საქართველო“, ნანოტექნოლოგიები და სხვა - ახორციელებს. ავტორების აზრით, საქართველოში ამ საკითხის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა საკმაოდ დაბალ დონეზეა - ქვეყანას არა აქვს ციფრული გარდაქმნის სტრატეგია, მიზერულია მისი დაფინანსება და სხვა.

დასკვნის სახით ავტორები აღნიშნავენ, რომ ისინი უერთდებიან მსოფლიო დონის მეცნიერების შეხედულებას, რომ ციფრული ეკონომიკის განვითარება ნებისმიერ ქვეყანაში უნდა წარმოადგენდეს პრიორიტეტს, მაგრამ ბრმა წამბაძველობა საშიშად მიაჩნიათ, შესაბამისად ადამიანთა ფსიქიკაზე მისი გავლენის კუთხით დიჯიტალიზაციის სანდობის საკითხის ფართო და ღრმა კვლევას საჭიროდ მიიჩნევენ.

საკვანძო სიტყვები: დიჯიტალიზაცია; ციფრული გარდაქმნა; გაციფრების დონე; ციფრული ინიციატივები; ციფრული უნარ-ჩვევები; ციფრული ეკონომიკა.

შესავალი

დღევანდელი ეკონომიკა ტრადიციული ეკონომიკისგან გაციფრებულობით (დიჯიტალიზაცია) განსხვავდება. ამ განსხვავების გამო, ჯერ მეცნიერმა დ. დ. ტუპსკოტმა (1994 წელი) და შემდეგ ამერიკელმა მეცნიერმა ნ. ნეგროპონტემ თანამედროვე ეკონომიკას „ციფრული ეკონომიკა“ უწოდეს [ერქომაიშვილი, 2014, გვ. 37]. მიუხედავად ამისა მას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „AP ეკონომიკა“, ელექტრონული ეკონომიკა, ციფრული მენარმეობა, ინტერნეტ-ეკონომიკა და სხვა.

ციფრული ეკონომიკა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და როგორც მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია არის დიდი, ფუნდამენტალური გარდაქმნა, იგივე ითქმის მის ამ ნაწილზე, ანუ ციფრულ ეკონომიკაზე.

დღეს ეს რეალობა დგას მთელ მსოფლიოში. ყალიბდება ეკონომიკის სრულიად ახალი, კომპლექსური მოდელი. ჩვენი პლანეტის სოციალურ-ეკონომიკური და ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური ლანდშაფტი კარდინალურად იცვლება და ამ მეტად რთულ „ციფრულ ეკონომიკაში“ ნებისმიერი ქვეყნის და ნებისმიერი კომპანიის სამომავლო გადარჩენის მთავარი ფაქტორი ხდება განვითარების შესაძლებლობების მიგნება და მათი მაქსიმალური გამოყენება [ჯოლია, 2021, გვ. 18-19]. ეს განსაკუთრებით ეხებათ განვითარებად ქვეყნებს, რომელთა რიცხვშია საქართველო. წინამდებარე სტატიის მიზანია „ციფრული ეკონომიკის“ როგორც ფუნდამენტალური გარდაქმნის მდგომარეობის წარმოჩენა როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში.

ძირითადი ტექსტი

ციფრული ეკონომიკის წარმოშობის წინაპირობად ელექტროფიკაცია სახელდება. მსოფლიო საზოგადოება ელექტრონულ ეპოქაში XIX საუკუნის ბოლოდან შევიდა. მან წარმოშვა ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები და ადამიანთა შორის მრავალმხრივი ურთიერთობები მეტწილად ვირტუალურ სივრცეში გადაიყვანა. ასე რომ, დღევანდელი ეკონომიკა და მთლიანად სამყაროც, ფიზიკური და ვირტუალური ურთიერთობების ჰიბრიდული მოდელია.

ტერმინი „ციფრული ეკონომიკა“ პირველად გამოჩნდა 1994 წელს. მას შემდეგ გავიდა დიდი დრო, მაგრამ მისი ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება დღემდე არ არსებობს. მსოფლიო ბანკი მასში გულისხმობს ცოდნასა და ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ახალ ეკონომიკას [Developing..., 2010], ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფი (BCG) - ეკონომიკური სისტემის ყველა აქტორის ონლაინ შესაძლებლობების და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, ეკონომიკური თანამ-

შრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო) - მის საყრდენად ასახელებს არამატერიალურ აქტივებს, მონაცემების მასობრივ გამოყენებას, იურისდიქციის განსაზღვრის სირთულეს [OECD, 2015^a), ევროპარლამენტი - ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ეკონომიკას და ასევე ზრდის შედარებით მნიშვნელოვან ძალას [European..., 2014] და ა. შ.

ციფრული ეკონომიკა ორ ვარიანტად განიხილება [ჯოლია, 2021, გვ. 56]:

1. კლასიკური ციფრული ეკონომიკა არის ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკა და უფრო მართებულია მასში ვიგულისხმოთ დისტანციური სწავლება, ტელემედიცინა, მედიაკონტაქტი (წიგნები, კინო და ა. შ.), ციფრული მარკეტინგი.

2. გაფართოებული: ციფრული ეკონომიკა არის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებული ეკონომიკური საქმიანობა.

მაშასადამე, ეს სიახლე, ეკონომიკის ეს ფუნდამენტალური გარდაქმნა მთელ მსოფლიოში პრატიკულად დაწყებულია, მაგრამ მისი მეცნიერული შესწავლა ამ ტერმინის საბოლოო ჩამოყალიბების დონეზეც კი არ არის დასრულებული. ასეთი სათაურის მქონე ნაშრომიც კი არის დაბეჭდილი - „ციფრული ეკონომიკა ადამიანთა საზოგადოების ნათელი მომავალია თუ საბირჟო ბუშტი?“ [Катасонов, 2017].

ამჟამად, რომ მსოფლიო ეკონომიკა და, ცხადია, საქართველოს ეკონომიკაც, თანდათან და აქტიურად ელექტრონულ რელსებზე გადადის, სამყარო „ინდუსტრიის 4,0“-ის ფაზაში შედის, რომლის პირობებში აფეთქების მსგავსი ცვლილებებია მოსალოდნელი. ასე რომ, ციფრული „ციებ-ცხელება“ ერთჯერადი აქტი არ არის. ძირეული ცვლილებები უკვე დაწყებულია და უსათუოდ გაგრძელდება, თანაც, დღევანდელზე სწრაფადაც კი. ამიტომ მის წინააღმდეგ ტრადიციული სამყარო ვერ ამხედრდება, რადგან, იგი აუცილებლად დამარცხდება.

მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები ციფრულ ეკონომიკას **სისტემური და ტექნოლოგიური** მიდგომებით აფასებენ. ორივე მიდგომა ციფრულ ეკონომიკაში ციფრული ტექნოლოგიების

პრიმატს აღიარებს. პირველი თვლის, რომ იგი მისი ბაზისია, მეორე კი თვლის, რომ იგი მისი ინსტრუმენტია [Добринина, 2018, с. 4-11].

ციფრული ტექნოლოგიები არის ინფორმაციის ელექტრონული კოდირების და გადაცემის მეთოდებზე დაფუძნებული დისკრეტული სისტემა. იგი მრავალი ცალკეული ნაწილებისგან შედგება. მათში წინა პლანზეა ე. წ. გამრღვევი ტექნოლოგიები, კერძოდ, „დიდი მონაცემების ანალიტიკა“, კვანტური ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, უსადენო კავშირგაბმულობის ტექნოლოგია, ნანოტექნოლოგიები, ბლოკჩეინი, ხელოვნური ინტელექტი და სხვა.

ვერ ვიტყვით, რომ ციფრული ტექნოლოგიები ცალსახად დადებითი ეფექტების მომტანია. როგორც მეცნიერები წერენ ამ სიახლეს აქვს თავისი ნათელი და ბნელი მხარეები [ლუკაშვილი, 2019, გვ. 85]. იგი თითქოს, ერთის მხრივ, გამიზნულია ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის გახსნაზე, მაგრამ ამავე დროს, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ამცირებს ბიზნეს პროცესებში ადამიანის როლს. ერთის მხრივ, ადამიანის შრომას ამსუბუქებს, მეორეს მხრივ, კი, ინვესტს სამუშაო ადგილების შემცირებას, პროფესიების გაქრობას და მრავალი სხვა. მეცნიერ კოვაცის აზრით, გაციფრულებამ და ავტომატიზაციამ შესაძლებელია ადამიანების გონებრივ და ფიზიკურ ჯანმრთელობას ავნოს [Kovacs, 2018, p. 140]. ციფრული ეკონომიკის კრიმინალურ ასპექტებზე მსჯელობენ ლიტველი მეცნიერები, რიმეიკენე, გასპარენიერე და შნეიდერი [Remeikene, Gospargniene, Scgneijer, 2018, p. 717]. ციფრულ ფულს - ბიტკოინის სპეკულაციურ ინსტრუმენტად განიხილავენ მეცნიერები ბური, ჰინგი და ლი [Baur, Hong, Lee, 2017], რადგან მისი მეშვეობით ადვილად შესაძლებელია ნარკოტიკების და იარაღის ყიდვა და მრავალი სხვა. ყველა ისინი საბოლოო ჯამში იმ დასკვნას აკეთებენ, რომ ამ ფუნდამენტალურ გარდაქმნას „ბნელი ნაპრალები“ აქვს და ინტენსიური მეცნიერული კვლევებით უნდა მოხდეს მათი იდენტიფიცირება.

ზემოთნათქვამის მიუხედავად, ციფრული ციებ-ცხელების-

გან თავს ვერ დაიზღვევს ვერც ერთი ქვეყანა. მთავარია თითოეულმა მათგანმა სწორად შეიმუშაოს მისი რისკებისგან დაზღვევის პოლიტიკა და სათანადო კონტრიბუციები მიმართოს რისკების შესამცირებლად [მაღლაკელიძე, 2020, გვ. 156].

ასე რომ, თავისი ნაკლოვანი მხარეების მიუხედავად, ციფრული გარდაქმნა ანუ დიჯიტალიზაცია გარდაუვალაა [ბარათაშვილი, კახიძე, 2020, გვ. 63]. იგი ყველგან უკვე დაწყებულია, მაღალი სისწრაფით ვრცელდება და ასეთივე სისწრაფით ვითარდება. ქართველი მეცნიერი გ. ჯოლია წერს: „უძველესი ქვის ხანა იმიტომ კი არ შეიცვალა, რომ ქვები გამოიღია, არამედ, იმიტომ, რომ წარმოების ახალი ტექნოლოგიები გაჩნდა“ [ჯოლია, 2021, გვ. 59].

დღეს ეს სიახლე ციფრული ტექნოლოგიებია, მაშინ სხვა იყო. მაშინ კაცობრიობის ევოლუცია შედარებით ნელა, მდორედ მიმდინარეობდა, დღეს მისი ძლიერი აჩქარება შეინიშნება. დაზუსტებით ვერცერთი მეცნიერი ვერ ამბობს, კარგია ეს თუ ცუდი, რადგან გარდაქმნის ამ აზვირთებულ ციფრულ ტალღას სამყაროსთვის ჯერ მთლიანად არ გადაუვლია. მკვლევარები ეხებიან მის დადებით მხარესაც და უარყოფითსაც, მაგრამ ჯერჯერობით საბოლოო დასკვნებს გაბედულად ვერ აკეთებენ.

დღეის მდგომარეობით წინა პლანზე უფრო მეტად ციფრული გარდაქმნის დადებითი მხარეებია წარმორჩენილი, მაგალითად, მკვლევარები ქუსი, საიმსი და ომაჰონი [Qu, Simes, O'mahon, 2017, pp. 57-69] გვანვდიან ინფორმაციას ციფრული ტექნოლოგიების გავლენით ავსტრალიის ეკონომიკის გაუმჯობესებაზე 2004-2014 წლებში, მეცნიერ-მკვლევარები გოლდბარდბი და ტუსკე [Golddfarb, Tucke, 2019, pp. 3-43] კი, გვანვდიან ცნობებს, თუ რამდენად მცირდება დანახარჯები ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისას, რაც ამაღლებს ეკონომიკურ აქტივობას, ნაჩვენებია მისი სწრაფი განვითარების ტემპი, მისით, ე. ი. გაციფრებით, მსოფლიო მურნეობის სივრცის დაფარვის ზრდა და ა. შ. წინამდებარე სტატიას არა აქვს პრეტენზია ამ სფეროში ახლის აღმოჩენის, რადგან ინდივიდუალური კვლევა ჯერ არ ჩავვიტარებია და ამდენად, მასში მხოლოდ მსოფლიოს და სა-

ქართველოს გაციფრების დღევანდელი მდგომარეობა არის წარმოდგენილი.

მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის განვითარების მთავარი ინდექსია - DiGiX, რომელიც ზომავს გაციფრებულობის ხარისხს.

DiGiX - ინდექსი გამოითვლება ექვსი მაჩვენებლის მიხედვით [ერქომაიშვილი, 2019, გვ. 39]:

1. ინფრასტრუქტურა.
2. მომხმარებელთა მიერ ინტერნეტის გამოყენება.
3. საწარმოების მიერ ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენება.
4. ხარჯები.
5. რეგულირება.
6. მთავრობის ონლაინსერვისები.

თითოეული მაჩვენებელი ცალკე ინდიკატორებად არის დაყოფილი. მაქსიმალური ქულა არის - 1, ხოლო მინიმალური - 0


მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის განვითარების დონის დასადგენად ხშირი კვლევები ტარდება. ასეთი კვლევა 2017 და 2020 წელს ჩაატარა უმსხვილესმა ესპანურმა საბანკო ჯგუფმა (BBVA), რომელმაც 100 ქვეყნის მაგალითზე შეაფასა ციფრული ინდექსი - DiGiX. 2017 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ლუქსემბურგს - 1, ხოლო მინიმალური ალჟირს - 0. მეორე ადგილზე იყო დიდი ბრიტანეთი (0,97), მესამეზე - ჰონკონგი (0,95), მეოთხეზე - აშშ (0,92), მეხუთეზე - ნიდერლანდები (0,90). ისეთ დანარჩენ ქვეყნებს, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიოში ტექნოლოგიების წინსვლას - ფინეთი, შვედეთი, გერმანია, იაპონია და სხვები ამ ინდექსით ეკავათ არცთუ მნიშვნელოვანი ადგილები (0,70-0,90 ქულის ფარგლებში). აღნიშნულ რეიტინგში საქართველოს ეკავა 62-ე ადგილი (0,40 ქულა). ჩვენზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა მხოლოდ უკრაინას (0,22) და მოლდოვას (0,33) [ერქომაიშვილი, 2019, გვ. 39].

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი კვლევა დასახელებულმა ბანკმა ჩაატარა 2020 წელსაც. ცხადია, იგი ეყრდნობოდა 2019 წლის საინფორმაციო მასალას.

2019 წლის მონაცემებით საქართველო მსოფლიოს 99 ქვე-

ყანას შორის 57-ე ადგილზე იმყოფებოდა 0,502 (იხ. ნახაზი 1). მეზობლებიდან ამ წელს საქართველოზე უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა აზერბაიჯანს (38-ე ადგილი) და რუსეთსაც კი (46-ე ადგილი) [მაღლაკელიძე, 2020, გვ. 161].

**ნახაზი 1. BBVA Research-ის
ციფრული ინდექსი - DiGiX (2019 წელი)**




წყარო: მაღლაკელიძე, 2020, გვ. 161

DiGiX - ინდექსის გარდა, არსებობს კიდევ DAI - ინდექსი. მას ციფრული ათვისების ინდექსი ეწოდება. იგი იანგარიშება სამ დონეზე (ბიზნესი, მოსახლეობა და მთავრობა) ციფრული ათვისების ინფორმაციის საფუძველზე. 2017 წელს მსოფლიო ბანკმა ჩაატარა კვლევა ამ ინდექსის გამოსაანგარიშებლად 180 ქვეყანაში და მიიღო შემდეგი შედეგი (იხ. ნახაზი 2).

შემოაღნიშნული კვლევები გვიჩვენებს, რომ დღეს საქართველო ციფრული განვითარების საშუალო დონით პოზიციონირებს მსოფლიოში. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ელექტრონული სერვისების გამოყენების დინამიკაც ზრდადია

ნახაზი 2. ციფრული ათვისების ინდექსი (DAI)



წყარო: მალაკელიძე, 2020, გვ. 160

საქართველოში, ანუ პოზიტიურია, რაც, ცხადია, ამაღლებს ქვეყნის ციფრული განვითარების დონეს. მაგალითად, ელმმართველობის განვითარების ინდექსით საქართველოს 2008 წელს 193 ქვეყანას შორის 143-ე ადგილი ეკავა, 2010 წელს - მე-100, 2016 წელს - 61-ე [ჯავახაძე, 2017, გვ. 92].

სტატისტიკური აღრიცხვით ფიქსირდება ელექტრონული სერვისების დიდი პოზიტიური დინამიკა. მაგალითად, 2019 წლის ივლისის ინფორმაციით საქართველოში ინტერნეტზე წვდომა ჰქონდა შინამეურნეობის 79,3%-ს, კომპიუტერით უზრუნველყოფილი იყო 62%-, მობილური ტელეფონით 84,8% [მალაკელიძე, 2020, გვ. 161].

საქართველოში ციფრული ტექნოლოგიების განვითარების მხარდაჭერას და ფორმირებას ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს (2018 წლის 1 ივნისს დაფუძნდა ციფრული ეკონომიკის ასოციაცია (DEAG). მას ამ სფეროს განვითარებაში მკვეთრად განსაზღვრული მიზნები აქვს. იგი შემდეგ პროგრამებს ახორციელებს: მცირე გრანტების პროგ-

რამა; თანადაფინანსების გრანტის პროგრამა; პროგრამა „სტარტაპი საქართველო“. ეს უკანასკნელი პროგრამა ძირითადად, აფინანსებს ხელოვნურ ინტელექტს, კომპიუტერულ მეცნიერებას, ნანოტექნოლოგიებს, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და სხვა. ამ სფეროში საქართველოში დასახელებულმა სააგენტომ 2016 წელს ჩაატარა კონკურსი და 20 გამარჯვებული დააფინანსა 2 მლნ ლარით. ასე რომ, საქართველოში ციფრული განვითარება მიმდინარეობს არამალალი ტემპით, მაგრამ მაინც პროგრესულად უნდა შეფასდეს. ქვეყანაში იგი ჯერ არ ქცეულა სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად, არც მასზე მიზანმიმართული სტრატეგია არის შემუშავებული, მიზერულია მისი დაფინანსება, იშვიათია ციფრული სამენარმო ინიციატივები და ა. შ.

დასკვნა

დღეს მეცნიერთა საერთო აზრი დიჯიტალიზაციის და ზოგადად ციფრული ეკონომიკის შესახებ ასეთია: „ციფრული ტექნოლოგიების საუკუნეში მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით ციფრულ მენარმეობასა და კოგნიტურ უნარებზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარება წარმოადგენს“ [ხიხაძე, 2023, გვ. 70]. ამ მეცნიერს ეს დასკვნა გაკეთებული აქვს ამ პრობლემაზე მომუშავე 25 მეცნიერის დასკვნების საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ ეს დასკვნა სარწმუნოა.

ჩვენ აბსოლუტურად ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, და დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად ციფრული გარდაქმნების შესახებ მეცნიერთა სხვადასხვა შეხედულებებისა, პრაქტიკულად იგი, ოკეანის გიგანტური ტალღის მსგავსად ეფინება მთელ სამყაროს. მისი სისწრაფე ისეთია, რომ ასჯერ აღემატება მეცნიერთა გონებრივი დისკუსიის სისწრაფეს. ისევე როგორც სხვა სფეროში, ამ სფეროშიც საქართველომ ფეხი უნდა აუწყოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს. სამყაროს ამ საერთო წრებრუნვიდან ამოვარდნა ქვეყნისთვის დამლუპველი იქნება. დიხაც საქართველოში ციფრული ეკონომიკის განვითარების

სტრატეგია უნდა შემუშავდეს, უნდა ამალდეს ციფრული სამენარმეო კულტურა, გაფართოვდეს ციფრული ინიციატივების ფინანსური ხელშეწყობა, შეიქმნას მოსახლეობისთვის ციფრული უნარ-ჩვევების შესწავლის საგანმანათლებლო ქსელი და მრავალი სხვა, მაგრამ ყველაფერი ეს უნდა მოხდეს რელევანტური და ვალიდური ინფორმაციის ღრმა ანალიზით და პროგრესული ხედვით. „ბრმა“ ნამბაძველობა ისეთივე საშიშია, როგორც „ყრუ“ ჩამორჩენილობა. ყოველთვის, გარდაქმნის ყოველ ნაბიჯზე უნდა გვახსოვდეს, რომ ციფრული განვითარების პრაქტიკა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ზრდისა და განვითარების ეტაპზეა და მისი დიდი პოზიტიური პოტენციალის - დროში საქმის კეთების სისწრაფე, დაბალი დანახარჯები, ან საერთოდ, ხარჯების არ არსებობა და სხვა, მიუხედავად, მის მხარეთა ერთი ნაწილი სადისკუსიოა - საყოველთაო დიჯიტალიზაცია კულტურის სფეროში დეჰუმანიზაციას იწვევს, ციფრული ტექნოლოგიები ერევა ადამიანის ონტოლოგიურ (ყოფით) პროცესში, და ადამიანი მას ბოლომდე ვერც აცნობიერებს და, ცხადია, ვერც აკონტროლებს, შედეგად, ცვლილებები ხდება მის ფსიქიკაში, ადამიანის ცნობიერებაში ღრმად ჯდება მისი მომავალი არსებობის ნეგატიური ფსიქოლოგიური განცდა და მტანჯველი ფიქრი [Туров, 2019, с. 56-58]. სხვა მეცნიერებაც წერენ დიჯიტალიზაციის საფრთხეების შესახებ. ერთ-ერთი ასეთია რაგოჟინკოვა. იგი დიჯიტალიზაციის სანდოობის პრობლემას აყენებს და მეცნიერებს შორის ამ პრობლემის დისკუსიას მოითხოვს [Рагожинкова, 2019, с. 50-52]. მოცემულ ვითარებაში ჩნდება კითხვა: „ჩვენ ქართველებმა არ უნდა ვიფიქროთ ამაზე?“ ჩვენი პასუხი ასეთია: „დიახაც, უნდა ვიფიქროთ“.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. ბარათაშვილი ე., კახიძე ნ.** ციფრული ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში. ჟ. „ბიზნესინჟინერინგი“. N 3-4. 2020. გვ. 63.
- 2. ერქომაიშვილი გ.** ციფრული ეკონომიკა - ეკონომიკური ზრდის ინოვაციური ინსტრუმენტი. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. N 2. 2019.

3. ლეკაშვილი ე. ციფრული ეკონომიკა: მეცნიერება და პოლიტიკის გამონვევები. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N 4, 2019

4. მაღლაკელიძე ა. ციფრული მენარმეობა: გამონვევები და პერსპექტივები. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. N 3. 2020.

5. ხიხაძე ლ. მცირე ბიზნესში ციფრული და კოგნიტური ტექნოლოგიების გამოყენების აქტუალურობა გლობალური პანდემიის პირობებში. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. N3. 2022.

6. ჯავახაძე დ. ელექტრონული სერვისების განვითარება საქართველოში. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. N4. 2017.

7. ჯოლია გ. (2021). განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში.

8. Developing the Digital Economy in Russia, world Bang. 2016.

9. OECD (2019^a). Addressing the Tax Challenges of the Digital Economy, Action 1-2015 final Report, Paris. OECD Publishing.

10. European Commission (2014). Expert Group Taxation of the Digital Economy.

11. **Kovacs O.** (2010). The Dark Corners of the Industry 4.0 – Grounding Economic Governance 2.0. Technology in Society. 55.

12. Remeikiene R., Gaspareniene L., Schneider, E. the Definition of Digital Shadow Economy (2018), Technological and Economic Development of Economy, vol. 24(2). pp. 696-717.

13. Qu J., Simes R. and O'mahony J. How do digital Technologies Drive Economic Growth? Economic Record, vol. 93. Issue, June, 2017, pp. 57-69.

14. Goldfarb A., Tucke C. Digital Economics. Journal of Economic Literature. 2019, (57), pp. 3-43.

15. Добринан А. П. (2016). Цифровая экономика – различные пути к эффективному применения технологии (BIM, PLM, CAD, ION, Smart City, BIG DATA и другие), International Journal of Open Information Technologies, vol. 4. no 1. pp. 4-11.

16. Катасонов В. Цифровая экономика – светлое будущее человечества или биржевой пузырь, <http://www.kramola.info/vesti/novosti/cifrovaya-ekonomirf-svetloe-buduschee-chelovechestva-ili-birzheviu-puzyt>

17. Тутов Л. А. (2019). Природа – человек – культура в цифровой реальности (Ломоносовские чтения) – 2019, сборник тезисов выступления, М., МГУ, с. 56-58.

18. Рогожникова В. И. (2019). Профессионалы в информационной экономики; проблемы доверия (Ломоносовские чтения) – 2019, сборник тезисов выступления, М., МГУ, с. 50-52.

REFERENCES:

1. Baratashvili E., Kakhidze N. Digital institutionalization in Georgia. J. "Business-Engineering". No. 3-4. 2020. p. 63.

2. Erkomashvili G. Digital economy - an innovative tool for economic growth. J. "Economy and Business". No. 2. 2019.

3. Lekashvili E. The Digital Economy: Science and Policy Challenges. J. "Economy and Business", No. 4, 2019

4. Maglakelidze A. Digital Entrepreneurship: Challenges and Prospects. J. "Economy and Business". No. 3. 2020.

5. Khikhadze L. The relevance of using digital and cognitive technologies in small businesses in the conditions of a global pandemic. J. "Economy and Business". N3. 2022

6. Javakhadze D. Development of electronic services in Georgia. J. "Economy and Business". N4. 2017.

7. Jolia G. (2021). Education and Labor Market in the Digital Environment

8. Developing the Digital Economy in Russia, world Bang. 2016.

9. OECD (2019^a). Addressing the Tax Challenges of the Digital Economy, Action 1-2015 final Report, Paris. OECD Publishing.

10. European Commission (2014). Expert Group Taxation of the Digital Economy

11. Kovacs O. (2010). The Dark Corners of the Industry 4.0 – Grounding Economic Governance 2.0. Technology in Society. 55.

12. Remeikiene R., Gaspareniene L., Schneider, E. the Definition of Digital Shadow Economy (2018), Technological and Economic Development of Economy, vol. 24(2). pp. 696-717.

13. Qu J., Simes R. and O'mahony J. How do digital Technolo-

hies Drive Economic Growth? Economic Record, vol. 93. Issue, June, 2017, pp. 57-69.

14. Goldfarb A., Tucke C. Digital Economics. Journal of Economic Literature. 2019, (57), pp. 3-43.

15. Dobrinan, A. P. (2016). Digital economy - various paths to the effective use of technology (BIM, PLM, CAD, ION, Smart City, BIG DATA and others), International Journal of Open Information Technologies, vol. 4. no 1. pp. 4-11.

16. Katasonov V. Digital economy – a bright future for humanity or a stock market bubble, http://www.kramola.info/vesti/novosti/cifrovaya-ecjonomirf-svetloe_budushee_chelovechecnva_-_ili_birzheviu-puzyt

17. Tutov L. A. (2019). Nature - man - culture in digital reality (Lomonosov Readings) - 2019, collection of abstracts, M., Moscow State University, p. 56-58.

18. Rogozhnikova V. I. (2019). Professionals in the information economy; Problems of Dovenia (Lomonosov Readings) - 2019, collection of abstracts, M., Moscow State University, p. 50-52

DIGITAL TRANSFORMATION OF THE ECONOMY (DIGITIZATION), AS THE GLOBAL TRANSFORMATION

Tatia Ghurtskaya,

Associated Professor
of Georgian Technical University;

Sofia Paliani,

PhD Student of Georgian Technical
University. paliani.sopio@gtu.ge

RESUME

This article is about digitization of the world economy. The authors consider it an epochal transformation.

The article describes the content of the digital economy, its pre-

requisites, forms of manifestation, differences from the traditional economy, its advantages and disadvantages (more precisely, threats) and others.

In the article, a bibliographic study was actually conducted on this issue, that is, the opinions of various scientists (Jolia, Lekashvili, Maglakelidze, Tutov, Kovacs, Rimeikene, Schneider, Gasparainere, Erkomaishvili, Bauri, Hong, Katasinov, Javakhadze, Khikhadze, Rigozhnikova and others) on digital transformation were discussed. They are compared and reconciled, and their own opinions are also expressed.

In the article, the authors present the state of digitization of the economy in Georgia, Georgia's neighboring countries and the world as a whole, and conclude that Georgia has an average position according to the DIGIX index (57th place among 99 countries).

The article provides information on provision of computers (82%), access to the Internet (79.3%), provision of mobile phones (84.8%) and others.

Since digitalization is an innovative process, it is led in Georgia by the Agency of Innovation and Technology of Georgia, which implements a number of programs in this direction - artificial intelligence, the "Startup Georgia" program, nanotechnologies and others. According to the authors, the state's support for this issue in Georgia is at a rather low level - the country does not have a digital transformation strategy, its funding is meager, etc.

In conclusion, the authors note that they agree with the opinion of world-class scientists that the development of the digital economy should be a priority in any country, but they consider blind imitation dangerous and consider it necessary to conduct a wide and deep study of the reliability of digitization in terms of its impact on the human psyche.

Keywords: digitalization; digital transformation; level of digitization; digital initiatives; digital skills; Digital economy.

**კომპანიათაშორისი ურთიერთქმედების
თავისებურებები ციფრული ეკონომიკის
პირობებში**

DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-87

ნინო სამჭკუაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ)
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

კვლევის მიზანია დადგინდეს კომპანიათაშორისი ურთიერთქმედების პროცესის სპეციფიკა ციფრული ეკონომიკის პირობებში, როდესაც აქტუალურია ეკონომიკური საქმიანობის დიგიტალიზაცია. დიფერენცირებულია კომპანიათაშორისი ქსელების განვითარების პროცესის სხვადასხვა თეორიის შინაარსი, როგორებიცაა ეტაპების, მდგომარეობების და შეერთების თეორიები. გამოყოფილია ქსელური ურთიერთობების განვითარების ხუთი ეტაპი - კავშირების ძიების პროცესები, ურთიერთობების სანყისი ეტაპი, ურთიერთობების განვითარება, ურთიერთობების შენარჩუნება და შეწყვეტა. განისაზღვრა ურთიერთობა ურთიერთობის განვითარების ეტაპებსა და ურთიერთქმედების ტიპებს შორის: კონტაქტი; ერთობლივი წარმოება; თანამშრომლობა; კოორდინაცია; კოევილოუცია; კონსოლიდაცია. დადგინდა, რომ ციფრული ტექნოლოგიების დაწერგვა მათი ტექნოლოგიური ევილოუციის დასაჩქარებლად ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს გაზარდონ კონკურენტული უპირატესობები. დიგიტალიზაციის პირობებში კომპანიათაშორისი ურთიერთქმედების განვითარებისათვის წარმოდგენილია ეკონომიკური საქმიანობის მოდელი. კომპანიათაშორისი ურთიერთქმედების ფორმირებისას ორგანიზაცია შეძლებს უზრუნველყოს მათი ეფექტიანობა: საკითხების ფართო სპექტრის

გადანყვეტისას ურთიერთქმედების მიზნით დაინტერესებული მხარეების მოზიდვის; ფუნქციონირების ამოცანების გართულების შედეგად წარმოშობილი რისკების მართვის შესაძლებლობის შექმნისათვის რესურსების გლობალიზაციის; მცირე დანახარჯების პირობებში დაინტერესებულ მხარეებს შორის ქმედებების შეთანხმების და ცოდნის სწრაფი გენერირების შესაძლებლობების ფორმირების გზით. დასასრულს, მოყვანილია ციფრული ეკონომიკისა და ეკონომიკური საქმიანობის დიგიტალიზაციის პირობებში კომპანიათაშორისი ურთიერთქმედების განვითარების ამოცანები.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ტექნოლოგიების, ეკონომიკური საქმიანობის დიგიტალიზაცია, ციფრული ეკონომიკა, კომპანიათაშორისი ურთიერთობები, კოორდინაცია.

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი მახასიათებელია კომპანიათაშორისი ურთიერთქმედების სხვადასხვა ფორმის აქტიური განვითარება. ბაზრის სტრუქტურებში მონაწილეებს შორის ურთიერთობის მეთოდები იცვლება გარე გარემოს მზარდი გაურკვეველობის გამო საერთაშორისო კონკურენციის გაზრდის, ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განახლების პროცესების დაჩქარების გამო. ბაზრების მუდმივმა დიფუზიამ, რომელიც გამონგვეულია, პირველ რიგში, ტოტალური ქსელის შექმნისა და დიგიტალიზაციის შედეგად, მნიშვნელოვნად შეცვალა კომპანიის ბუნება. ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლასთან დაკავშირებული ცვლილებები იწვევს ინტეგრაციის გაზრდას როგორც მეზო, ისე მაკრო დონეზე.

ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობების ევოლუციის შესწავლაზე მიმართული სამეცნიერო ნაშრომები ხასიათდება ურთიერთქმედების ფორმების განვითარების ტენდენციების ანალიზისა და დასაბუთების მრავალფეროვნებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა უმეტესობას მიაჩნია, რომ თანამედროვე პირობებში ორგანიზაციული ფორმების ევოლუ-

ციის ყველაზე ადეკვატური ვარიანტია ქსელური სტრუქტურები. მაგალითად, ჯ. სტამპსი და ჯ. ლიბნეკი ხაზს უსვამენ იმას, რომ ყოველი ეპოქისათვის დამახასიათებელია თავისი ორგანიზაციული ფორმა, ხოლო ციფრული ეპოქის ფარგლებში ამ ფორმას წარმოადგენს ქსელი [1].

ლიტერატურის მიმოხილვამ აჩვენა, რომ სოციოლოგიიდან, ფსიქოლოგიიდან და სოციოკულტურული ანთროპოლოგიიდან ნასესხები მეთოდოლოგიის ელემენტებმა მკვლევარებს საშუალება მისცა ჩაეტარებინათ კვლევები ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთქმედების შესახებ უკვე არსებულ ძირითად დასკვნებზე და თეორიულ განზოგადებებზე დაყრდნობით.

ძირითადი ტექსტი

1. კომპანიათაშორისი ურთიერთობების არსი ციფრული ეკონომიკის პირობებში.

ტერმინებს “ქსელი”, “ქსელური ურთიერთობები”, “ქსელური ორგანიზაცია” ეძღვნება მრავალი კვლევა, რომლებიც ხსნიან ქსელის სტრუქტურების ინტენსიური განვითარების მიზეზებს ცოდნის სხვადასხვა სფეროს თვალსაზრისით. ქსელური ურთიერთობების განსაზღვრის მრავალი ვარიანტი, კვლევის მიზნებიდან და მიმართულებებიდან გამომდინარე, განსხვავდება როგორც ტერმინოლოგიით, ასევე აქცენტის მინიჭებით.

თუმცა, ამგვარი ურთიერთქმედების არსი არის ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების თანამშრომლობა გარკვეული მიზნების მისაღწევად. ქსელური ურთიერთობები განსხვავდება მარტივი ორმაგი ურთიერთქმედებისგან მრავალმხრივი, სტაბილური და რეგულარულად განმეორებადი ფორმალური და არაფორმალური ურთიერთკავშირებით, რომელიც დაფუძნებულია სპეციფიური რესურსების ერთობლივ გამოყენებაზე.[2]

ქსელური ურთიერთქმედების ფორმების იდენტიფიცირების მიდგომების განზოგადებით, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ნიშნები:[3]

1. ურთიერთქმედების მონაწილეთა იურიდიული დამოუკიდებლობა. ქსელის მონაწილეები ათანხმებენ თავიანთ ფუნქცი-

ებს, მაგრამ არ აერთიანებენ მათ.

2. მიზნების შეთანხმება და თავსებადობა. თითოეული მონაწილე უნდა იყოს ჩართული ურთიერთქმედების საერთო მიზანში, მაგრამ თავისი საქმიანობის შედეგების მისაღწევად შესაძლოა ჰქონდეს სხვა მიზნებიც.

3. იურიდიული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისას ქსელის მონაწილეთა სტრატეგიული ურთიერთდამოკიდებულება.

4. საკმაოდ სწრაფი ადაპტაცია, როგორც გარე, ისე შინაგან ცვლილებებთან.

5. კოლექტიური რესურსების ბაზა.

6. ქსელის მონაწილეებს შორის ნდობის მაღალი ხარისხი.

ქსელური სტრუქტურების ფორმირების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა იერარქიული ფორმების დადებითი კოოპერაციული ეფექტის გამოყენება, სტიმულირების ფორმების შესანარჩუნებლად, რომლებიც ეფუძნებიან საბაზრო ურთიერთობების დამახასიათებელ კონკურენციასა და საკუთრების უფლებას. კვლევამ აჩვენა, რომ ქსელურ ურთიერთობებში მონაწილეობა კომპანიებს ეხმარება განუწყვეტელი ურთიერთსწავლების გზით შექმნან და გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიები; წინააღმდეგობა გაუწიოს გარე გარემოში დინამიურ ცვლილებებს; გაიუმჯობესონ საბაზრო პოზიცია და ფინანსური შედეგები; ისწავლონ ახალი უნარები, შეიძინონ ახალი ცოდნა და შესაძლებლობები. ამრიგად, სტატიაში ქსელური ურთიერთობები შემოთავაზებულია გაგებულ იქნეს, როგორც გარკვეული ნებაყოფლობითი ინტეგრაციის ურთიერთობების ერთობლიობა დამოუკიდებელ ეკონომიკურ სუბიექტებს შორის, რომლებიც მუშაობენ შეთანხმებული წესების მიხედვით, რომლის საერთო გრძელვადიანი მიზანია ხელმისაწვდომი რესურსების ეფექტიანი გამოყენება.


კომპანიათაშორისი ქსელების ფორმირების სხვადასხვა მიდგომის ფარგლებში შეგვიძლია გამოვყოთ მათი განვითარების პროცესის გაგების რამდენიმე ძირითადი მიმართულება: ეტაპების თეორია (სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია და ზრდის ეტაპების კონცეფცია), მდგომარეობის თეორია და მიერთების თეორია.


ამ მხრივ საინტერესოა ჯ. ბატონდას და ჩ. პერის მოდელი, რომლებმაც ჩაატარეს კვლევა ზემოთ მოყვანილი ცნებების გაერთიანებაზე, რათა ნათლად და სრულად აღენერათ მონაწილეთა ურთიერთობები ქსელის სასიცოცხლო ციკლის თითოეულ ეტაპზე. (იხ. ნახ. 1). [4]

1 იაშაღაშვილი მ. 2017წელი. ბონდების ბაზარი და მისი მნიშვნელობა. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა N4 IASHAGASHVILL.pdf (nier.ge) (უკანასკნელად გადამოწმდა 05.11.2023)

2 ლამარა ქოქიაური, ნანა შონია.(2008) ფასიანი ქალაქების ბაზარი. გვ 67 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი(უკანასკნელად გადამოწმდა 05.11.2023) 002156 (nplg.gov.ge)

ინვესტორები ფასიანი ქაღალდის შექენამდე ინტერესდებიან ამ ინსტრუმენტის დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების დადებითი მხარეებია¹:

- მუნიციპალურ ობლიგაციებში ინვესტირებულ თანხაზე დარიცხული პროცენტი ხშირად თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. ასევე სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისგანაც, გადასახადისგან განთავისუფლება ქაღალდებს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ინვესტორებისათვის;

- ისტორიულად, მუნიციპალური ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს უსაფრთხო ინვესტირებად ინსტრუმენტს დაბალი დეფოლტის განაკვეთით.

- მუნიციპალური ობლიგაციები უზრუნველყოფს დივერსიფიკაციას ინვესტირებული პორტფელის ფარგლებში, ასევე რისკების გავრცელებას სხვადასხვა სექტორებში და გეოგრაფიულ რეგიონებში.

მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების უარყოფითი მხარეებია²:

- მუნიციპალური ობლიგაციები როგორც წესი გვთავაზობენ დაბალ შემოსავალს, კერძო კომპანიებისა და სააქციო საზოგადოებების ობლიგაციებთან შედარებით;

- მუნიციპალური ობლიგაციების ფასის ცვლილებას შეიძლება ინვესტორს საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, რომელიც ეკონომიკური პირობების ან კრედიტუნარიანობის პრობლემების წარმოშობის პარალელურად მიმდინარეობს;

- ზოგიერთ მუნიციპალურ ობლიგაციას შეიძლება ახასიათებდეს შეზღუდული ლიკვიდურობა მეორად ბაზარზე.

ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანია ჩატარებული კვლევების შედეგები, რათა ეს შედეგები მათ გაითვალისწინონ თავი-

1 Beers, B., & Zinn, D., (2022) What are municipal bonds? Bankrate, What Are Municipal Bonds? | Bankrate (უკანასკნელად გადამოწმდა 04.11.2023)

2 Juneja, P., (n.d) Municipal Bonds, Reviewed By Management Study Guide Content Team, Management Study Guide, <https://www.managementstudyguide.com/municipal-bonds.htm> (უკანასკნელად გადამოწმდა 04.11.2023)

ანთი საინვესტიციო მიზნებისთვის. ინვესტორებმა სასურველი გადანყვეტილება რომ მიიღონ, მიზანშეწონილია კონსულტაცია ფინანსურ მრჩეველთან გაიარონ.

მუნიციპალური ფასიანი ქალაქების მფლობელები ძირითადად ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, კორპორაციები და ფიზიკური პირები არიან.

საინტერესო იქნება განვიხილოთ სხვა ქვეყნების გამოცდილება ამ ქალაქების მდგომარეობის შესახებ.

ხორვატიაში მუნიციპალური ფასიანი ქალაქი 2004 წლიდან აქტიურად ფუნქციონირებს. ქვეყნის რამდენიმე ფინანსურად ძლიერმა ქალაქმა გადანყვიტა რომ მათ ქალაქში განსახორციელებელი ზოგიერთი პროექტის დაფინანსება ამ სახის ობლიგაციებით შეეძლოთ. მაგალითად, კომუნალური პროექტები.

მუნიციპალური ფასიანი ქალაქებით ასევე შესაძლებელია ადგილობრივი ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსება.

ხორვატიაში ამჟამად რეალიზაციაში ჩაშვებული მუნიციპალურ ქალაქები 7 ან 10 წლიანია. ისინი დენომინირებულია როგორც მათ ეროვნულ ვალუტაში კუნაში ასევე ევროში. მიმდინარე პერიოდზე გაყიდვაში რეალიზებულია დაახლოებით 180 მლნ კუნას ღირებულების მუნიციპალური ობლიგაცია, რაც ქართულ ლარებზე 65 მლნ ლარს აღემატება.

მიუხედავად მუნიციპალურ ობლიგაციებზე არსებული გარკვეული ხელის შემშლელი პირობებისა, რომელიც სხვა სახის ფასიანი ქალაქების გამოშვებაში გამოიხატება, მაინც დიდი მოცულობითი მოთხოვნაა მათზე.

მუნიციპალიტეტების მიერ გამოშვებულმა ობლიგაციებმა აშშ ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა. ამ სახის ობლიგაციებით დაფინანსდა არხების, გზებისა და რკინიგზის პროექტების განხორციელება. ამერიკაში მუნიციპალური ობლიგაციები 1800 იანი წლებიდან იწყება და დღესაც აქტიურად გამოიყენება.

აქტიურად ფინანსდება დღესაც ინფრასტრუქტურული პროექტები. სკოლები, უნივერსიტეტები, აეროპორტები, საა-

ვადმყოფოები, ხიდები, მაგისტრალები, კანალიზაციისა და წყალმომარაგების სისტემები.

2022 წლის ბოლოს ამერიკის მიერ გამოშვებული მუნიციპალური ობლიგაციების სრული მოცულობა დაახლოებით 4 ტრილიონი დოლარია.

მუნიციპალური ობლიგაციები გამოშვებულია როგორც აშშ-ს შტატებისა ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. მათი გამოშვება შესაძლებელია ტერიტორიების მიხედვით. ინვესტორის გადანყვეტილება ობლიგაციების შექმნაზე იგივეა რომ მათ გასცეს სესხი მშენებლობისათვის, ისეთი ობიექტებისათვის, როგორებიც არიან: სკოლები, ცენტრალური მაგისტრალები, საკანალიზაციო სისტემები, საავადმყოფოები და სხვა საჯარო პროექტები.

მუნიციპალური ობლიგაციების პროცენტი ამერიკაში გათავისუფლებულია ფედერალური და საშემოსავლო გადასახადებისგან. ეს შეღავათი ეკუთვნით შტატებში მცხოვრებლებს.

მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების გამოშვება საქართველოში არ ხდება. შესაბამისად მუნიციპალიტეტები და მათ ტერიტორიაზე განსახორციელებელი სხვადასხვა სახის პროექტები მთლიანად დამოკიდებულია ქვეყნის ბიუჯეტზე. მუნიციპალიტეტების მიხედვით შესასრულებელი სამუშაოები იმდენად მოცულობითია, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები საკმარისი არ არის, რაც რეგიონის დროულ განვითარებას აფერხებს, შესაბამისად უკან ხევს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

დასკვნა

მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების გამოყენებით შესაძლოა ჩვენი ქვეყნის რეგიონული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსება. ამით რეგიონის ცხოვრების დონეც გაიზრდება და ბევრად უფრო მიმზიდველი გახდება ის უცხოელი თუ ადგილობრივი ტურისტებისთვის, რაც დამატებით შემოსავალს გააჩენს რეგიონში და ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იაშაღაშვილი მ. (2017) ბონდების ბაზარი და მისი მნიშვნელობა. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა N4 IASHAGASHVILI.pdf (nier.ge) (უკანასკნელად გადამოწმდა 05.11.2023)
2. ქოქიაური, ლ. & შონია, ნ. (2008) ფასიანი ქაღალდების ბაზარი. გვ-67. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (უკანასკნელად გადამოწმდა 05.11.2023) 002156 (nplg.gov.ge)
3. Beers, B., & Zinn, D., (2022) What are municipal bonds? Bankrate, What Are Municipal Bonds? | Bankrate (უკანასკნელად გადამოწმდა 04.11.2023)
4. Juneja, P., (n.d) Municipal Bonds, Reviewed By Management Study Guide Content Team, Management Study Guide, <https://www.managementstudyguide.com/municipal-bonds.htm> (უკანასკნელად გადამოწმდა 04.11.2023)

REFERENCES:

1. M. Iashagashvili (2017) Bond market and its importance. Finance and Banking policy. Innovative economics and management N4. Available at: IASHAGASHVILI.pdf (nier.ge)
2. L. Qoqiauri & N. Shonia (2008) Security Market, Tbilisi State University. Last view: 05.11.2023 Available at: 002156 (nplg.gov.ge)
3. Beers, B., & Zinn, D., (2022) What are municipal bonds? Bankrate, What Are Municipal Bonds? | Bankrate (Last view 04.11.2023)
4. Juneja, P., (n.d) Municipal Bonds, Reviewed By Management Study Guide Content Team, Management Study Guide, <https://www.managementstudyguide.com/municipal-bonds.htm> (last view: 04.11.2023)

THE ROLE OF MUNICIPAL SECURITIES IN REGIONAL DEVELOPMENT

Mzevinar Zotikishvili,

PhD student of GTU

zotikishvilimzia@yahoo.com

RESUME

The progress of a country and its economic development greatly depends on regional development. Regional government bodies fully or partially implement a variety of projects within the allocated budget. These initiatives include setting up hospitals, sports fields, sewerage systems, schools, and kindergartens, as well as addressing other infrastructure issues. For this reason, obtaining additional funding will be important for the development of municipalities. As the experiences of other nations have demonstrated, issuing municipal securities, i.e., bonds, will have the desired effect on regional development.

Key words: Municipal bonds, Securities, Infrastructural projects, Investment.



**საავტომობილო სადილერო ცენტრის გაყიდვების
ანალიზი BUSINESS INTELLIGENCE ტექნოლოგიის
გამოყენებით**

DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-130

მაია ჩეჩელაშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ ასოცირებული პროფესორი
maiko_23@mail.ru

სოფიკო შოშიაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

გაყიდვების მზარდი მოცულობა ზრდის ანალიზის ინსტრუმენტების მნიშვნელობას, რომელთა უმეტესობა აგებულია მონაცემთა ბაზებში ცოდნის აღმოჩენის პრინციპებზე, რაც ბაღებს OLAP კუბების შენახვისა და დამუშავების ოპტიმალური სქემების არჩევის პრობლემას. სტატიაში წარმოდგენილია ავტოდილერის ანალიტიკური სისტემის სტრუქტურა. შემუშავებულია მონაცემთა სანყობის სტრუქტურა და მოდელების ნაკრები სადილერო ავტოცენტრის გაყიდვების ანალიზის პროცესისთვის. ჩამოყალიბებულია ავტოდილერის გაყიდვების ანალიზის მეთოდოლოგია.

აღნიშნულია, რომ დღევანდელ ეკონომიკურ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტოცენტრის საქმიანობის კლების ან ზრდის ტენდენციების მონიტორინგი, კომპონენტების პერსპექტიული და არაპერსპექტიული ტიპების, აგრეთვე იმ პროდუქტების იდენტიფიცირება, რომლებისთვისაც საჭი-

როა გარკვეული ძალისხმევა მათი ბაზარზე პოპულარიზაციისთვის. ინტელექტუალური მონაცემთა ანალიზის ჩატარება საშუალებას გვაძლევს ჩამოყალიბდეს კონკრეტული და მიზანმიმართული მენეჯმენტის გადანყვეტილებები პროდუქტის გაყიდვების სინერგიული ეფექტის გაზრდის თვალსაზრისით, რაც თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ჩამოყალიბებულია ავტოდილერის გაყიდვების ანალიზის მეთოდოლოგია. შემუშავდა მონაცემთა საწყობის სტრუქტურა, შეგროვდა სტატისტიკური მონაცემები, მონაცემთა ნაკრები ანალიზისთვის, შეიქმნა მოდულების ნაკრები და ანგარიშები სადილერო ავტოცენტრის გაყიდვების ანალიზის პროცესისთვის. ნაჩვენებია შემოთავაზებული კვლევის ეფექტიანობა.

საკვანძო სიტყვები: დილერაცია, პროგნოზირებადი ანალიზი, გაყიდვები, მონაცემთა მოპოვება, მონაცემთა სეგმენტაცია.

შესავალი

Buziness Intelligence (BI) - არის კომპიუტერული მეთოდებისა და ხელსაწყოების აღნიშვნა ორგანიზაციებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანზაქციული ბიზნეს ინფორმაციის თარგმნას ადამიანისათვის გასაგებ ფორმაში, ასევე ინსტრუმენტებს ასეთ ინფორმაციასთან მასობრივი მუშაობისთვის.

ბოლო წლებში საქართველოში არსებულმა რთულმა ეკონომიკურმა ვითარებამ და შინამეურნეობების შემოსავლების შემცირებამ განაპირობა ახალი და მეორადი მანქანების გაყიდვების ვარდნა, შესაბამისად 45 და 19%-ით. საკონსულტაციო სააგენტო PricewaterhouseCoopers-ის თანახმად, საქართველოს საავტომობილო ბაზრის აღდგენას შეიძლება 7 წელი დასჭირდეს, მაგრამ უკვე 2027 წელს, საქართველოში სამგზავრო მანქანების გაყიდვების ზრდა შეიძლება 11%-მდე გაიზარდოს [1]. ბევრი საავტომობილო დილერი ასეთ არასტაბილურ პირობებში იძულებულია დივერსიფიკაცია გაუწიოს საქმიანობას და მიატოვოს ახალი მანქანების გაყიდვა, გადავიდეს მეორადი მან-

ქანებისა და სათადარიგო ნაწილების გაყიდვაზე.

ამჟამინდელ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტოცენტრების საქმიანობის კლების ან ზრდის ტენდენციების მონიტორინგი, კომპონენტების პერსპექტიული და არაპერსპექტიული ტიპების, აგრეთვე იმ პროდუქტების იდენტიფიცირება, რომლებისთვისაც საჭიროა გარკვეული ძალისხმევა ბაზარზე მათი პოპულარიზაციისთვის. პროდუქტის გაყიდვების სინერგიული ეფექტის გაზრდის თვალსაზრისით მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის ჩატარება იძლევა მენეჯმენტის კონკრეტული და მიზანმიმართული გადაწყვეტილებების ფორმირების საშუალებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში [4].

1. სადილერო ავტოცენტრის გაყიდვების ანალიზის აბეზის ეტაპები

სადილერო ავტოცენტრის გაყიდვების გასაანალიზებლად შემოთავაზებულია მეთოდოლოგია მონაცემთა ბაზებში ცოდნის აღმოჩენის (KDD) მიდგომის საფუძველზე, რომელსაც ეწოდება „ცოდნის ამოღება მონაცემთა ბაზებიდან“. იგი აღწერს მოქმედებების თანმიმდევრობას, რომელიც უნდა შესრულდეს სასარგებლო ცოდნის გამოსავლენად. KDD მიდგომა მოიცავს მონაცემთა მომზადების ეტაპებს, ინფორმაციული მახასიათებლების შერჩევას, მოდელის აგებას, შემდგომ დამუშავებას და შედეგების ინტერპრეტაციას [5, 6]. ამ პროცესის საფუძველია მონაცემთა მოპოვების ტექნიკა, რომელიც იძლევა შაბლონებისა და ცოდნის აღმოაჩენის საშუალებას. წარმოვადგენთ ავტოდილერის გაყიდვების ანალიზის ეტაპების თანმიმდევრობა.

● ეტაპი 1. ანალიზისთვის საინფორმაციო ბაზის ფორმირება, მონაცემთა საწყობის დიზაინის ჩათვლით და მონაცემთა ამოღება სადილერო ავტოცენტრის კორპორატიული სისტემიდან.

● ეტაპი 2. საინფორმაციო ბაზის წინასწარი დამუშავება და მონაცემთა ტრანსფორმაცია (ტიპის კონვერტაცია, დროის ინტერვალების განაწილება, დახარისხება, დაჯგუფება).

● ეტაპი 3. მონაცემთა ანალიზის მოდელეების აგება, მონაცემთა მოპოვეების მეთოდების გამოყენებით შემდგომი დამუშავების სცენარების შექმნა.

1. ეტაპი 3.1. აბონენტთა ბაზის სეგმენტაცია **Kohonen** ალგორითმის გამოყენებით: შეყვანის ველების ინსტალაცია და კონფიგურაცია, პარამეტრების დაყენება, შემომავალი ნეირონების წონის განსაზღვრა, გამარჯვებული ნეირონების იდენტიფიცირება, წონის ახალი მდგომარეობის გამოთვლა, ქსელის ტრენინგის დასრულება, **Kohonen** რუქების მიღება.

2. ეტაპი 3.2. გაყიდვების პროგნოზირება: მონაცემთა დაჯგუფება, მოცურების ფანჯრის მეთოდი, ნერვული ქსელის მშენებლობა.

3. ეტაპი 3.3. კომბინირებული ABC-XYZ ანალიზი (მონაცემთა შერჩევა, დაჯგუფება, დახარისხება, მთლიანი გაყიდვების წილის პოვნა, წილი კუმულატიურ ჯამთან, სტანდარტული გადახრა, ვარიაციული კოეფიციენტი, მეთოდების კომბინირება).

● ეტაპი 4. მოდელის ადეკვატურობის შემოწმება: თუ მოდელი ადეკვატური და გამოსაყენებელია ამ კვლევისთვის, მაშინ გადასვლა შემდეგ ნაბიჯზე (ეტაპი 5); თუ მოდელი არ გამოიყენება, მაშინ დგინდება, არის თუ არა საკმარისი მონაცემები ანალიზისთვის. თუ არ არის საკმარისი მონაცემები, მაშინ ხდება ალგორითმის პირველ საფეხურზე გადასვლა და ორიგინალური მონაცემების დამატება ან შეცვლა.

● ეტაპი 5. ინტერპრეტაცია: მიღებული ინფორმაცია პროგნოზის გრაფიკების, **OLAP** ანალიზის ცხრილებისა და დიაგრამების სახით გადაეცემა სადილერო ავტოცენტრის ეკონომიკურ განყოფილებას შესწავლისა და მართვის გადანყვეტილებების მისაღებად.

მმართველობითი გადანყვეტილებების ფორმირებისა და მიღების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება მონაცემთა მოპოვეების სისტემები - **BI** სისტემები (**Business Intelligence**) [7, 8]. **BI** სისტემა არის ამოცანების, მეთოდების (ტექნიკის), პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკური სისტემების ერთობლიობა, რომლებიც ურთიერთდაკავშირებუ-

ლია მიზნების, პარამეტრების და პირობების თვალსაზრისით, რაც იძლევა საანგარიშო ფორმების ნაკრების შექმნის საშუალებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მმართველობითი გადანყვეტილებების და/ან ვარიანტების მისაღებად. ასეთი გადანყვეტილებები არის სრული BI სისტემების შექმნის საფუძველი, გაყიდვების ანალიზის ჩათვლით [9].


2. სადილერო ავტოცენტრის ანალიტიკური სისტემის არქიტექტურა

Deductor-ში დანერგილი ტექნოლოგიები იძლევა ანალიტიკური სისტემის აგების ყველა ეტაპის გავლის საშუალებას ერთიანი არქიტექტურის საფუძველზე: მონაცემთა საცავის შექმნიდან მოდულების ავტომატურად შერჩევამდე და მიღებული შედეგების ვიზუალიზაციამდე. დედუქტორზე დაფუძნებული სადილერო ავტოცენტრის ანალიტიკური სისტემის არქიტექტურა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: გაყიდვების მონაცემთა წყაროებს, მონაცემთა შენახვას, მოდულის შენახვას და ვიზუალიზაციისა და ანგარიშების მოდულებს (ნახ. 1).

Deductor-ის პლატფორმაზე დაფუძნებული მონაცემთა მოპოვების ტექნოლოგიების დანერგვა ამცირებს ანალიტიკოსის ამოცანებს მონაცემთა დამუშავების სცენარის სწორ არჩევამდე, ხოლო ანგარიშების შესრულება და გენერირება გადადის Deductor-ის ანალიტიკურ პლატფორმაზე [12]. ამ ეტაპების განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა მონაცემთა საწყობის ფორმირება, რომელიც პერიოდულად ივსება სხვადასხვა გარე წყაროებიდან, სტატისტიკური ანგარიშების ჩათვლით. „ანალიზის“ მონაცემთა საწყობის სტრუქტურა მოიცავს ინფორმაციას გაყიდვების შესახებ კვარტლის მიხედვით (ნახ. 2).

შეყვანის მონაცემები იმპორტირებულია „სანარმოდან“ და ნარმოადგენს შემდეგ სუბიექტებს: პროდუქტი, მომხმარებელი, მომწოდებელი, გაყიდვები, კონტრაქტი მიმწოდებელთან, მანქანები, აღჭურვილობა. ანალიტიკური განაცხადის ძირითადი დოკუმენტებია ცხრილები „გაყიდვები“, „შეთანხმება მიმწოდებელთან“ და „კლიენტი“. „გაყიდვების“ დოკუმენტი შეიცავს ინ-


ნახ. 1. სადიღერო ავტოცენტრის ანალიტიკური სისტემის სტრუქტურა



ფორმაციას მომხმარებლის მიხედვით გაყიდვებისა და შექენის თარიღის შესახებ. ექსპლუატაციის დროს, ამ ცხრილის ინფორმაცია ინტეგრირებულია „პროდუქტის“, „მომხმარებლის“ და „მიმწოდებლის“ ცხრილებთან რათა გაკეთდეს პროგნოზი და გაანალიზდეს გაყიდვები.

დოკუმენტი „პროდუქტის ნომენკლატურა“ შეიცავს ინფორმაციას პროდუქტისა და მისი ჯგუფის შესახებ. ამ ცხრილის ინფორმაცია ინტეგრირებულია პროდუქტისა და გაყიდვების ცხრილებთან მონაცემთა საწყობიდან ცოდნის მოპოვების


ნახ. 2. «Analysis» მონაცემთა სემანტიკური საცავი



პროცესში. „კლიენტის“ დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას კლიენტების შესახებ, რომლებიც გადიან სერვისს ავტო ცენტრში. ანალიტიკური სისტემის ცალკეულ ობიექტებს შორის შეტყობინებების გაცვლა ერთი გამოყენების შემთხვევაში ნაჩვენებია ურთიერთქმედების დიაგრამაში (ნახ. 3).

შემდეგი ამოცანაა მონაცემების ჩატვირთვა განზომილებაში „ექსპორტის ოსტატის“ გამოყენებით. ჩატვირთვის სკრიპტს აქვს ხის ფორმა; მისი კვანძები არის ოპერაციების თანმიმდევრობა, როგორცაა: ა) მონაცემთა იმპორტი გარე წყაროებიდან;

ნახ. 3. ურთიერთქმედების დიაგრამა




ბ) მონაცემების ექსპორტი ზომებში ატრიბუტებით, იერარქიის უმაღლესი საფეხურიდან დანყებული; მონაცემთა ექსპორტი პროცესებში. ანალიტიკური სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია მათემატიკური მოდელების ნაკრები [9, 10].

სადილერო ავტოცენტრის ანალიტიკური გამოყენების მოდელების ნაკრები მოიცავს ა) მომხმარებელთა სეგმენტაციის, ბ) პროგნოზირების და კომბინირებული ABC-XYZ ანალიზის მოდელებს. კლიენტებთან მუშაობის ოპტიმიზაციის ერთერთი კლასიკური გზაა მათი კლასტერიზაცია - ანუ დაყოფა საკმაოდ ერთგვაროვან ჯგუფებად, თითოეული სეგმენტის მახასიათებლების იდენტიფიცირება და წინადადებების ფორმირება გამოვლენილი შაბლონების გათვალისწინებით [11]. დედუქტორი მოიცავს ალგორითმებს, რომლებიც იძლევა მაღალი ხარისხის კლასტერიზების საშუალებას ჰეტეროგენული ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით.


სადილერო ავტოცენტრის ანალიტიკურ აპლიკაციაში მონაცემთა კლასტერიზება ხორციელდება მომხმარებლის მიერ შესყიდვების ასაკისა და მოცულობის მიხედვით კვანძში „მომხმარებელთა ბაზის კლასტერიზება“ (ნახ. 4).

ნახ. 4. კვანძი „კლიენტთა ბაზის კლასტერიზაცია“




„კალკულატორის“ პროცესორის გამოყენებით ხდება კლიენტის ასაკის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და მისი კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისადმი კუთვნილების განსაზღვრა. Kohonen რუკაზე (სურ. 5) აგებულია ჯვარედინი დიაგრამა (ნახ. 6), რომელიც აჩვენებს გაყიდვების დამოკიდებულებას კლიენტის ასაკობრივ ჯგუფზე.

ნახ. 5. კოჰენის რუკა



ნახ. 6. კოჰენის რუკის მიხედვით აგებული ქროს-დიაგრამა



პროდუქტების ჯგუფის მიხედვით გასაანალიზებლად, მონაცემები ჯგუფდება ზომებისა (პროდუქტის კოდი, პროდუქტის დასახელება) და ფაქტების (ასაკობრივი ჯგუფი, გაყიდვების ერთეულების რაოდენობა) და ვიზუალიზდება OLAP ანგარიშში ჯვარედინი დიაგრამის სახით. ინფორმაცია მოგვიანებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარკეტინგული კამპანიების შესაქმნელად, რომელიც მიმართულია მომხმარებელთა კონკრეტულ ჯგუფებზე ანდა სხვა კომპანიებში მომხმარებელთა გადინების პრევენციისათვის.


წინასწარ გარკვეული დროის განმავლობაში გაყიდვების პროგნოზის შესაქმნელად, გამოყენებულია მოცურების ფანჯრის მეთოდი [12]. მეთოდის მთავარი იდეაა შესწავლილი დროის სერიების განტოლების ფაქტორების ჩანაცვლება მათი საშუალო მნიშვნელობებით, რომლებიც შთანთქავენ შემთხვევით რყევებს. მეთოდი უზრუნველყოფს y_i -ს პროგნოზს, როგორც წინა გამოკვლეული მნიშვნელობების m საშუალოს:

$$y_i = \frac{\sum_{j=i-(m-1)/2}^{i+(m+1)/2} x_j}{m},$$

სადაც m არის ფანჯრის ზომა; x – ფაქტორის მნიშვნელობა.

გარდა ამისა, აგებულია დროითი სერიების მოდელი, პროგნოზის შედეგი ინახება „ანალიზის“ მონაცემთა საწყობში. მოძრავი საშუალო მოდელისთვის გამოყენებულია ნერვული ქსელის პროცესორი [3, 11]. „პროგნოზის“ კვანძის გამოყენებით ყოველი ასეთი დამუშავების შემდეგ, პროგნოზი გამოითვლება განსაზღვრული რაოდენობის პერიოდებისთვის. დამუშავების შესაბამისი სცენარი ნაჩვენებია ნახ. 7.

ნახ. 7. Deductor-ში გაყიდვების პროგნოზის მიღების სცენარი



ABC ანალიზი იძლევა პროდუქციის ასორტიმენტის შესწავლის, მითითებული კრიტერიუმების მიხედვით პროდუქციის რეიტინგის განსაზღვრისა და იმ ნაწილის გამოთვლის საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიისთვის მაქსიმალურ ეფექტს [13]. პროდუქციის ასორტიმენტი დაყოფილია 3 ჯგუფად:

- 1) **ჯგუფი A** – მნიშვნელოვანი, რომელიც შეადგენს ასორტიმენტის 20%-ს და შეადგენს ბრუნვის 80%-ს;
- 2) **ჯგუფი B** – საშუალო, შეადგენს ასორტიმენტის 30%-ს და უზრუნველყოფს ბრუნვის 15%-ს;
- 3) **ჯგუფი C** – ნაკლებად მნიშვნელოვანია, შეადგენს ასორტიმენტის 50%-ს და უზრუნველყოფს ბრუნვის 5%-ს.

ეს მეთოდი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მომწოდებლებისა და მყიდველების რეიტინგისთვის. ანალიზის შედეგია

ობიექტების დაჯგუფება საერთო შედეგზე გავლენის ხარისხის მიხედვით.

XYZ ანალიზი არის ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა პროდუქტები გაყიდვების სტაბილურობის ხარისხისა და მოხმარების რყევების დონის მიხედვით დაყოფის საშუალებას [8].

მეთოდი წარმოდგენს პროდუქტის თითოეული ერთეული-სათვის ცვალებადობის ან მოხმარების რყევის კოეფიციენტის გამოსათვლელად საჭირო ინსტრუმენტების ნაკრებს. XYZ ანალიზის შედეგია პროდუქციის დაჯგუფება სამ კატეგორიად, მათი ქცევის სტაბილურობიდან გამომდინარე:

1. კატეგორია X – სტაბილური (პროდუქტები გაყიდვების რყევებით 10%-მდე);

2. კატეგორია Y – სეზონური რყევები (პროდუქტები გაყიდვების რყევებით 10-დან 25%-მდე);


3. კატეგორია Z – არარეგულარული მოხმარება (25%-ზე მეტი გაყიდვების რყევების მქონე პროდუქტები).

ABC და XYZ ანალიზის კომბინაცია ავლენს გაყიდვების უდავო ლიდერებს (ჯგუფი AX) და აუტსაიდერებს (CZ). ასეთი მრავალგანზომილებიანი კომბინირებული ანალიზის შედეგად მიიღება 9 პროდუქტის ჯგუფი.

ABC-XYZ ანალიზის შედეგები გამოიყენება ასორტიმენტის ოპტიმიზაციისთვის, პროდუქტის ჯგუფების მომგებიანობის შესაფასებლად და სადილერო ავტოცენტრის ლოგისტიკისა და მომხმარებლების შესაფასებლად. ნახ.8 გვიჩვენებს კუბს და მის საფუძველზე აგებულ ჯვარედინი დიაგრამას.

კუბი არის ცხრილი, რომელიც ყოფს პროდუქტებს 9 ჯგუფად. ცხრილიდან ჩანს, რომ ჩამოყალიბდა 7 ჯგუფი. სვეტი „რაოდენობა/ღირებულება“ გვანვდის მონაცემებს იმის შესახებ, შედის თუ არა პროდუქტი კონკრეტულ ჯგუფში, სადაც თითოეული ჯგუფი შეესაბამება გაყიდვების მოცულობას. მაგალითად, ჯგუფი AX: ჯგუფში პროდუქტის დასახელების რაოდენობა – 6; გაყიდვების მოცულობა ჯგუფში არის 193,497 ლარი. AX და BX ჯგუფების პროდუქტები გამოირჩევა მაღალი ბრუნვითა და სტაბილურობით. აუცილებელია საქონლის მუდმივი ხელმისაწ-

ნახ 8. სადილერო ავტოცენტრის ABC-XYZ-ანალიზის შედეგები



ვდომობის უზრუნველყოფა, მაგრამ ამისთვის არ არის საჭირო გამძლეობის ქარბი მარაგის შექმნა. ამ ჯგუფის საქონლის მოხმარება სტაბილურია და კარგად არის პროგნოზირებული. AY და BY ჯგუფების პროდუქტებს, მაღალი ბრუნვით, აქვთ არასაკმარისი გაყიდვების სტაბილურობა და, შედეგად, მათი მუდმივი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია გამძლეობის მარაგის გაზრდა.

AZ და BZ ჯგუფების პროდუქტები, რომელთაც მაღალი ბრუნვა ახასიათებს, აგრეთვე ხასიათდება გაყიდვების დაბალი პროგნოზირებადობით. მოცემულ ჯგუფში ყველა საქონლის გარანტირებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მცდელობა მხოლოდ ქარბი უსაფრთხოების ინვენტარის საშუალებით გამოინვევს იმ ფაქტს, რომ კომპანიის საშუალო მარაგი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამ ჯგუფის პროდუქტების შეკვეთის სისტემა უნდა გადაიხედოს. ზოგიერთი საქონელი უნდა გადავიდეს შეკვეთის სისტემაში შეკვეთის მუდმივი ოდენობით (მოცულობით), ხოლო საქონლის სხვა ნაწილისთვის აუცილებელია უფრო ხშირი მიწოდების უზრუნველყოფა.

CZ საქონლის ჯგუფში შედის ყველა ახალი საქონელი, სპონტანური მოთხოვნის საქონელი, მიწოდებული შეკვეთით და ა.შ. ამ საქონლის ზოგიერთი ნაწილი შეიძლება უმტკივნეულოდ მოიხსნას ასორტიმენტიდან, ხოლო მეორე ნაწილზე რეგულარულად უნდა განხორციელდეს მონიტორინგი.

დასკვნა

ამრიგად, ავტოსადილერო ცენტრის ანალიტიკური სისტემის არქიტექტურა შემუშავებულია მონაცემთა ბაზების ტექნოლოგიებში ცოდნის აღმოჩენის გამოყენების საფუძველზე. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ABC-XYZ ანალიზის მეთოდის დანერგვა ხელს უწყობს დაკარგული გაყიდვების რაოდენობის შემცირებას, ჭარბი საქონლის შემცირებას და სადილერო ავტოცენტრის მთლიანი ხარჯების შემცირებას.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. Arbib M. Categories of (M, R)-Systems, - Ibid., p. 511-517.2022
2. Crocker, G. A New Logistics Methodology / G. Crocker // Journal of Operations Management. - 2019. - Vol. 17. - № 6.
3. Donald Waters. Logistics. An Introduction to Supply Chain Management. Palgrave Macmillan, New York, 2013.
4. Fred R. David. Fundamentals of Strategic Management. Merrill Publishing Company, 2016, p. 14
5. Glover F.(Ed.) Tabu search methods for optimization. Feature Issue of European J. Oper. Res. v106 (2018), № 2-3.
6. Hutchinson, N. E. An Integrated Approach in Logistics Management / N. E. Hutchinson. - New Jersey: Priorities Hall, 2015.
7. J. Coyle, E. Bardi, J. Cavinato. Transportation. West Publishing Co. 2022.
8. J. F. Sowa, J. A. Zachman. Extending and Formalizing the Framework for Information System Architecture. IBM System Journal, vol. 31, №3, 2022.
9. Joel M. Podolny, Karen L. Page. Network forms of organization, annual Review of Sociology, 2018 — page. 2
10. Laguna M. Scatter Search: Methodology and Implementation in C / Manuel Laguna, Rafael Marti. Kluwer Academic Publishers, 2020. - 345 p.
11. Longman Business English Dictionary Pearson Education, 2022 -სტრ. 116
12. Mintzberg H. Five Ps for Strategy, California Management

Review, in The Strategy Process, Practice Hall, Englewood Cliffs, NJ, 2017, p.62

13. Quinn, J/B/ Strategies for Change: Logical Instrumentalism. Irwin, Holmwood, Il 1, 2020, p.35

14. Rowley J. «Lean and Agile. Logistics and Transport Focus». 3 (6) 2021.

15. Sammer A., Gr. Dunkan. Universal Commerce, <http://wave5.boom.ru/marketing2.html>

16. T. Pisello, IT Value Chain Management -Maximizing the ROI from IT Investments, Alinean, LLC 2023.

ANALYSIS OF CAR DEALERSHIP SALES USING BUSINESS INTELLIGENCE TECHNOLOGY

Maia Chechelashvili

Doctor of Economics,
Associate Professor at Georgian Technical University
maiko_23@mail.ru

Sofiko Shoshiashvili

Doctoral student of Technical University of Georgia

RESUME

The growing volume of sales increases the importance of analysis tools, most of which are built on the principles of knowledge discovery in databases, which raises the problem of choosing optimal schemes for storing and processing OLAP cubes. The article presents the structure of the auto dealer's analytical system. A data warehouse structure and a set of models for the sales analysis process of a dealership auto center have been developed. The methodology of car dealer sales analysis is established.

The article also notes that in modern economic conditions, it is

especially important to monitor trends in decline or growth in the activity of auto centers, to identify promising and unpromising types of components, as well as those products that require certain efforts to manufacture and promote them on the market. Carrying out intelligent data analysis allows you to formulate specific and targeted management decisions in terms of increasing the synergistic effect from product sales, which is especially important in modern economic conditions.

The article describes the methodology for analyzing car dealer sales. A data warehouse structure was developed, statistical data and data sets for analysis were collected, and a set of models and reports was created to analyze dealership sales. The effectiveness of the proposed research is demonstrated.

Keywords: sales, predictive analysis, sales, data mining, data segmentation.

**„ჭკვიანი“ ტურიზმი — ტურიზმის განვითარების
ინოვაციური მიმართულება**

DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-146

ნანა ნადარეიშვილი,
გეოგრაფიის დოქტორი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,
ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის
უფრ. მეცნ. თანამშრომელი
E-mail - n.nadareish3005@gmail.com

ნოდარ ძიძიკაშვილი,
სტრატეგიული ინიციატივების სააგენტოს დირექტორი.
E-mail - noddzidzi@gmail.com

რეზიუმე

განხილულია ჭკვიანი ტურიზმი, როგორც ჭკვიანი სპეციალიზაციის ერთ-ერთი სახეობაა. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობით შემუშავებულია “ჭკვიანი სპეციალიზაციის” პროგრამა, რომელიც წარმოადგენს რეგიონების ინოვაციური პოტენციალის გაძლიერების საფუძველს. ამ კომპონენტის განხორციელებით შესაძლებელი ხდება კონკრეტული რეგიონის ძლიერი მხარეების განსაზღვრა და მათი აქცენტირებული განვითარება. ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, საპილოტე რეგიონად შერჩეულია იმერეთი.

აღნიშნულია ჭკვიანი ტურიზმის როლი იმერეთის ჭკვიანი სპეციალიზაციის კონტექსტში. პირველ რიგში, ეს შეიძლება იყოს ჭკვიანი ტურიზმი, ხელოვნური ინტელექტი ტურიზმში, ჭკვიანი დესტინაცია, სხვადასხვა საკომუნიკაციო და IT ტექნოლოგიების გამოყენება.

განხილულია ჭკვიანი ტურიზმის განვითარებაში ჭკვიანი ქალაქების, ჭკვიანი დესტინაციების, ხელოვნური ინტელექტის და 5G ქსელის მნიშვნელობა.

ჭკვიანი ტურიზმი განსაზღვრავს დარგის განვითარების პერსპექტივებს. თუმცა, ამ რთული ფენომენის შესწავლა, ამჟამად ჩანასახოვან ეტაპზეა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ჭკვიანი დესტინაციების გამოცდილების შედარებითი და ინტეგრირებული შესწავლა გახდება ერთ-ერთი მთავარი მიმართულება მსოფლიოში.

საკვანძო სიტყვები: ჭკვიანი ტურიზმი, ჭკვიანი სპეციალიზაცია, ჭკვიანი დესტინაცია.

შესავალი

ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულების რეალიზაციის, ასევე ევროკავშირის ბაზართან ეკონომიკური ინტეგრაციის და დამატებული ღირებულების გლობალურ ჯაჭვში ჩართვის უზრუნველყოფისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ იდეის განხორციელება საქართველოში. [1].

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის არანევრი ქვეყნები არ ექვემდებარებიან ევროკავშირში არსებული სტრატეგიების თავიანთ ქვეყნებში განხორციელებას, საქართველოს რეგიონებში უკვე იწერება ჭკვიანი სპეციალიზაცია. ის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და პოლიტიკის პრიორიტეტების გათანაბრების გზაა. როგორც ცნობილია, ჭკვიანი სპეციალიზაციის მთავარი მიზანია, რეგიონის განვითარებისთვის შემუშავდეს მისთვის ტრადიციული და სპეციფიკური სტრატეგია. ამასთან, სასურველია ის შეიცავდეს ინოვაციურ მუხტს [2].

სახელმწიფომ, რეგიონების განვითარების მიზნით, მოამზადა საპილოტე რეგიონების (კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) ინტეგრირებული განვითარების პროგრამა, შეიმუშავა დეცენტრალიზაციის სტრატეგია და “ჭკვიანი სპეციალიზაცია“-ეს მიმართულებები პოზიტიურადაა შეფასებული ევროკავშირის 2020 წლის 6 თებერვლის ანგა-

რიში, რომელიც ასოცირების შეთანხმებით საქართველოს მთავრობამ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით მოამზადა.

ზემოთ აღნიშნულ ანგარიში მოხსენიებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობით შემუშავებული “ჭკვიანი სპეციალიზაციის” პროგრამა, რომელიც წარმოადგენს რეგიონების ინოვაციური პოტენციალის გაძლიერების საფუძველს. ამ კომპონენტის განხორციელებით შესაძლებელი ხდება კონკრეტული რეგიონის ძლიერი მხარეების განსაზღვრა და მათი აქცენტირებული განვითარება. ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, ერთ-ერთ საპილოტე რეგიონად შერჩეულია იმერეთი. მიღწეულია შეთანხმება შესაბამისი პარტნიორობისა და ტექნიკურ-ექსპერტული მხარდაჭერის შესახებ, ჩამოყალიბებულია ეროვნული უწყებათაშორისი გუნდი, მომზადებულია ანალიტიკური და პირველადი სამოქმედო დოკუმენტები, შეთანხმებულია განხორციელების ჩარჩო მეთოდოლოგია.

ჭკვიანი სპეციალიზაცია იმერეთის ეკონომიკას სთავაზობს ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მოდერნიზებას, ტურიზმის დაკავშირებას სხვა სექტორებთან შესაბამისი მრავალფეროვნების პერსპექტივით, ტურიზმის ინოვაციებისა და მდგრადობის ხელშეწყობის შესაძლებლობებს.

როგორი შიძლება იყოს ტურიზმის როლი რეგიონის ჭკვიანი სპეციალიზაციის კონტექსტში?

ეს პირველ რიგში შეიძლება იყოს ჭკვიანი ტურიზმი, ხელოვნური ინტელექტი და ტურიზმი, ჭკვიანი დესტინაცია, სხვადასხვა საკომუნიკაციო და IT ტექნოლოგიების გამოყენება. ერთი სიტყვით, „ჭკვიანი“ გახდა ტერმინი, რომელიც განვითარებაზე ორიენტირებული, მხარდაჭერილია ტექნოლოგიებით და უკეთესი გადაწყვეტილებების მისაღებად ეყრდნობა დიდ მონაცემთა ბაზებს, ინფორმაციის გაზიარების ახალ გზებს, დახვეწილ ანალიტიკას, მოდელირებას, ოპტიმიზაციასა და ვიზუალიზაციის გამოყენებას.

ძირითადი ტექსტი

ჭკვიანი ტურიზმი. კოვიდ-პანდემიამ მსოფლიო ტურიზმი საკმაოდ შეაფერხა. 2023 წლიდან ტურიზმის ინდუსტრიამ დაიწყო აღდგენა. ამასთანავე, მისი შემდგომი განვითარება მოითხოვს მთელი ინდუსტრიის ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას. იმისათვის, რომ ტურიზმი შეესაბამებოდეს ახალ მოთხოვნებს და იზრდებოდეს მისი კონკურენტუნარიანობა, აუცილებელია გამოყენებული იყოს ისეთი ტექნოლოგიები, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი, მობილური აპლიკაციები, დიდ მონაცემთა ბაზები (Big Data) და მათი დამუშავება (Data Meaning).

ჭკვიანი ტურიზმი განიხილება, როგორც ადამიანის გამოცდილების დინამიური კავშირი ჭკვიან ტექნოლოგიებთან. მისი მიზანია გააუმჯობესოს ტურისტული რესურსებისა და მომსახურების მართვის ეფექტიანობა, კონკურენტუნარიანობა და მდგრადობა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით.

ჭკვიანი ქალაქები და ტურიზმი. მსოფლიოში ჭკვიანი ქალაქების განვითარების ტენდენცია გავლენას ახდენს მრავალ ინდუსტრიაზე და ერთ-ერთი მათგანია ტურიზმი, რომელიც სულ უფრო და უფრო უახლოვდება ჭკვიანი დანიშნულების ადგილის მოდელს. ჭკვიანი ტურიზმის განვითარება ჭკვიანი ქალაქების ზრდასთან ერთად მიმდინარეობს. ასეთი ქალაქები მიზნად ისახავენ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ამიტომ, ჭკვიანი ტურიზმიც მიყვება ამ ინიციატივებს, სთავაზობს უფრო მრავალფეროვან და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს.

მრავალ ქვეყანაში, სადაც ტურიზმი სტრატეგიული ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელობისაა, ქალაქებში მოგზაურობის ახალი მიდგომები ჩნდება. ჭკვიან ქალაქში არის რამდენიმე ძირითადი პუნქტი ჭკვიანი ტურიზმის კონსოლიდაციისთვის. თანამედროვე ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მათ მდგრად განვითარებას და ხელს უწყობს საყოველთაო ხელმისაწვდომობას; ესენია: უფასო Wi-Fi ღია ცის ქვეშ და საზოგადოებრივ ადგილებში, ელექტრომობილურობა (ელექტრო ველოსიპედები, მოპედები, ელექტრო სკუტერები, მინი ელექტრო

მობილური), რეალურ დროში ინფორმაციის მიწოდება ავტომობილების მოძრაობის ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსივობაზე, კულტურულ და ინტერაქტიულ ღონისძიებებზე.

დღეს, მსოფლიოში სულ უფრო მატულობს ჭკვიანი ტურისტული მიმართულებები. ფაქტობრივად, გაჩნდა ევროპაში ჭკვიანი ტურიზმის ქალაქები. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას ჭკვიანი ტურიზმის ინსტრუმენტების, ღონისძიებებისა და პროექტების ოთხ კატეგორიაში: მდგრადობა, დიგიტალიზაცია და კულტურული მემკვიდრეობა, ხელმისაწვდომობა და კრეატიულობა.

ჭკვიანი ტურიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჭკვიანი ქალაქების განვითარებაში. მაგრამ, პოზიტიურთან ერთად მას შეიძლება თან ახლდეს გარკვეული პრობლემებიც; მაგალითად, ტურისტული მიზიდულობის მისმა ინიციატივებმა შეიძლება გამოიწვიოს ხალხისა და სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის ზრდა. ეს იწვევს ქუჩებში მოძრაობის შეფერხებას, გადატვირთულობას ან პარკინგის პოვნის სირთულეს. ამიტომ, ტურიზმისა და ქალაქის ხელმძღვანელობამ ერთობლივად უნდა გადაჭრან აღნიშნული პრობლემები.

ევროპის ჭკვიანი ტურიზმის ქალაქები არის ევროკავშირის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ევროკავშირში ქალაქების დაჯილდოებას ჭკვიანი ტურიზმის განხორციელების პიონერული მიდგომებისათვის.

2019 წელს ლონდონი, ნიუ-იორკი, ამსტერდამი, პარიზი და რეიკიავიკი მოხვდნენ მსოფლიოს ჭკვიან ქალაქთა ხუთეულში [3, გვ. 26]. 2018 წელს სინგაპური დასახელდა № 1 ჭკვიან ქალაქად მსოფლიოში. ხოლო, 2023 წელს ევროპის ჭკვიანი ტურიზმის დედაქალაქებად არჩეულ იქნა ორი ქალაქი - **პაფოსი** (კვიპროსი) და **სევილია** (ესპანეთი) [4].

ევროპის ჭკვიანი ტურიზმის აღნიშნული ქალაქები გარდამავალი პრიზის სახით მიიღებენ სპეციალურად შექმნილ სკულპტურას, რომელიც გამოიფინება თვალსაჩინოდ მთელი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, გამარჯვებული ქალაქები მიიღებენ სარეკლამო მხარდაჭერას და გახდებიან ევროპაში ჭკვიანი

ტურისტული ქალაქების მზარდი ქსელის ნაწილი. ქსელი ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებას და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას, სემინარების ჩატარებას და გამოცდილების შესახებ სახელმძღვანელოს გამოქვეყნებას.

ჭკვიანი დესტინაცია. ტურისტული ინდუსტრიისთვის დესტინაცია არის რთული კომერციული პროდუქტი, რომლის ღირებულება, ისევე როგორც მომსახურების ბაზარზე შემოთავაზებული ნებისმიერი სხვა პროდუქტი, შეიძლება გაიზარდოს მისი ინოვაციური ცვლილებების გამო. ინოვაცია ტურიზმში - ეს არის ბაზრის ახალი შეთავაზება; ამავდროულად, სიახლე მოთხოვნადია, რადგან ის ქმნის ახალ ღირებულებას მომხმარებლებისთვის, აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებებს ხარისხობრივად, ახლებურად, განსხვავებული გზით და მომხმარებელთა მეტი ჩართულობით ტურისტულ ეკონომიკაში.

მსოფლიო ტურისტული ბაზრის ლიდერი ქალაქები, რომლებიც ადგენენ მდგრადი ტურიზმის მიზნებს, უპირველეს ყოვლისა, მიმართავენ „ჭკვიანი ქალაქის“ სტრატეგიებსა და პროექტებს, რათა მკვლევარებს ჰქონდეთ საფუძველი იფიქრონ, რომ „ჭკვიანი დესტინაციები“ იქმნება ჭკვიანი ქალაქების საფუძველზე.

ბიზნესისთვის, ჭკვიანი დესტინაციები ქმნიან დიდ შესაძლებლობებს შეთავაზებული პროდუქტებისა და სერვისების გასაუმჯობესებლად, ახალი ბიზნეს-მოდელების გასავითარებლად, ტრადიციული ბაზრების გასაფართოებლად. ჭკვიანი დესტინაციები ქმნიან ღირებულების ახალ ჯაჭვებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რევოლუციური დაახლოების გზით, დიზაინერების, არქიტექტორების, ურბანული სივრცეების დამგეგმავებისა და ტრადიციული ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლების ძალისხმევით.

ტურისტული დესტინაციის ინოვაციური განვითარების ბიძგი შეიძლება მოდიოდეს, როგორც ახალი ტექნოლოგიების მომწოდებელი ინიციატივები მენარმეებისგან, ასევე პოტენციური მომხმარებლების მხრიდან ახალ სერვისებზე მოთხოვნის გააქტიურებით.

ჭკვიანი დესტინაციის მაგალითია ქ. თბილისში ციფრული მუზეუმი, რომელიც ახალგაზრდების მიზიდულობის ცენტრია.

ხელოვნური ინტელექტი (AI) და ტურიზმი. ხელოვნურ ინტელექტს აქვს მრავალი გამოყენება ტურიზმის სექტორში, როგორც სამომხმარებლო, ასევე ბიზნესის თვალსაზრისით. პირველ შემთხვევაში, ის ეხმარება მომხმარებლებს იპოვონ ყველაზე რელევანტური ინფორმაცია უფრო სწრაფად, აძლევს მათ უფრო მეტ მობილურობას, აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და უზრუნველყოფს მათ უკეთეს მოგზაურობას.

AI მენარმეებს ეხმარება ბიზნეს რესურსების მართვის ეფექტიანი მოდელებით, განსაკუთრებით პოპულარიზაციისა და მწარმოებლურობის სფეროებში. ყველაზე გავრცელებული მაგალითებია:

● **სარეკომენდაციო სისტემები და პერსონალიზების მეთოდები:** AI მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომს ხდის იმ ალტერნატივებს, რომლებიც მათ საუკეთესოდ შეეფერებათ, თითოეული შემთხვევისთვის პერსონალიზებული წინადადებებით და უსასრულო რაოდენობის ვარიანტებით. კომპანიებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საშუალებით, მათ შეუძლიათ შექმნან ზუსტი პროფილები და მოარგონ თავიანთი გამოცდილება თითოეულ შემთხვევაზე;

● **სასაუბრო სისტემები,** როგორიცაა ჩატ-ბოტები და ხმოვანი ასისტენტები: ეს სისტემები იყენებენ ისეთ ტექნოლოგიებს, როგორიცაა მეტყველების ამოცნობა. ეს ძალიან მოსახერხებელია, რადგან მომხმარებლებს შეუძლიათ მათზე წვდომა ნებისმიერ დროს. გარდა ამისა, ჩატ-ბოტების გამოყენების წყალობით, კომპანიის თანამშრომლებს აღარ სჭირდებათ დროის დაკარგვა ასეთ ამოცანებზე და შეუძლიათ დაუთმონ სხვა, უფრო მნიშვნელოვან საქმეებს;

● **პროგნოზირების ინსტრუმენტები:** ისტორიული და კონტექსტური მონაცემების გამოყენებით, უკეთესი გადაწყვეტილებების მისაღებად შესაძლებელია მომავლის პროგნოზირება და შეფასება. ტურიზმის სექტორში ისინი გამოიყენება მომხმარებლის მოთხოვნის გასაგებად ყველა პერიოდში და ადგილას,

მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებისთვის, ფინანსური მენეჯმენტისთვის და ადამიანური რესურსების განაწილებისთვის;

● **მთარგმნელობითი აპლიკაციები:** ტურიზმის ერთ-ერთი საფუძველია კონტაქტი სხვადასხვა კულტურასთან და ენასთან. ეს ტურისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბარიერია დანიშნულების ადგილის არჩევაში. მანქანური თარგმანი უადვილებს მომხმარებლებს ნავიგაციას თითოეულ დესტინაციაზე, რაც მათ საშუალებას აძლევს მიიღონ მონაწილეობა ყველა აქტივობაში.

ჭკვიანი ტურიზმი და 5G ქსელი. 5G ქსელების განვითარებით, იქმნება ახალი აპლიკაციები, რომლებიც დაფუძნებულია მონაცემობებს შორის უფრო სწრაფ კომუნიკაციაზე. ტურიზმის თვალსაზრისით, ჩვენ ვგულისხმობთ გადანაცვლებებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ტურისტულმა კომპანიებმა ან ქალაქებმა ვიზიტორების მოსაზიდად.

აქ ცვლილებები ფოკუსირებული იქნება სერვისების უფრო დიდ პერსონალიზებაზე, ინფორმაციისა და შინაარსის უკეთეს ხელმისაწვდომობაზე, ხარისხიან გართობასა და გამარტივებულ ოპერაციებზე. 5G ქსელი ასევე ხელს უწყობს ჭკვიანი ფუნქციების მიღებას, მობილური ტელეფონებიდან განათებისა და გათბობის რეგულირების კონტროლისათვის.

არსებითად, ეს ტექნოლოგია იქნება ფუნდამენტური ფაქტორი აეროპორტებში მგზავრთა ნაკადების ციფრული მართვისთვის ან თვითმფრინავების მოვლისთვის. ბაზარზე შემოვა ტექნოლოგიები ხელოვნური ინტელექტის ნამყვანი როლით, როგორცაა მაგალითად ჭკვიანი კამერები პიროვნების ამოსაცნობად და სხვა.

დასკვნა

ჭკვიანი ტურიზმი განიხილება, როგორც ადამიანის გამოცდილების დინამიური კავშირი ჭკვიან ტექნოლოგიებთან. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ჭკვიანი ქალაქების განვითარებასთან და ისეთ ტექნოლოგიებთან, როგორცაა IT პროგრამები,

ხელოვნური ინტელექტი, დიდი მონაცემების ბაზები და 5G მობილური კავშირი.

ჭკვიანი ტურიზმის მიზანია გააუმჯობესოს ტურისტული რესურსების მართვის ეფექტიანობა, კონკურენტუნარიანობა და მდგრადობა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით.

ჭკვიანი ტურიზმი განსაზღვრავს დარგის განვითარების პერსპექტივებს. თუმცა, ამ რთული ფენომენის შესწავლა, ამჟამად ჩანასახოვან ეტაპზეა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ჭკვიანი დესტინაციების გამოცდილების შედარებითი და ინტეგრირებული შესწავლა უდავოდ გახდება ამ კვლევების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მსოფლიოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნადარეიშვილი ნ., ძიძიკაშვილი ნ., “ჭკვიანი სპეციალიზაციის” მნიშვნელობა საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის. სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკ. V საერთ. კონფ. გლობალიზაცია და ბიზნესის გამონვევები. შრომათა კრებული. I ნაწილი. თბილისი, 2021. გვ. 134-137.

2. ძიძიკაშვილი ნ., ხუხუა ნ., მაისურაძე თ., ბურჭულაძე რ., “ჭკვიანი სპეციალობების სტრატეგიის პოპულარიზაცია და მათი განვითარების ხელშეწყობა იმერეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში” — ევროპული ინოვაციური და ეკონომიკური მოდელების ფორმირების პრობლემები და გადაჭრის გზები საქართველოში. თბილისი, ნოემბერი, 2020წ.

გვ.64-84. <https://eap-csf.ge/wp-content/uploads/2021/03/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98-converted-1.pdf>

3. IESE Cities in Motion Index 2019, DOI: <https://dx.doi.org/10.26434/chemrxiv-2019-08>

org/10.15581/018.ST-509 - [ელექტრონული რესურსი] URL: <http://media.iese.edu/research/pdfs/ST-0509-E.pdf>

4. Pafos and Seville selected as 2023 European Capitals of Smart Tourism. https://smart-tourism-capital.ec.europa.eu/news/european-capital-smart-tourism-2023-winners-announced-2022-11-09_en

REFERENCES:

1. Nadareishvili N., Dzidzikashvili N. The importance of “smart specialization” for innovative development of Georgia. Faculty of Business Technologies St. V-joint. Conf. Globalization and business problems. Collection of works. Tbilisi, 2021. p. 134-137.

2. Dzidzikashvili N., Khukhua N., Maisuradze T., Burchuladze R., “Promoting the strategy of smart specialties and promoting their development in the regions of Imereti and Mtskheta-Mtsheta” - problems of forming European innovation-economic models and ways to solve them in Georgia. Tbilisi, November 2020, pp. 64-84. <https://eap-csf.ge/wp-content/uploads/2021/03/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98-converted-1.pdf>

3. IESE Cities in Motion Index 2019, DOI: <https://dx.doi.org/10.15581/018.ST-509> - [Electronic resource] URL: <http://media.iese.edu/research/pdfs/ST-0509-E.pdf>

4. Pafos and Seville selected as 2023 European Capitals of Smart Tourism. https://smart-tourism-capital.ec.europa.eu/news/european-capital-smart-tourism-2023-winners-announced-2022-11-09_en

“SMART” TOURISM AS AN INNOVATIVE DIRECTION OF TOURISM DEVELOPMENT

Nana Nadareishvili,

Doctor of Geography, Associate Professor of GTU,
Senior Researcher Fellow at Vakhushti Institute of Geography,
E-mail - n.nadareish3005@gmail.com

Nodar Dzidzikashvili,

Director of the Agency for Strategic Initiatives.
E-mail - noddzidzi@gmail.com

RESUME

The article discusses smart tourism as one of the areas of smart specialization. Under the leadership of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia, the “Smart Specialization” program has been developed, which is the basis for strengthening the innovative potential of the regions. When implementing this component, it becomes possible to identify the strengths of a particular region and their targeted development. As a result of active cooperation with the relevant structures of the European Union, Imereti was chosen as a pilot region.

The article mentions the role of smart tourism in the context of smart specialization of Imereti, first of all, it can be smart tourism, artificial intelligence in tourism, smart destination, the use of various communication and IT technologies.

The article discusses the importance of smart cities, smart destinations, artificial intelligence, and the 5G network in the development of smart tourism.

“Smart” tourism determines the prospects for the development of the industry. However, the study of this complex phenomenon is currently in its infancy. It should be noted that a comparative and comprehensive study of the experience of smart tourism will undoubtedly become one of the main directions of this research in the world.

Keywords: Smart Tourism, Smart Specialization, Smart Destination.



**ბიზნესი, მენეჯმენტი,
მარკეტინგი**



**ბიზნესის უსაფრთხოების სისტემური
მართვის საფუძვლები**

DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-157

რამაზ ოტინაშვილი
სტუ-ს პროფესორი,
r.otinashvili@gtu.ge

ალექსანდრე ელისაბედაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი,
a.elisabedashvili@gtu.ge

ვარაზ ბედინაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი,
v.bedinashvili@gtu.ge

რეზიუმე

უსაფრთხოება კომპლექსური მაჩვენებელია, რომელიც მოიცავს კომპანიის სხვადასხვა სფეროს - მენეჯმენტს, მარკეტინგს, პერსონალის მართვას, ფინანსურ ასპექტებს და ა.შ. რაც უფრო მდგრადია ბიზნესი მით უფრო ეფექტურია მისი ბიზნეს-პროცესები და ნაკლებადაა დამოკიდებული საბაზრო ვითარების მოულოდნელ ცვლილებებზე. უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განსაკუთრებული ადამიანური ფაქტორის როლი. პერსონალთან მუშაობა და მათი მხრიდან მავნე მცდელობის პრევენცია კომპანიის უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. უსაფრთხოების სტრატეგიის კონტექსტში, გამოწვევების ბუნების მიხედვით, საჭიროა დაინერგოს პრევენციის შესაბამისი სისტემა. მნიშვნელოვანია მისი მუდმივი მონიტორინგი და უწყვეტი განვითარება. ბიზნესის უსაფრთხოების სისტე-

მის მიზანია გამოწვევების სწორი მართვა - კრიზისული სიტუაციების პროგნოზირება, შეფასება, გამოვლენა, გადანყვეტა და შესაძლო გამეორების საწინააღმდეგოთ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა. ბიზნესის უსაფრთხოების სისტემის ეფექტური მენეჯმენტი ქნის პირობებს კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიებისა და საქონლის/მომსახურების შესაქმნელად, რაც განაპირობებს ობიექტის წარმატებულ ფუნქციონირებას.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, მენეჯმენტი, უსაფრთხოება, სისტემა, სტრატეგია.

შესავალი

ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფა არის სისტემური პროცესი, რომლის მიზანია გამოწვევების სწორი მართვა - კრიზისული სიტუაციების პროგნოზირება, შეფასება, გამოვლენა, გადანყვეტა და შესაძლო გამეორების საწინააღმდეგოთ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.

უსაფრთხოება არის კომპლექსური მაჩვენებელი და მოიცავს კომპანიის სხვადასხვა სფეროს - მენეჯმენტს, მარკეტინგს, პერსონალის მართვას, ფინანსურ ასპექტებს და ა.შ. რაც უფრო მდგრადია ბიზნესი მით უფრო ეფექტურია მისი ბიზნეს-პროცესები და ნაკლებადაა დამოკიდებული საბაზრო ვითარების მოულოდნელ ცვლილებებზე - მაკროეკონომიკურ დისპროპორციებზე, სავალუტო რყევებზე, ინფლაციურ პროცესებზე. ასევე უკეთ ხვდება კონკურენტებიდან მომდინარე გამოწვევებს.

ძირითადი ტექსტი

სტაბილური მაჩვენებლების მქონე ბიზნეს-ობიექტს გააჩნია უპირატესობა კონკურენტებთან შედარებით - ინვესტიციების მოზიდვაში, მომწოდებლების არჩევანსა და პროფესიონალი კადრების შერჩევაში. ყველას სურს დასაქმდეს პრესტიჟულ, მაღალანაზღაურებად კომპანიაში.

მაგალითად, ეპლში (Apple), რომელიც ლიდერია მსოფლიოში ყველაზე ინოვაციური კომპანიების სიაში. ასევე ტრადიციუ-

ლად აქვს ძლიერი პოზიციები განათლების, გამომცემლობის, მუსიკისა და დიზაინის ინდუსტრიებში. დასაქმებული პერსონალის პირობები აქ საუკეთესოა. იმდენად მაღალია ანაზღაურებაა, რომ ოფიციალურად ყველაზე მეტი მილიონერი ამ კომპანიაშია დასაქმებული. 1985 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა მისი დამფუძნებლები ვოზნიაკი და ჯოზსი მედლებით დააჯილდოვა ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

ეკლის წარმატების ერთ-ერთი მიზეზი სისტემურ მართვაშია, რომლის მიზანია კომპანიის დაცვა სხვადასხვა შიდა თუ გარე გამონვევებისაგან და არაპროგნოზირებადი გარემოებებისგან.

პოტენციური საფრთხეების დროულად გამოვლენისთვის საჭიროა კონკურენტების და პარტნიორების ქმედებების მონიტორინგი, კონფიდენციალურ მონაცემებთან მომუშავე პერსონალისთვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება, სიახლეებზე მუდმივად თვალყურის დევნება და ა.შ.

ხშირად მენეჯმენტი გამონვევებთან გამკლავებას გარკვეული ზიანის მიღების შემდეგ იწყებს. პრევენცია ბევრად ეფექტურია, ვიდრე პოსტფაქტუმ მათი შედეგების აღმოფხვრა.

უმჯობესია ავაგოთ ბიზნესის უსაფრთხოების სისტემა კომერციული ობიექტის შექმნისთანავე და მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ყველა ნიუანსი. მაგალითად, რაიმე ცვლილება ბიზნეს ტექნოლოგიებში ავტომატურად უნდა აისახოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემაში.

დაცვის უზრუნველყოფის ობიექტებია:

- ბიზნეს პროცესები;
- მენეჯმენტი და პერსონალი;
- აქტივები, ფინანსური და მატერიალური ფასეულობები;
- ტექნოლოგიები და საინფორმაციო რესურსები;
- კომპანიის იმიჯი და რეპუტაცია და ა.შ.
- დაცვის სისტემის ძირითადი კომპონენტებია:
 - ინფორმაციული უსაფრთხოება - მთავარი კომპონენტია;
 - - ბიზნეს-პროცესების მართვის უსაფრთხოება გულისხმობს საინვესტიციო თუ სხვა მნიშვნელოვანი პროექტის

დანყებამდე გამოწვევების შეფასებას, რაც დამატებით ხარჯებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;

- სამართლებრივი უსაფრთხოება გულისხმობს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის პრევენციას. კერძოდ, მონაცემების ფალსიფიკაციას, საბუთების გაყალბებებს, თაღლითობებს და ა.შ.

- ეკონომიკური უსაფრთხოების ამოცანაა თავიდან ავიცილოთ აქტივების გაფლანგვა, მათი დეფიციტი, გადასახადების გადაუხდელობა, მარკეტინგული ღონისძიებები და ა.შ.

- უსაფრთხოების კომპონენტების საჭირო დონეზე შენარჩუნება მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული პერსონალის პროფესიონალიზმზე, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი წესიერება და საიმედოობა.

- პერსონალის უსაფრთხოება კომპანიის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ასპექტია. იგი მოიცავს ღონისძიებებს ობიექტის ტერიტორიის დასაცავად მესამე მხარის შეღწევისგან, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას, როგორც კომპანიას ისე თანამშრომლებს. პერსონალის უსაფრთხოება ასევე გულისხმობს ადამიანური ფაქტორიდან გამომწვეული შესაძლო საფრთხეებისგან კომპანიის დაცვაში.

კიბერუსაფრთხოება დღეს საკმაოდ აქტუალური პრობლემაა. ბუნებრივია რაც უფრო მაღალია ობიექტის სტატუსი, მით უფრო საპასუხისმგებლოა მსგავსი ღონისძიებები. ამისათვის აქტიურად გამოიყენება ვიდეო სამეთვალყურეო კამერები, ციფრული მონაცემების დაცვის თანამედროვე პროგრამები. ფიზიკურის დროს - გამშვები პუნქტები, საშვთა სისტემა და ა.შ.

- ადამიანური რესურსების უსაფრთხოება გულისხმობს დაცვას პერსონალის „გაჭონვისგან“. თუ ბიზნეს-ობიექტს უკავია კარგი პოზიციები ბაზარზე, კონკურენტები შეეცდებიან „ღირებულნი“ თანამშრომლის გადაბირებას. პერსონალის უსაფრთხოების მიზანია დაცული ვიყოთ ასეთი სიურპრიზებისაგან. მნიშვნელოვანია პერსონალის მომზადება უსაფრთხო კომუნიკაციისთვის გარე სტრუქტურების წარმომადგენელთან. მაგალითად, ტრენინგებზე, კონფერენციებზე, შეხვედრებზე, ინტე-

რვიუების დროს და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომავალ კონტაქტებს კონკურენტებთან;

● ბიზნეს იმიჯის და რეპუტაციის დაცვა. თანამედროვე ბიზნეს-ურთიერთობები მიმდინარეობს უსწრაფესი საინფორმაციო ტექნოლოგიების ფონზე. არასასურველ, ღირსებაშემლახველ ინფორმაციას, იქნება ეს სოციალურ ქსელში არასასურველი პოსტი თუ სატელევიზიო გადაცემა შეუძლია მკვეთრად შელახოს კომპანიის იმიჯი. ასევე კომერციული მონაცემების გაჟონვა, არასწორი სამიზნე აუდიტორიის შერჩევა - ზიანს აყენებს რეპუტაციას.

ბიზნესის უსაფრთხოების სისტემის ეფექტურმა მენეჯმენტმა უნდა შექმნას პირობები კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიებისა და საქონლის/მომსახურების შესაქმნელად, რაც უზრუნველყოფს ობიექტის წარმატებულ ფუნქციონირებას.

საჭიროა მოვერიდოთ შემთხვევით და არაკეთილსინდისიერ პარტნიორებს, რომ ბიზნეს-პროცესები არანაირად არ იყოს მათზე დამოკიდებული. აუცილებელია საინფორმაციო პროცესების მუდმივი ანალიზი და დასაცავი მონაცემების მონიტორინგი. საჭიროა შედგეს ჩამონათვალი პირებისა, რომლებსაც აქვთ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან წვდომა. უნდა ვიცოდეთ რა სახის ზარალი შეიძლება მოჰყვეს ღირებული ინფორმაციის გაჟონვას.

უსაფრთხოების სტრატეგიის კონტექსტში, გამონვევების ბუნების მიხედვით, საჭიროა დაინერგოს პრევენციის შესაბამისი სისტემა, სადაც ეტაპობრივად გაიწერება:

1. უსაფრთხოების კუთხით კომპანიაში არსებული მდგომარეობა: რეალური და პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირება, მათი საშიშროების ხარისხის, შესაძლო გააქტიურების ვადებისა და სავარაუდო ზიანის მითითებით. პირობების იდენტიფიცირება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები. შესაძლო საფრთხეების პროგნოზირება, არსებული პრობლემების შეფასება და ა.შ.

2. მიზნები ბიზნესის დაცვის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც საჭირო იქნება: უსაფრთხოების შესაბამისი პოლიტიკის შე-

მუშავება. ჩამონათვალის შედგენა შესაბამისი სტრატეგიის და მისი რეალიზების მეთოდების შერჩევით.

3. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მართვის სტრუქტურის ფორმირება;

4. კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შერჩევა, რომლის მიხედვითაც შეფასებული იქნება დაცვის დონე და შეირჩევა აღმოფხვრის მეთოდები;

5. შესაბამისი ღონისძიებების მომზადება, რესურსების მოძიება და თანხების გამოყოფა;

აღნიშნული ეტაპები დაცულია არსებული ტექნიკურ-ორგანიზაციული და სამართლებრივი ნორმებით. ბიზნესის უსაფრთხოების სტრატეგია უნდა იყოს ადეკვატური და რაციონალური. ასევე საჭიროა შექმნილი დაცვის სისტემის მუდმივი მონიტორინგი და მისი უწყვეტი განვითარება.

ბიზნესის უსაფრთხოების მენეჯმენტში ითვალისწინებენ შემდეგ წესებს:

- გამოყენებული მეთოდები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებულ კანონმდებლობას.

- რესურსების კომპლექსური გამოყენება, ნიშნავს ყველა თანამშრომლის, კომპანიაში არსებული ყველა საშუალების ჩართვას.

- ეფექტური კოორდინაცია კომპანიის დანაყოფებს შორის.

- საჯაროობისა და საიდუმლოების ოპტიმალური შეხამება. კომერციული საიდუმლოებას ესაჭიროება დაცვა და პირიქით სარეკლამო და მარკეტინგულ ინფორმაციას - გაპიარება.

- პროფესიონალიზმი. ბიზნესის დაცვაში კვალიფიცირებული სპეციალისტების ჩართვა;

- ეკონომიკური მიზანშეწონილობა. უსაფრთხოების სისტემის ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს კომპანიის მოგებას.

- განვითარების ძირითადი მაჩვენებლების გეგმები შესაბამისობაში მოდიოდეს კომპანიის მიზანთან და ამოცანებთან.

ინფორმაციული რისკები სულ უფრო აქტუალურია. მაგალითად, თანამშრომელმა დატოვა კომპანია, მაგრამ გათავისუფლებამდე სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში საიდუმლო ინფორმაციასთან ჰქონდა წვდომა. თუ პირი წავიდა

სამსახურიდან უკმაყოფილო, მაღალია ალბათობა, რომ მან ჩაიდინოს ინფორმაციული დივერსია. მოხდეს მის ხელთ არსებული კომერციული მონაცემების გასაჯაროება ან კონკურენტებისთვის მიწოდება.

ასევე შესაძლებელია რისკი მომდინარეობდეს ე.წ. „მესამე პირისგან“, რომელსაც შეიძლება არ ჰქონდეს საერთო კომპანიასთან მაგრამ შეეცადის დაცული ინფორმაციის მოპოვებას. ეს შეიძლება იყოს ჰაკერი სარგებლის მოლოდინში, ან „ჭკვიანი“ მოზარდი, რომელიც აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს IT სფეროში.

თუ საინფორმაციო სისტემებში ხარვეზებია კონფიდენციალური მონაცემების გაჟონვის ალბათობა მატულობს. მაგალითად, არასაკმარისად სანდო პროგრამული და აპარატული ბაზები, სუსტი კოდები, დაგვიანებული განახლებები და ა.შ.

ინფორმაციის გაჟონვის ძირითადი მეთოდებია:

- ფიშინგი. წერილების გაგზავნას იმ ადამიანების ფოსტიდან, რომლებსაც მიმღები ენდობა. ეს შეიძლება იყოს უშუალო მენეჯერი. შედეგად, ჰაკერები უბიძგებენ ადამიანს ჩამოტვირთოს დავირუსებული დანართი, გახსნას მანვე ბმული და ა.შ. ანუ ადრესატი „ყლაპავს“ სატყუარას ფიქტიური გზავნილის სახით და ერთგვარად თავად ეხმარება თავდამსხმელს.

- კომპანიის ანგარიშებზე წვდომა. თანამშრომელი, რომელიც ფიშინგის მსხვერპლია, ხშირად ხსნის საბანკო ანგარიშს თავდამსხმელისთვის. საკმარისია ჰაკერმა მას გაუგზავნოს წერილი, ერთი შეხედვით კორპორატიული ფოსტიდან, რომელიც შეიცავს ბმულს. მასზე დაწკაპუნებით, მიმღები აღმოჩნდება ავტორიზაციის გვერდზე, სადაც საჭიროა მომხმარებლის ID-ის და პაროლის შეყვანა, აღნიშნული კი მყისიერად ხელმისაწვდომი ხდება ჰაკერისთვის.

- სუსტი პაროლები, მათი განმეორებითი გამოყენება. პაროლის მონაცემთა ბაზები შეიძლება გაერთიანდეს, მაგალითად, ფორუმების ან ძველი გატეხილი ფოსტის მეშვეობით და ა.შ. შემდეგ კი რწმუნებათა სიგელების აღება და საჭირო ანგარიშში შესვლა ჰაკერისთვის მარტივდება.

ბიზნეს ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველაზე გავრცელებული ღონისძიებებია: ქსელის სტრუქტურის ოპტიმიზაცია, ვირუსის პროგრამული უზრუნველყოფის კონტროლი, აპლიკაციების მართვა, განახლებები, გარე სერვისების და მობილური ტელეფონების გამოყენების მონიტორინგი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფულადი გზავნილების დაცულობას და ა.შ.

კონტრაქტორი კომპანიის საქმიანობის კონტროლის კონტექსტში მომავალი პარტნიორის შემოწმების ვალდებულება არ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო დონეზე. თუმცა, ამ საკითხში სიფხიზლე არაა ზედმეტი. საეჭვო გარიგებებით შეიძლება შეექმნათ პრობლემები შეუსრულებელი ვალდებულებების გამო, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ინვესტიციების უნდობლობა.

რა მოწმდება კონტრაგენტთან საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე:

- იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის ნომერი, ზუსტი დასახელება. რა სახის ინფორმაციაა მის შესახებ ერთიან სახელმწიფო რეესტრში. მეპატრონის სახელი, გვარი რამდენად სტაბილურია კომპანიის პოზიცია ბაზარზე. არის თუ არა რეალურად რეგისტრირებული მითითებულ მისამართზე. აწარმოებს თუ არა ბუღალტრულ აღრიცხვას, წარადგენს ანგარიშებს და ა.შ.

ბიზნესის სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ღონისძიებების ერთობლიობაა იურიდიული საკითხების გადასაჭრელად, კონსულტაციისა და მსგავსი დახმარების დროული მიწოდებისთვის. რა უნდა გაკეთდეს ბიზნესის სამართლებრივი უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის:

- ყველა დოკუმენტაციის პროფესიონალურად შედგენა და ექსპერტიზის ჩატარება;

- კომპანიის წარმომადგენელი ადვოკატის მიერ სასამართლოში წარდგენა;

- ტრანზაქციის სრული მართვა ყველა წარმოშობილი სამართლებრივი საკითხის კომპეტენტური გადანყვეტა;

- მომავალი ტრანზაქციების, საინვესტიციო ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროექტის ექსპერტიზის შეფასება;

- გარკვეული სამთავრობო უწყებების მოთხოვნების დროული გადანყვეტა;

- აუდიტისთვის მზადყოფნა;

- ბიზნეს-ობიექტის ინტერესების დაცვა სხვადასხვა უწყებებში;

- საჩივრების და სარჩელების კომპეტენტური მომზადება მარეგულირებელი ან სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგ, თუ მათი ქმედებები სცილდება მოქმედ კანონმდებლობას;

ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განსაკუთრებულია ადამიანური ფაქტორის როლი. შედეგად, პერსონალთან მუშაობა და მათი მხრიდან მავნე მცდელობის პრევენცია კომპანიის უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია.

დასკვნა

მასასადამე, უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს ცვალებად საბაზრო გარემოში კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან **სისტემურ მიდგომას**. არ არსებობს უსაფრთხოების პრობლემის უნივერსალური გადაჭრა, ის კონკრეტული ბიზნესისთვის სპეციფიკურია ისევე, როგორც თავად ბიზნეს-ობიექტების საქმიანობაა განსხვავებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელისაბედაშვილი ა., ბედინაშვილი ვ., ოთინაშვილი რ., უსაფრთხო ბიზნეს გარემოს ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტები, სტუ, „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, 2023, გვ.271-275;

2. ოთინაშვილი რ., ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები, თბილისი: სტუ, 2005.-440გვ.;

3. Apple, “About Apple Corporation,” 2022. [Online]. Available:

Error! Hyperlink reference not valid.

4. Bedinashvili V., Contemporary Business Challenges in a Globalized World (Volume 4) // Collective Monograph. Saarbrücken, Saarland, Germany; May 2023.

5. Handbook of e-business security / editors, *Joao Manuel, R.S. Tavares* [and three others], Description: Boca Raton, FL : CRC Press, 2018.

6. <https://simplisafe.com/blog/business-security-system-basics>

7. <https://www.businessnewsdaily.com/3329-best-business-alarm-system.html>

8. <https://www.scimagojr.com/journalsearch.php?q=4100151524&tip=sid&clean=0>

REFERENCES:

1. Elisabedashvili A., Bedinashvili V., Otinashvili R., Important aspects of the formation of a safe business environment, *Stu*, "Globalization and modern business challenges", Proceedings of the VII International Scientific Conference, 2023, pp. 271-275;

2. Otinashvili R., Economic security, anti-criminal aspects of analysis, *Tb.*: *Stu*, 2005.-440 p.;

3. Apple, "About Apple Corporation," 2022. [Online]. Available: Error! Hyperlink reference not valid.

4. Bedinashvili V., Contemporary Business Challenges in a Globalized World (Volume 4) // Collective Monograph. Saarbrücken, Saarland, Germany; May 2023.

5. Handbook of e-business security / editors, *Joao Manuel, R.S. Tavares* [and three others], Description: Boca Raton, FL : CRC Press, 2018.

6. <https://simplisafe.com/blog/business-security-system-basics>

7. <https://www.businessnewsdaily.com/3329-best-business-alarm-system.html>

8. <https://www.scimagojr.com/journalsearch.php?q=4100151524&tip=sid&clean=0>

FUNDAMENTALS OF SYSTEMATIC MANAGEMENT OF BUSINESS SECURITY

Ramaz Otinashvili,

GTU Professor, r.otinashvili@gtu.ge

Aleksandre Elisabedashvili,

Doctoral of GTU a. elisabedashvili@gtu.ge

Varaz Bedinashvili,

Doctoral of GTU, v.bedinashvili@gtu.ge

RESUME

Safety is a complex indicator that includes various areas of the company - management, marketing, personnel management, financial aspects, etc. The more sustainable the business is, the more efficient its business processes are and the less dependent it is on unexpected changes in the market situation. The human factor plays a special role in ensuring business security. As a result, working with staff and preventing malicious attempts on their part is an important part of the company's security system. In the context of a security strategy, depending on the nature of the challenges, an appropriate system of prevention needs to be introduced. It is important to constantly monitor its continuous development. The purpose of the business security system is the correct management of challenges - forecasting, assessment, detection, resolution of crisis situations and planning of preventive measures against possible recurrence. Effective management of the business security system should create conditions for the creation of competitive technologies and goods/services that ensure the successful operation of the facility.

Keywords: business, management, security, system, strategy.

უნივერსალური კონცეფციისა და პროექტის მენეჯმენტის შექმნა ქართულ კომპანიებში

DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-168

ანა გეგეაშიძე
სტუ დოქტორანტი
gegeana@gmail.com

რეზიუმე

უნივერსალური კონცეფციის შემუშავება არის შემოქმედებითი პროცესი. მათი ეფექტური წარმოება დაკავშირებულია სანარმოს განვითარებასთან. ცნობილი ნამყვანი ქართული კომპანიები, როგორც მსხვილი, ისე საშუალო წარმოების განვითარების კონცეფციების შესწავლა ნათლად მიუთითებს, რომ მათ მიერ გამოყენებული კონკურენტული უპირატესობები ინდივიდუალურია (ორიგინალურია, უნივერსალურია, არაკოპირებადია). უნივერსალური კონცეფციის წარმატების მთავარი საიდუმლო დაკავშირებულია კომპანიის მენეჯმენტის მთავარ მართვასთან. ფუნდამენტური პუნქტები პირველ რიგში უნდა აისახოს სანარმოს შემოთავაზებულ უნივერსალურ და ორიგინალურ კომპანიის მენეჯმენტის ადაპტურ სისტემაში.

ყოველი ახალი უნივერსალური კონცეფცია სწორად უნდა ასახავდეს ბრენდის ძირითად ღირებულებებს. უნივერსალური კონცეფციების დახმარებით სანარმოს მენეჯმენტის ადაპტურ სისტემას შემოაქვს ახალი ღირებულებები და აფართოებს ბრენდის მიმზიდველობას. უნივერსალური კონცეფცია შექმნილია იმისათვის, რომ დააკავშიროს სანარმოს კომპანიის მართვის მნიშვნელოვანი პრობლემები, ყველა შემადგენელი კომპონენტი და უზრუნველყოს საერთო ფოკუსირება ბრენდის იდენტურობაზე. ამ უნივერსალურ კონცეფციას იყენებენ ქართული კომპანიებიც.

პროექტის მენეჯმენტი უმნიშვნელოვანესი სპეციალიზებული დარგია, რომლის მიზანია უზრუნველყოს პროექტის

განხორციელება სტრატეგიის შემუშავების სტადიიდან მისი პრაქტიკული განხორციელების ეტაპამდე. პროექტი არის ურთიერთდაკავშირებული აქტივობების ერთობლიობა, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ მიაღწიოს დასახულ მიზნებს, განსაზღვრული დროისა და განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში.

პროექტის შემუშავებისა და განხორციელების ეტაპების დასრულების შემდეგ ქართულ კომპანიებში, დეველოპერი ახორციელებს სანარმოს საქმიანობის სრულ აუდიტს. საქონლისა და მომსახურების განვითარება უნივერსალური კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტია. წარმატებული ბრენდების მქონე ქართული კომპანიები მუდმივად აუმჯობესებენ თავიანთ პროდუქტებსა და სერვისებს. ამ პროცესს აქვს მრავალფეროვანი ფორმები, როგორც თავად პროდუქტის გაუმჯობესება, ასევე მისი თანმხლები სერვისები.

აქედან გამომდინარე, კონპანიის მართვის მნიშვნელოვანი პრობლემა დაკავშირებულია კომპანიის სწორი მენეჯმენტის ადაპტურ სისტემასთან. უნივერსალური კონცეფცია შეიქმნება მაშინ, როცა დაიწყება ინოვაციური პროდუქტის განვითარება, ახალი იდეებისა და კონცეფციების შექმნის საფუძველზე. პროდუქტების განვითარების უნივერსალური კონცეფცია მრავალმხრივია და რთული; და რაც უფრო ახლოსაა კონკურენტი ფირმების პროდუქტები, მით უფრო მნიშვნელოვანია ფასეულობათა მთელი სპექტრის გათვალისწინება.

საკვანძო სიტყვები: კონცეფცია; ღირებულება; ინტეგრირება; მენეჯმენტი; განვითარება.

შესავალი

მნიშვნელოვანი როლი სანარმოების ბრენდის ეფექტურ მენეჯმენტში ეკუთვნის ბაზარზე პოზიციონირების კონცეფციის განსაზღვრას. კონცეფცია - ეს არის მთავარი იდეა ან წამყვანი იდეა, სანარმოთა სხვადასხვა საქმიანობის კონსტრუქციული პრინციპი. სხვადასხვა კონცეფციის შემუშავება არის შემოქმედებითი პროცესი, რომლის შედეგადაც განისაზღვრება განვი-

თარების მიმართულებების ვარიანტები. საშინაო და უცხოური გამოცდილება დამაჯერებლად მიუთითებს, რომ ბაზარზე წარმატებული განვითარება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მათი განვითარების ეფექტური სტრატეგიების, კონცეფციების შემუშავებასა და დასაბუთებას.

თანამედროვე წარმატებული შიგა გლობალური კომპანიები, მათ შორის ქართული კომპანიები, მათი ხელმძღვანელები, გამოჩენილი მენარმეები ბაზარზე, შეძლეს, შექმნა კონკურენტული უპირატესობები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულებების მდგრად ზრდას დიდი ხნის განმავლობაში.

უნივერსალური კომპანიების შექმნა, მათი ეფექტური წარმოება დაკავშირებულია საწარმოს განვითარებასთან. ეფექტური საწარმოების შექმნისა და განვითარების საფუძველია ის ცნებები, რომლებიც არიან განსხვავებულები, ანუ სხვა საწარმოებისგან შეუსაბამო, ამიტომ კონკურენტული უპირატესობები თან ახლავს საწარმოებს.

ქართულ კომპანიებში მენეჯმენტის ადაპტური სისტემების ჩამოყალიბება დამოკიდებულია კონკურენტული უპირატესობების ინდივიდუალიზაციაზე, რომელიც დაფუძნებულია საწარმოს განვითარების უნივერსალურ კონცეფციაზე. ეს არის წარმატებული ფუნქციონირების მთავარი ფაქტორი და გარანტი.

ცნობილი წამყვანი ქართული კომპანიები, როგორც მსხვილი, ისე საშუალო წარმოების განვითარების კონცეფციების შესწავლა ნათლად მიუთითებს, რომ მათ მიერ გამოყენებული კონკურენტული უპირატესობები ინდივიდუალურია (ორიგინალურია, უნივერსალურია, არაკოპირებადია). უნივერსალური კონცეფციის წარმატების მთავარი საიდუმლო დაკავშირებულია კომპანიის მენეჯმენტის მთავარ მართვასთან. ფუნდამენტური პუნქტები პირველ რიგში უნდა აისახოს საწარმოს შემოთავაზებულ უნივერსალურ და ორიგინალურ კომპანიის მენეჯმენტის ადაპტურ სისტემაში.

ძირითადი ტექსტი

ყოველი ახალი უნივერსალური კონცეფცია სწორად უნდა ასახავდეს ბრენდის ძირითად ღირებულებებს. ახალი კონცეფციების დახმარებით სანარმოს მენეჯმენტის ადაპტურ სისტემას შემოაქვს ახალი ღირებულებები და აფართოებს ბრენდის მიმზიდველობას. სანარმოს უნიკალური კონცეფცია შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში. ეს ხდება ჩვეულებრივ ხუთ წელიწადში ერთხელ.

სანარმოს უნივერსალურ კონცეფციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სლოგანს. სლოგანი ანუ კომპანიის დევიზი არის სანარმოს კონცეფციისა და იდეოლოგიური წყობის ზუსტი, კონცენტრირებული განსახიერება, გამოხატვა და ამავდროს მოკლე, შთამბეჭდავი წარმოდგენა. ასევე სანარმოს კონცეფციის განუყოფელი ნაწილია მისი ლოგო - კომპანიის ან ორგანიზაციის სახელის სტილიზებული (ხშირად შემოკლებული) ფორმა, რომელიც სპეციალურად შექმნილია უკეთესი გახსენებისა და უკეთესი გამოყენებისთვის.

უნივერსალური კონცეფცია შექმნილია იმისათვის, რომ დააკავშიროს სანარმოს კომპანიის მართვის მნიშვნელოვანი პრობლემები, ყველა შემადგენელი კომპონენტი და უზრუნველყოს საერთო ფოკუსირება ბრენდის იდენტურობაზე. ამ უნივერსალურ კონცეფციას იყენებენ ქართული კომპანიებიც.

პროექტის მენეჯმენტი უმნიშვნელოვანესი სპეციალიზებული დარგია, რომლის მიზანია უზრუნველყოს პროექტის განხორციელება სტრატეგიის შემუშავების სტადიიდან მისი პრაქტიკული განხორციელების ეტაპამდე.

პროექტი არის ურთიერთდაკავშირებული აქტივობების ერთობლიობა, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ მიაღწიოს დასახულ მიზნებს, განსაზღვრული დროისა და განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში.

პროექტისთვის დამახასიათებელი ძირითადი მახასიათებლებია:

- უპირველეს ყოვლისა პროექტზე ფოკუსირება;
- ალგორითმის ნაკლებობა, განმეორებადობა, პროექტის

მკაცრი რეგულაციები;

- ფოკუსირება გარკვეული უნიკალური მიზნების მიღწევაზე და კონკრეტულ შედეგებზე;

- კოორდინირებული შესრულება მრავალრიცხოვანი ურთიერთდაკავშირებული საქმიანობა;

- შეზღუდული დრო განსაზღვრული დასაწყისით და დასასრულით;

- მრავალმხრივობა, მრავალფეროვნება;

- პროექტის უნიკალურობა და შედეგი;

- ფიქსირებული ვადები და რესურსები;

- პროექტის განმახორციელებელი ადამიანების სხვადასხვა ქმედებების კოორდინაცია;

- შეზღუდვების არსებობა (დროის, რესურსების, პროცესების, ზოგიერთი მახასიათებლისა და შედეგების თვალსაზრისით);

- პროექტის, როგორც პროცესის გაგება - ხშირ შემთხვევაში, ორგანიზაციის ძირითადი ბიზნეს საქმიანობის განხორციელების პროცესი;

- საქმიანობის მიზანმიმართულობა, რომელიც ძირითადად ცვლილებების განხორციელებას გულისხმობს (პროექტების განხორციელებისას ხდება სხვადასხვა სახის ცვლილებები, ამიტომ პროექტის მენეჯმენტი არსებითადაა ცვლილებების მართვა).

- პროექტის დროში შეზღუდული (მკვეთრად განსაზღვრული დასაწყისი და დასასრული) ხასიათი;

- პროექტის მიერ შექმნილი პროდუქტის (მიზნის) უნიკალურობა;

პროექტები, როგორც წესი, იყოფა ოპერატიულებად, რომლებიც ქმნიან ახალ ობიექტებს. ისინი უშუალოდ გამოიმუშავენ შემოსავალს და ორგანიზაციულს, ე.ი. ცვლილებებს მოიცავს-ორგანიზაციის მთლიანობაში, იგულისხმება თანამშრომლების მუშაობის გაუმჯობესება.

სამუშაოს ხანგრძლივობა განვითარების დაწყებიდან პროექტის განხორციელების დასრულებამდე ახალი ობიექტებისა და პროდუქტების შესაქმნელად სჭირდება დაახლოებით წელი-

ნადნახევარი. იქმნება პროექტის განვითარების ძირითადი ეტაპები, სადაც შედის:

პირველი ეტაპი: ახალი პროექტისთვის მომხმარებლის იდენტიფიკაცია, მომხმარებლის მიერ საერთო მიზნებისა და ამოცანების დადგენა, ასევე მათი საერთო ხედვა; პროექტის შესახებ საწარმოს შექმნისა და ექსპლუატაციის კონცეფციის შესაქმნელად. ამ ეტაპზე გროვდება მაქსიმალური ინფორმაცია შემოთავაზებული ბიზნესის ინტერესებისა და მიზნების შესახებ (ფულის გამომუშევებისთვის, კარიერისთვის, რათა მეგობრები გაახალისოთ, ამბიციების დაკმაყოფილებისთვის და სხვ.). ახალი პროექტების შექმნის გამოცდილება მიუთითებს, რომ შეკვეთების 90% მიმართულია ბიზნესის განვითარებაზე.

მეორე ეტაპი: სამომავლო პროექტში დამკვეთის საერთო ინტერესებისა და იდეების დადგენის შემდეგ იქმნება საჭირო სპეციალისტების ჯგუფი, რომლებიც წარუდგენენ მომხმარებლებს ზოგადი ფორმით. ამ ეტაპზე წინადადებების განხილვის პროცესში ირკვევა, რამდენად შეესაბამება წინადადებების პროექტი დამკვეთის იდეებს, ინტერესებსა და სურვილებს, დამატებით ირკვევა და ზუსტდება პროექტის პარამეტრები მისი სურვილის შესაბამისად.

მესამე ეტაპი: კონტრაქტორსა და მომხმარებელს შორის ახალი პროექტის შემუშავების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება. დამკვეთის წარმომადგენლების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობის ხარისხის მიხედვით, რომლებიც უნდა მიიღონ მონაწილეობა საწარმოს შემდგომ მუშაობაში, განისაზღვრება პროექტისთვის გადახდის ოდენობა. თუ მოსალოდნელია მომხმარებლის მონაწილეობა, მაშინ ეს არის ერთი მარცვნილებელი, თუ ჩართულია მეორე. როგორც წესი, ამ ეტაპზე მონაწილეობენ მომხმარებლის წარმომადგენლები, რადგან ეს აუცილებელია მისი შემდგომი ადაპტაციისთვის საქმიანობის მოდელის კონცეფციასთან.

მეოთხე ეტაპი: პროექტის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის ორგანიზება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაოს მოსამზადებელი სამუშაოები. ამ ეტაპის ხანგრძლივობა დაახლოებით 6-7 თვეა.

ეს ეტაპი იყოფა შემდეგ ქვეეტაპებად: იურიდიული პირის რეგისტრაცია; პროექტის და ტექნოლოგიური დიზაინის შემუშავება; ტენდერი სამშენებლო პროექტებზე; მოძიება საჭირო შენობის, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნას, რომ პროექტი მოერგოს ამ შენობას; სამშენებლო სამუშაოები, შენობების ხელახალი დაგეგმვა, დასრულების სამუშაოები, დაქირავება, ორგანიზება და სამუშაო გეგმის მომზადება.

მეხუთე ეტაპი: პროექტის პრეზენტაცია. ამ ეტაპზე მომხმარებელი და მომავალი მფლობელი ახორციელებს მხოლოდ ფინანსურ კონტროლს, ხოლო სანარმოს საქმიანობის ორგანიზების მთელ პროცესს გუნდი ახორციელებს. უფრო მეტიც, ბიზნესის გადაცემის პროცესს აქვს თავისი ქვეეტაპები: ახორციელებს ფუნქციებისა და საქმეების ადმინისტრაციულ გადაცემას მესაკუთრის გუნდზე (დირექტორზე, მთავარ ბუღალტერზე); სრულად არის გამჭვირვალე სანარმოს ყველა განყოფილების მუშაობა; ორმხრივი ანგარიშსწორება კონტრაქტორსა და პროექტის დამკვეთს შორის (როგორც წესი, სამუშაოს სანყის ეტაპზე, წინასწარი გადახდა შეადგენს პროექტის მთლიანი ღირებულების დაახლოებით 30%-ს.).

პროექტის შემუშავებისა და განხორციელების ზემოაღნიშნული ეტაპების დასრულების შემდეგ ქართულ კომპანიებში, დეველოპერი ახორციელებს სანარმოს საქმიანობის სრულ აუდიტს. საქონლისა და მომსახურების განვითარება უნივერსალური კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტია. წარმატებული ბრენდების მქონე ქართული კომპანიები მუდმივად აუმჯობესებენ თავიანთ პროდუქტებსა და სერვისებს. ამ პროცესს აქვს მრავალფეროვანი ფორმები, როგორც თავად პროდუქტის გაუმჯობესება, ასევე მისი თანმხლები სერვისები. პროდუქტის თანმხლები სერვისების კომპლექსის გაუმჯობესება უდრის თავად პროდუქტის გაუმჯობესებას.

პროდუქტის განვითარება ჩვეულებრივ იყოფა პროდუქტის ტრადიციულ გაუმჯობესებად და პროცესის გაუმჯობესებად. წარმოების პროცესის გაუმჯობესება ან მომსახურების მიწოდების პროცესი შეიძლება იყოს ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც თავად საქონლის შექმნა. ბრენდის განვითარების

თვალსაზრისით, ეს ორი ტიპი ექვივალენტურია. რატომ არის მნიშვნელოვანი პროცესის გაუმჯობესება? რადგან პროცესები: გავლენას ახდენს ხარისხის სტანდარტებზე, წარმოების ხარჯებსა და გამომუშავებაზე.

ქართულ კომპანიებში საქონლისა და სერვისების წარმატებული ინოვაციური განვითარებისა და გაუმჯობესების სანყისი პრინციპებია: სიმარტივისკენ სწრაფვა - არ უნდა განავითაროთ და განახორციელოთ რთული პროექტები; სარისკო ნახტომების თავიდან აცილება - გაუმჯობესების პროცესი უნდა ხასიათდებოდეს ნახტომების არარსებობით; ექსპერტიზა ახალი ტექნოლოგიებით - არ გამოიყენოთ შეუმონმბელი ტექნოლოგიები ძირითად პროექტებში; ინოვაციის ეტაპობრივი დანერგვა.

ქართული კომპანიის მენეჯმენტის ადაპტური სისტემის ჩამოუალენის დროს ტრადიციული პროდუქტის განვითარებაში ორი დონეა:

- ახალი პროდუქტების განვითარება - ახალი პროდუქტების შექმნა და ბაზარზე გაშვება, როგორც არსებული სავაჭრო ნიშნებით;
- ძველი პროდუქტის შემუშავება - არსებული პროდუქტების გაუმჯობესება ან უფრო ეფექტური გზების პოვნა უკვე ცნობილია საქონლისა და მომსახურების არსებული ბრენდებით წარმოებისთვის.

დასკვნა

კომპანიის მართვის მნიშვნელოვანი პრობლემა დაკავშირებულია კომპანიის სწორი მენეჯმენტის ადაპტურ სისტემასთან. უნივერსალური კონცეფცია შეიქმნება მაშინ, როცა დაიწყება ინოვაციური პროდუქტის განვითარება, ახალი იდეებისა და კონცეფციების შექმნის საფუძველზე.

უნივერსალური კონცეფცია, რომელიც ახლოსაა სანარმოს არსებულ საქმიანობასთან, ასევე რეკომენდირებულია დაკავშირებული იყოს რაიმე კორპორატიულ ატრიბუტთან. პროდუქტის შემუშავების მნიშვნელოვანი საკითხია ინოვაციის ეკონომიკური ეფექტურობის ასპექტი. პროექტის მენეჯმენტის განვითარება

პროდუქტიული იქნება მაშინ, თუ ის სრულად იქნება ინტეგრირებული კომპანიის ბრენდის განვითარების გეგმებთან. თუ პროექტი ასოცირდება არსებულ საგაჭრო ნიშანთან, პროდუქტი უნდა მოერგოს ბრენდის იერარქიას და გაიზარდოს, მაგრამ არ შეამციროს ბრენდის ღირებულება. პროდუქტების ეფექტური განვითარება ხორციელდება ბრენდის ღირებულებებთან ჰარმონიაში. პროდუქტების განვითარებისთვის მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ბრენდის ძირითადი ღირებულებები. თუ ბრენდის მთავარი ღირებულება სამედოა, მაშინ მისი გაზრდაა საჭირო. ბრენდი მიმზიდველი დარჩება, თუ მისი პროდუქცია ან მომსახურება აკმაყოფილებს უმაღლეს სტანდარტებს. პროდუქტების განვითარების უნივერსალური კონცეფცია მრავალმხრივია და რთული; და რაც უფრო ახლოსაა კონკურენტი ფორმების პროდუქტები, მით უფრო მნიშვნელოვანია ფასეულობათა მთელი სპექტრის გათვალისწინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, გ. ნაკაიძე, ნ. ჯანელიძე, ეკონომიკური განვითარებისა და მენეჯმენტის თანამედროვე თეორიები, თბილისი, საქართველოს საინჟინრო აკადემია, „რუბიკონი“, 2000;
2. ჭალაგანიძე შ., „საინოვაციო საქმიანობის პრობლემები საქართველოში“, თბ., 2000;
3. I. M. Abassov, R. F. Sadigov, Management (Manual), Viana do Castelo, 2015;
4. Richard L. Daft, New of Management, 11th ed 2017;

REFERENCES:

1. E. Baratashvili, G. Nakaidze, N. Janelidze, Modern theories of economic development and management, Tbilisi, Engineering Academy of Georgia, “Rubikoni”, 2000;
2. Chalaganidze Sh., “Problems of innovative activity in Georgia”, Tb., 2000;
3. I. M. Abassov, R. F. Sadigov, Management (Manual), Viana do Castelo, 2015;
4. Richard L. Daft, New of Management, 11th ed 2017;

CREATION OF UNIVERSAL APPLICATION AND PROJECT MANAGEMENT IN GEORGIAN COMPANIES

Ana Gegeshidze

PhD Student of Georgian Technical University
gegeana@gmail.com

RESUME

Developing an universal concept is a creative process. Their effective production is related to the development of production. Studying the concepts of development of well-known leading Georgian companies, both large and medium production, clearly indicates that the competitive advantages they use, are individual. The fundamental points must first be reflected in the universal and original adaptive system of company management proposed by the enterprise.

Each new universal concept must correctly reflect the core values of the brand. The universal concept is designed to connect the important problems of enterprise company management, all constituent components and provide a common focus on brand identity. This universal concept is also used by Georgian companies.

After the completion of the project development and implementation stages in Georgian companies, the developer carries out a full audit of the enterprise's activities. The development of goods and services is one of the main points of the universal concept. Georgian companies with successful brands are constantly improving their products and services. This process takes many forms, both improving the product itself and accompanying services.

Therefore, an important problem of company management is related to the adaptive system of correct management of the company. A universal concept will be created when the development of an innovative product begins, based on the creation of new ideas and concepts. The universal concept of product development is multifaceted and complex; And the closer the competing firms' products are, the more important it is to consider the entire range of values.

Keywords: Concept; Value; Integration; Management; Development.



**ხარისხის მართვის სისტემის მნიშვნელობა
და მისი ცნობადობის ამაღლების გზები
საქართველოში
(მეზოგაელი ქვეყნების მაგალითზე)**

DOI:10.36962/ECS105/8-10/2023-178

ეკატერინე აღამანაშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ekaterine.ghamanashvili@bsu.edu.ge

რეზიუმე

თანამედროვე ბიზნეს სფეროში პროდუქტისა და მომსახურების მაღალი ხარისხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ორგანიზაციების გადარჩენისა და კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად. ქართველი მეწარმეებისათვის ჯერ კიდევ გამოწვევაა ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 31.12.2021 მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია 183 300 მოქმედი ორგანიზაცია, ხოლო ისო 9001 სტანდარტით სერტიფიცირებულია მხოლოდ 176 ორგანიზაცია, ანუ მოქმედი ორგანიზაციების დაახლ. 0,1 % (ISO Survey, 2021), რაც აჩვენებს, რომ ხარისხის მართვის სისტემის მნიშვნელობის გათვითცნობიერება ფრიად დაბალია ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს მეწარმეები ნაკლებად არიან ინფორმირებული საექსპორტო ბაზრების ასათვისებლად საჭირო მოთხოვნების შესახებ, რომელთა შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას ხარისხის დადასტურება წარმოადგენს. ნაშრომი მიზნად ისახავს აზიერბაჯანისა და რუსეთის ბიზნეს სფეროს ხარისხის მართვის სისტემის

ცნობადობის მხარდამჭერი ღონისძიებების მიმართულებით არსებული გამოცდილების მიმოხილვასა და მათი ანალიზის საფუძველზე კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებას საქართველოს რეალობის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ხარისხის მენეჯმენტი, ხარისხის მენეჯმენტის პრინციპები, ხარისხის მართვის სისტემის ცნობადობა, ისო 9000 სერიის სტანდარტები.

შესავალი

გლობალიზაციის უწყვეტ პროცესს 21-ე საუკუნეში თან მოჰყვა კონკურენციის მძლავრი ზრდა, რამაც ბიზნესს შეუქმნა არსებობის რეალური საფრთხე. რეალობამ აჩვენა, რომ ორგანიზაციის მენეჯმენტის ტრადიციული მეთოდები საჭიროებს ინოვაციურ მიდგომას და ბაზრის გაზრდილი მოთხოვნილებების პირობებში თანამედროვე და მოქნილი სტრატეგიების დასახვას. დღევანდელ სამყაროში მომხმარებელი სულ უფრო მეტად ანიჭებს პრიორიტეტს ხარისხს, ნაცვლად დაბალი ღირებულებისა. ხარისხი გახდა ერთ-ერთი მთავარი ბარიერი საერთაშორისო ბაზრების ათვისებასა და ექსპორტის განხორციელებაში. თანამედროვე ბიზნეს სფეროში პროდუქტისა და მომსახურების მაღალი ხარისხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ორგანიზაციების გადარჩენისა და კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად. თანამედროვე საქართველოში, მენარმეებისათვის ჯერ კიდევ გამონეგვაა ხარისხის მართვის სისტემა. ნაშრომის მიზანია ხაზი გაუსვას ხარისხის მართვის სისტემის დანერგვის მნიშვნელობასა და მის ეფექტურობას, ასევე მეზობელი ქვეყნების: აზერბაიჯანისა და რუსეთის ბიზნეს სფეროს ხარისხის მართვის სისტემის ცნობადობის მხარდამჭერი ღონისძიებების მიმართულებით არსებული გამოცდილების მიმოხილვას და შედარებითი ანალიზის საფუძველზე კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებას საქართველოს რეალობის გათვალისწინებით.

ქირითადი ტექსტი

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მეორადი მონაცემების ანალიზისათვის. მონაცემების სახით განხილულია როგორც მეცნიერთა აკადემიური ნაშრომები, ისე მეზობელი ქვეყნების სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურების მონაცემები და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO Survey) კვლევები.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ხარისხის ცნობილმა ექსპერტმა ე. დემინგმა შეიმუშავა ხარისხის მენეჯმენტის კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო ომებისგან დაუძღვრებული იაპონიის ეკონომიკის აღორძინებას. დემინგის იდეები გახდა ხარისხის მენეჯმენტის იმ მოთხოვნების ბაზისი, რაც ჩადებულია თანამედროვე ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებში (N. Ghibradze....2009).

დემინგმა ხარისხის მენეჯმენტის მიდგომა ჩამოაყალიბა 14 პუნქტში (Deming, 1986), რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

- მიზნების მუდმივობა. ისეთი მიზნების დასახვა, რომლებიც არ არის გათვლილი მოკლევადიან პერსპექტივაზე, არამედ უზრუნველყოფს პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას;
- ახალი ფილოსოფიის დანერგვა. დასავლური სტილის მენეჯმენტის გარდაქმნის აუცილებლობა ეკონომიკის ვარდნის შესაჩერებლად;
- მასობრივი კონტროლის გაუქმება. ინსპექციების შემცირება ხარისხის პროდუქტში ჩაშენებით;
- მომწოდებლების შერჩევა არა დაბალი ფასის, არამედ მონოდებული პროდუქციის ხარისხის მიხედვით;
- პროცესების მუდმივი სრულყოფა, პროცესების სხვადასხვა ეტაპზე ხარვეზების ძიებისა და აღმოფხვრის და სისტემის გაუმჯობესების გზით;
- კადრების მუდმივი მომზადება და გადამზადება, მათი მაქსიმალური შესაძლებლობების გამოყენების მიზნით;
- ლიდერობის განსაზღვრა, როგორც მუშაობის მეთოდი,

რომლის მიზანია თანამშრომელთა დახმარება სამუშაოს საუკეთესოდ შესრულებაში;

- შიშის აღმოფხვრა. ორგანიზაციის შიგნით ორმხრივი ეფექტური ურთიერთობების დანერგვით;

- ბარიერების დანგრევა ქვედანაყოფებს შორის გუნდური მუშაობის ნახალისებით;

- მოწოდებებისგან თავის არიდება - რაც იწვევს მხოლოდ მტრულ განწყობას დასაქმებულთა მხრიდან, რადგან პრობლემის მთავარი მიზეზი სისტემის გაუმართაობაშია და არა შემსრულებელში;

- თანამშრომლებზე დადგენილი რაოდენობრივი კვოტებისა/ნორმების გაუქმება და მის ნაცვლად, ხელმძღვანელობის მხარდაჭერისა და დახმარების უზრუნველყოფა;

- თანამშრომლების ნახალისება, რათა იამაყონ შესრულებული სამუშაოთი;

- ცოდნის ამაღლებისა და განვითარების ნახალისება;

- ლიდერების ჩართულობა ხარისხის მიზნების უზრუნველყოფაში.

ფილიპე კროსბი ნიგნში „ხარისხი თავისუფალია“, აღნიშნავს, რომ ხარისხის მართვის ხელისშემშლელი ფაქტორი კერძო კომპანიებში მოკლევადიანი გეგმები, ხოლო საჯარო სექტორში, კი ფასადური ხარისხია, და მოცემული პრობლემების გადაჭრის გზას ხედავს გრძელვადიანი სტრატეგიისა და მომხმარებლის საჭიროებებზე ფოკუსირებაში (Crosby, 1979).

კაორუ იშიკავამ ხარისხის კონტროლის სფეროში შექმნა მიზეზ-შედეგობრივი მოდელი პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით. ცნობილია იშიკავას დიაგრამა, რომელიც ასახავს კომპანიის ოპტიმალური მუშაობის ხელისშემშლელ მიზეზებს. იშიკავას ხარისხის პრინციპი ეფუძნება მიდგომას, რომ ხარისხი უნდა იყოს პრიორიტეტი, ხოლო მოგება გათვალისწინებული უნდა იყოს გრძელვადიან პერსპექტივაში ((N. Ghibradze...2009)

ჯურანი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც დაწერა ცუდი ხარისხის ღირებულების შესახებ, რაც ნაჩვენებია „ჯურანის ტრიადის“ სახით. ხარისხის მენეჯმენტი დაფუძნებულია 3 პრო-

ცესზე, ესენია: ხარისხის დაგეგმვა, კონტროლი და გაუმჯობესება. დღესდღეობით, სამეცნიერო სფეროში უამრავი კვლევაა ჩატარებული ხარისხის მართვის სისტემის ზეგავლენის დონის შესასწავლად, რომლებიც ადასტურებს მისი დანერგვის დადებით გავლენას ორგანიზაციის ეფექტურობაზე (Alvarez Garcia, ... 2014).

ხარისხის მართვის სისტემის სტანდარტები - თანამედროვე, მსოფლიო მასშტაბით ცნობილი ისო 9000 ხარისხის მართვის სისტემის სტანდარტი, პირველადი სახით გამოშვებულ იქნა 1987 წელს, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. სტანდარტი დაყოფილი იყო 3 ნაწილად: *ISO 9001:1987 Model for quality assurance in design, development, production, installation, and servicing*; *ISO 9002:1987 Model for quality assurance in production, installation, and servicing* და *ISO 9003:1987 Model for quality assurance in final inspection and test*. სტანდარტები განკუთვნილი იყო ორგანიზაციების ფართო სპექტრისათვის და ფართოდ გამოიყენებოდა იაპონიაში, გერმანიაში, საბჭოთა კავშირში და სხვა ქვეყნებში. 1994 წლის ცვლილებების შედეგად სტანდარტში გამახვილდა ყურადღება პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე, ნაცვლად საბოლოო პროდუქტის შემოწმებისა. ასევე გამკაცრდა დოკუმენტირებული ინფორმაციის მიმართ მოთხოვნები, რამაც სტანდარტს უფრო ბიუროკრატიული ელფერი შესძინა. 2000 წლის ვერსიაში სტანდარტის 3 ნაწილი ერთიანდება და გამოიცემა გაერთიანებული სახით „ისო 9001:2000 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები“. სტანდარტი დაეფუძნა დემინგის PDCA ციკლს:

დაგეგმვა - დაისახე მიზნები, განსაზღვრე რესურსები, შეაფასე რისკები და შესაძლებლობები;

შესრულება - შეასრულე ის, რაც დაგეგმე;

შემოწმება - ჩაატარე მონიტორინგი, გაზომვა და შეფასება;

მოქმედება - გააუმჯობესე პროცესები.

ბოლო, მე-4 ცვლილება სტანდარტმა განიცადა 2015 წელს და ამჟამინდელი სახით გვევლინება ისო 9001:2015 ვერსია. წინამდებარე სტანდარტი წარმოადგენს რისკზე დაფუძნებულ

ხედვას.

ისო 9001 სტანდარტი არის ორგანიზაციის ხარისხის მართვის მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც დამყარებულია უწვეტ ციკლზე: დაგეგმე-გააკეთე-შეამონმე-იმოქმედე და რისკზე დაფუძნებულ აზროვნებაზე. მოცემული მართვის სისტემის დანერგვით ორგანიზაციას უჩნდება უნარი, მუდმივად აწარმოოს პროდუქტი ან გასწიოს მომსახურება, რომელიც შესაბამეა მომხმარებლის მოთხოვნილებებს.


ისო ხარისხის მართვის სისტემის სტანდარტები გამოიყენება ძალიან ფართოდ უამრავი ორგანიზაციების მიერ და ის წარმოადგენს მომხმარებლისათვის ბიზნესის ხარისხის ეტალონს. სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისობაზე სერტიფიცირება არის ნებაყოფლობითი და მთავარი ფილოსოფია მდგომარეობს მართვის ისეთი სისტემის დანერგვაში, რომელიც მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდისა და მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველყოფით ამაღლებს ორგანიზაციის ეფექტურობას და შედეგად კონკურენტულ უპირატესობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომხმარებლის ნდობის ფაქტორი, როდესაც ორგანიზაციას სურს ახალი ბაზრების ათვისება, თუ ექსპორტზე გასვლა. ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ეფექტურობაზე მეტყველებს ასევე სერტიფიკატების რაოდენობის მსოფლიო მასშტაბით მზარდი ოდენობა. (იხ. დიაგრამა 1)

ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა ორგანიზაციებს აძლევს შესაძლებლობას:

- აიმაღლოს იმიჯი;
- მოიპოვოს საერთაშორისო აღიარება (სერტიფიკატის საშუალებით);
- აითვისოს ახალი საექსპორტო ბაზრები;
- მოიპოვოს მომხმარებლების ნდობა;
- გაზარდოს სავაჭრო პარტნიორები;
- გაზარდოს შემოსავლები.

“სტანდარტები სავაჭრო ლანდშაფტის კრიტიკული ელემენტია, როგორც პროდუქტში, ასევე მომსახურებაში ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით, ნდობის დამყარებით და

დიაგრამა 1. ისო 9001:2015 მოქმედი სერტიფიკატები მსოფლიო მასშტაბით



წყარო: International standardization organization.

<https://www.iso.org/the-iso-survey.html> [L.R.20.02.2023];

ტრანზაქციის ხარჯების შემცირებით. ისინი ხელს უწყობენ საზღვრებს გარეთ ვაჭრობის პროცესს და ასტიმულირებენ ეკონომიკურ ზრდას“ - აღნიშნა საერთაშარისო სავაჭრო პალატის გენერალურმა მდივანმა ჯონ დენტონმა.

ისო 9001:2015 დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

- ორიენტაცია მომხმარებელზე;
- ლიდერობა;
- თანამშრომლების ჩართულობა;
- პროცესებისადმი მიდგომა;
- გაუმჯობესება;
- მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადანყვეტილების მიღება
- ურთიერთობების მართვა.

ისო სტანდარტი უნივერსალურია და რელევანტურია ყველა ტიპისა და ზომის, საქმიანობის სფეროს, საჯარო თუ კერძო სექტორის ორგანიზაციისათვის, პროდუქტისა თუ მომსახურების წარმოებისათვის. ეს არის ხარისხის მართვის ორგანიზაციის, მეთოდებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია მუდმივი გაუმჯობესებისაკენ. ამასთან, სისტემის დანერგვა და სერტიფიცირება ნებაყოფლობითია.

სტანდარტის პროცესებისადმი მიდგომა საშუალებას აძ-

ლევს ორგანიზაციას გაიაზროს მომხმარებლის მოთხოვნები და მუდმივად დააკმაყოფილოს ისინი, მონაცემებისა და ინფორმაციის განახლების შესაბამისად უწყვეტად გააუმჯობესოს პროცესები.

ხარისხის მართვის სისტემამ უკვე დაამტკიცა თანამედროვეობაში, რომ ფლობს უდიდეს პოტენციალს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. განვითარებული ქვეყნების მაგალითი ცხადყოფს, რომ ხარისხის გაუმჯობესება არის მძლავრი ინსტრუმენტი ქვეყნის ეკონომიკაზე ზემოქმედებისათვის. ხარისხის პრობლემის გადაჭრის თანამედროვე მიმართულება ეყრდნობა მომხმარებლის საჭიროებების დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვას. მართვის სისტემა და პროცესები უნდა აიგოს და შეესაბამებოდეს სწორედ ამ მიმართულებას ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

ხარისხის ამაღლებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად აზეირბაჯანის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ბოლო ათლეულეებში. კერძოდ, ქვეყნის ხარისხის პოლიტიკის გატარების თვალსაჩინო მაგალითია ხარისხის ასოციაციის შექმნა. ასოციაცია არაკომერციული, არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 2007 წლის 25 ნოემბერს. აღნიშნული გაერთიანების მთავარი მიზანი ქვეყნის მასშტაბით ხარისხის სფეროში გათვითცნობიერებისა და პროდუქტის/მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდის უზრუნველყოფაა. ასოციაციის მიზნებია: ხარისხის სტანდარტების პროპაგანდა, ხარისხის მენეჯმენტის სფეროში ცოდნის ამაღლება; ხარისხის სფეროში უცხოეთის ქვეყნების მიღწევების შესწავლა და კვლევების წარმოება, საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება მენარმეობის განსავითარებლად და სხვა (Zabit, 2016).

ასოციაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წარმატებული ხარისხის მენეჯმენტის საუკეთესო პრაქტიკის მქონე საწარმოების გამოვლენა, შესწავლა და მათი პროდუქციის იმიჯზე დადებითი წარმოდგენის გავრცელების უზრუნველყოფა. მოცემული მიზნის მისაღწევად ასოციაციის მიერ გამოიცემა სა-

მეცნიერო-ეკონომიკური ჟურნალი „ხარისხი და მენეჯმენტი“, სადაც მკვლევართა და მეცნიერთა მიერ კეთდება აზიერბაჯანის ხარისხის მენეჯმენტის სფეროს ანალიზი, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან, სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ინფორმაციებისა და სტატიების განთავსება (Zabit, 2016).

აზიერბაჯანში მოქმედი ორგანიზაციები ხარისხის მართვის სისტემის დანერგვისას აწყდებიან რიგ პრობლემებს, როგორცაა: სისტემის დანერგვის რეალური მიზნის გააზრების პრობლემა, პროცესუალური მიდგომის პრაქტიკაში დანერგვის სირთულე, ადეკვატური რესურსების სიმწირე, მუდმივი გაუმჯობესების სტრატეგიის ნაკლებობა, გადანყვეტილებების აღსრულების კონტროლის სისუსტე, თანამშრომლების ნაკლები ჩართულობა. სისტემის ეფექტურობის მთავარი ფაქტორი კი უმაღლესი ხელმძღვანელობის მხარდაჭერა და ჩართულობაა. როგორც ჯურანი აღნიშნავს, პრობლემაზე პასუხისმგებელი 85%-ით სისტემაა, ხოლო დანარჩენი 15 %-ზე აგებს პასუხს მხოლოდ შემსრულებელი. დემინგმა კი, ეს მტკიცებულება კიდევ უფრო გააძლიერა, როდესაც აღნიშნა, რომ სისტემა პასუხისმგებელია 96 %-ით. სწორედ, ამ მიდგომის პრაქტიკაში გააზრება და გამოყენება არის სისტემის წარმატების აუცილებელი პირობა, აღნიშნავს მკვლევარი (Zabit, 2016).

ორგანიზაციებში ხარისხის მართვის სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით რუსეთის ფედერაციაში შექმნილია ხარისხის პრობლემების აკადემია და რუსეთის ხარისხის ორგანიზაცია. ხარისხის პრობლემების აკადემია რეგიონთაშორისი საჯარო, დამოუკიდებელი სამეცნიერო ტექნიკური ორგანიზაციაა, რომლის მთავარი დანიშნულებაა სხვადასხვა დარგის ხარისხის სფეროში წარმოქმნილი პრობლემების თეორიული დამუშავება და მათი პრაქტიკული გადანყვეტა, კონკურსის „100 საუკეთესო პროდუქტის“ ჩატარების ორგანიზაცია, „ხარისხის“ რეგიონალური პროგრამის შემუშავება და განხორციელება. მოცემული აკადემიის წევრებია მეცნიერები რუსეთიდან, ამერიკიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, სომხეთიდან და ყაზახეთიდან (Gritsyuta, 2017).

